გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№38 (794) 5 - 7 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

„ხელისუფლებისთვის გონივრული ვადა დასრულებულია, ახლა მწვავე შეკითხვების დასმის დროა“

რაზე მოსთხოვენ პასუხს მმართველ გუნდს, რატომ არ მონაწილეობენ შუალედურ არჩევნებში და როდის გააქტიურდებიან პოლიტიკურად „ახალი მემარჯვენეები“

გვ. 4

„ეს დემოკრატიული ქვეყანა კი არა, ჩვეულებრივი, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოა!“

რატომაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამა ბლეფი, რატომ უწოდებს საფარიფო პოლიტიკას „ბოღს“ და მიგრაციის რა საშიშ ტენდენციებზე საუბრობს **დემურ გიორხელიძე**?

გვ. 5

9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საზეიმო დღედ გამოცხადდება!

გვ. 3

რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზეთს მოუწოდებს, ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში კანონები დაიცვას

რა შედეგი მოყვა სოჭში ქართველი და რუსი სასულიერო პირებისა და აღექსანდრე ანქვაბის შეხვედრას და რატომ გადაიქცა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის თავისტკივილად

გვ. 8

როგორ აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივას საზოგადოება

„ნაძალადევში არჩევნებს მე მოვიგებ!“

გვ. 10

ვინ იყვნენ მისი მეგობრები ბვიად გამსახურდიას გარემოცვიდან, რა ბიზნესებს ფლობდა საქართველოში და რას ჰპირდება ამომრჩეველს **სოსო მანჯავიძე**

„თუ კბილაშვილი მერაბიშვილს არ დაკითხავს, ცუდი სიგნალი იქნება“

რატომ აფუძნებს „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ ახალ სახალხო მოძრაობას და მივა თუ არა 19 აპრილს ნაციონალების აქციაზე **ნანა კაკაბაძე**

გვ. 9

თბილისში კატებიც მათხოვრობენ!

გვ. 2

მაია რჩეულიშვილი გამოძიების დასრულებას ელოდება

ვის წინაშე გრძნობს თავს ვალდებულად, რატომ დაიბრუნა კომპანია, რას ჰპირდება დაზარალებულებს და რატომ აუკრძალეს „დექსუსის“ წარმომადგენლებმა ინტერვიუს მიცემა „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელს

გვ. 7

„ამის შესახებ ემოციის გარეშე ვერ ვსაუბრობ... მაშინ ჩემთვის მთელი სამყარო გადატრიალდა“

რა უხიდავი წრე შეკრა მიხეილ თუმანიშვილის თეატრში მისვლით, როდის გაუჩნდა პირველი პროტესტი ნაციონალების მიმართ და რატომ სჯერა ბიძინა ივანიშვილის **ნანა შონიას**

გვ. 13

თბილისში კატებიც მათხოვრობენ!

საქართველოში რომ მძიმე სოციალური ფონია, ამაზე უკვე არავინ დავობს. შესაბამისად, ქვეყანაში, მეტადრე დედაქალაქში, მათხოვრების გამოჩენაც არავის აკვირვებს. სამაგიეროდ, თბილისელები მარჯანიშვილის ქუჩაზე ნანახმა გააკვირვა — ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის წინ კატა მათხოვრობს! ამ უცნაურმა ფაქტმა „ვერსიის“ ყურადღებაც მიიქცია — მუყაოს ყუთში საკმაოდ ჩასუქებულ კატას სძინავს. ყუთზე წარწერა „დამეხმარეთ 20 თეთრით“ სამ ენაზეა — ქართულად, ინგლისურად და რუსულად. წინ პატარა ჭიქა დგას, სადაც ხურდები ყრია. ზოგს გულწრფელად შეეცოდა, ზოგი ნანახმა გააკვირვა, ზოგიც გახალისდა... „თათგაწვდილი“ კატისთვის 20 თეთრი, სხვადასხვა მიზეზით, ბევრმა ადამიანმა გაიმეტა. განსაკუთრებით გულუხვები ბავშვები იყვნენ, რომლებიც „მათხოვარმა კატამ“ საოცარ განწყობაზე დააყენა.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, ვინ მოიყვანა დედაქალაქის ცენტრში კატა. ცხოველის პატრონს იქვე, მაღაზიაში მივაკვლიეთ. მემწვანილე გულნარა მამედოვამ, „ვერსიას“ აუხსნა, რატომ წამოიყვანა ოთხფეხა მეგობარი სამათხოვროდ: **„ეს კატა 1,6 თვისაა. სულ პატარა იყო, აქ რომ მოვიდა და ჩვენ ვაჭმევდით. ახლახან, არასამთავრობო ორგანიზაციიდან იყვნენ მოსულები. გვითხრეს, მაწანწალა კატაა და კასტრაცია უნდა გაუკეთოთო. რომ წაიყვანეს, კიბოც აღმოაჩნდა და ოპერაციას 400 ლარი სჭირდება. თანაც, როგორც გაირკვა, ოპერაცია აქ არ კეთდება — გერმანიაში უნდა წაიყვანონ, ოპერაციის თანხის ნაწილს არასამთავრობო იხდის, ნაწილი პატრონმა უნდა დაფაროს და ამდენი ფული სად მაქვს? ჩემი გაზრდილია, ძალიან მიყვარს და სასიკვდილოდაც არ მემეტება, ამიტომ სამათხოვროდ დავსვი. იმედი მაქვს, საოპერაციო ფულს მალე მოაგროვებს. ყველა გაკვირვებული უყურებს და ფულსაც აძლევენ“.**

ნინო ხარშილაძე

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები გაანადგურეს

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 5 კილოგრამამდე „ოპიუმი“, 3 კილოგრამამდე „ჰეროინი“, 2500 აბი „სუბუტექსი“ და სხვა ნარკოტიკული საშუალებები შესაბამისი წესით გაანადგურა.

სამართალადამცველები, სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს შსს-ს თანამშრომლებთან ერთად ჯანდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

„ინტერპრესნიუსი“

კახა კალაძე ენგურჰესის დოკუმენტს გაასაჯაროებს



ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე ადასტურებს, რომ ენგურჰესი საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაშია, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუკი 2008 წელს მომზადებულ მემორანდუმს ხელი მოეწერებოდა, „ეს იქნებოდა დიდი დანაშაული ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე“.

მინისტრის თქმით, მუშაობს, რომ ენგურჰესთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტის გასაჯაროება მოხერხდეს: **„როდესაც ეს დოკუმენტი ვნახე, დავრწმუნდი, რომ ენგურჰესი ნამდვილად გასხვისებული არ არის და ამ დოკუმენტზე ხელი არავის მოუწერია, მაგრამ თუკი მემორანდუმს ხელი მოეწერებოდა, ეს იქნებოდა დიდი დანაშაული ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე. ჯერ კიდევ არა მაქვს ამ დოკუმენტის გასაჯაროების უფლება, მაგრამ ვიმუშავებ, რომ დოკუმენტის გასაჯაროება მოვახერხოთ, რათა მოსახლეობამ იცოდეს, რაზე მიდიოდა საუბარი და რა იყო თემა“.**

„ინტერპრესნიუსი“

ქანდაში აფხაზეთში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის უკვდავსაყოფად ხეივანი გაშენდება

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, სოფელ ქანდაში, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის უკვდავსაყოფად ხეივანი გაშენდება. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, თბილისიდან 37-ე კილომეტრზე, ცენტრალური ავტობანის გასწვრივ, 500-მეტრიანი ხეივნის გაშენებაა დაგეგმილი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი 23-ე ბრიგადის დაღუპული 560 მეომრის სახელზე 560 კვიპაროსის დარგვა იგეგმება.

ხეივნის გაშენებაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ, შეუერთდნენ ამ აქციას.

„ინტერპრესნიუსი“

შს მინისტრის პირველ მოადგილედ გელა ხვედელიძე დაინიშნა

შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის პირველ მოადგილედ გელა ხვედელიძე, მოადგილედ კი ვახტანგ გომელაური დაინიშნა.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა ხელი 22 მარტს მოაწერა. **„დაინიშნოს გელა ხვედელიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან. დაინიშნოს ვახტანგ გომელაური საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ“,** – აღნიშნულია ბრძანებულებებში.

„ექსპრესნიუსი“

„საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვირჯინიის კუნძულებზე საიდუმლო ფირმების მფლობელებს შორისაა“

PM of Georgia among owners of secret firms in British Virgin Islands

As fresh names emerge, senior Lib Dem politician says British Virgin Islands offshore haven 'stains the face of Britain'

David Leigh
guardian.co.uk, Thursday 4 April 2013 13.36 BST

ამ სათაურით ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ დევიდ ლის სტატიას აქვეყნებს. **„ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლის განცხადებით, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორული არასაბანკო ანგარიშების შესახებ გაჩენილმა ინფორმაციამ, შესაძლოა, „ბრიტანეთის იმიჯი შეარყიოს“,** — ნათქვამია სტატიაში.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმ ახალი სახელების სიის სათავეშია, ვინც ვირჯინიის კუნძულების საიდუმლო ოფშორული კომპანიების მფლობელებად დასახელდნენ.

„ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვირჯინიის კუნძულების საიდუმლო მიწები „ბრიტანეთს იმიჯს ულახავს“. ამასობაში, ანტიკორუფციული კამპანიის წარმომადგენლები ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ ქემერონს მოქმედებისკენ მოუწოდებენ.

ვირჯინიის კუნძულების ფინანსური ინფორმაციის გაჟონვაში გავრცელებულ სახელებს შორის ბიძინა ივანიშვილიც ფიგურირებს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრია გასული წლიდან, ამ სახელებს შორისაა პაკისტანის, ინდოეთის, ტაილანდისა და ინდონეზიის მნიშვნელოვანი ფიგურები.

ლორდ ოკეშოტი, „ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელი და ხაზინის ყოფილი პრესსპიკერი აცხადებს: **„როგორ შეუძლია დევიდ ქემერონს სახის სერიოზული გამომეტყველებით მოუწოდოს „დიდ რვიანს“, რომ გაზარდოს მსხვილი ბიზნესის გადასახადები მაშინ, როცა ვირჯინიის კუნძულების გამოყენების უფლებას ვაძლევთ, რათა მილიარდები იშოვოს ჭუჭყიანი ფულით?“**

ბრიტანეთში ვირჯინიის კუნძულების საიდუმლო ოფშორული კომპანიების ათასობით მფლობელთა სახელები ვაშინგტონში დაფუძნებულმა ჟურნალისტთა ჯგუფმა ICIJ, „გარდიანსა“ და სხვა საერთაშორისო მედიებთან ერთად გაამჟღავნა. **„სწორედ ახლა დადგა საკითხთან გამკლავების დრო. იმის გათვალისწინებით, რომ გასული წლის „დიდი რვიანის“ სამიტზე მან საიდუმლო კომპანიებთან ბრძოლის პირობა დადო, ახლა დროა, ქემერონმა და მისმა კოლეგებმა დაიწყონ ინფორმაციის გავრცელება ხალხზე, რომლებიც სინამდვილეში, აკონტროლებენ კომპანიებს“,** — აცხადებს დევიდ პალმერი.

„გარდიანს“ ასევე მითითებული აქვს ბიძინა ივანიშვილის ოფშორული კომპანია Bosherston Overseas Corp. აქვე სტატიაში აღნიშნულია, რომ მილიარდერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი 2012 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა. 2006-2009 წლებში ვირჯინიის კუნძულების კომპანიის დირექტორი იყო, რომელიც პანამიდან აგენტის მეშვეობით იმართებოდა. კომპანია 2006 წელს შეიქმნა და დღესაც აქტიურია. სტატიაში მოყვანილია ივანიშვილის პრესმდივნის კომენტარიც, რომელიც აცხადებს, რომ მან ყველაფერი კანონიერად გააკეთა: **„2011-12 წლებისთვის პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს კომპანიაში წილი აღარ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, არ ჰქონდა ვალდებულება, ამის შესახებ ფინანსურ დეკლარაციაში განეცხადებინა“.**

„ინტერპრესნიუსი“

სასჯელაღსრულების №19 ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულების დირექტორად პაატა სვანიძე დაინიშნა

ამის შესახებ ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ, არჩილ თალაკვაძემ აცნობა. მისი ინფორმაციით, ყოფილი დირექტორი კახა გველესიანი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი, ხოლო ქსნის დაწესებულებას ორთაჭალის №1 დაწესებულების ყოფილი დირექტორი უხელმძღვანელებს.

სასჯელაღსრულების №19 ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულების დირექტორის, კახაბერ გველესიანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 4 აპრილს გახდა ცნობილი.

სასჯელაღსრულების მინისტრისადმი სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მითითებულია, რომ №19 ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში გამოკითხეს მსჯავრდებულები და რეკომენდაციებს, რომელიც სამინისტროს გადაეგზავნა, 131 მსჯავრდებული აწერს ხელს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, პატიმრები აცხადებენ, რომ მათ არასათანადოდ ეპყრობიან, არ აქვთ შესაბამისი მკურნალობა, ხოლო დაწესებულების დირექტორი მათ მოთხოვნებზე ციინიკურად და უხეშად რეაგირებს.

ციხეებში ტუბერკულოზის ვითარებაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციას სოზარ სუბარი გამოეხმაურა და მას არაპროფესიონალური უწოდა.

„ინტერპრესნიუსი“

9 აპრილს, 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საზეიმო დღედ გამოცხადება!

რუსუდან შელია
557-100-768

9 აპრილის სისხლიანი დარბევიდან 24, ხოლო დამოუკიდებლობის აქტის აღდგენიდან 22 წლის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პაატა ბარათაშვილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ახალი ინიციატივით გამოდის: ქართველებმა 9 აპრილი საზეიმო დღედ უნდა გამოვაცხადოთ!

9 აპრილის სისხლიანი დარბევიდან 24, ხოლო დამოუკიდებლობის აქტის აღდგენიდან 22 წლის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **პაატა ბარათაშვილი** უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ახალი ინიციატივით გამოდის: ქართველებმა 9 აპრილი საზეიმო დღედ უნდა გამოვაცხადოთ!

„ვერსიასთან“ საუბრისას, „კონსერვატორების“ წევრი განმარტავს, რომ 9 აპრილის ტრაგედია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველი გახდა: **„9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველად მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება შევძელით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდიამ ტრაგედიის დღე საზეიმო დღედ აქცია და დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. დიახ, მაშინ ქართველების ცრემლი სიხარულმა შეცვალა. ჩემი ინიციატივა ქვეყანაში დამოუკიდებლობის აღდგენის ორი თარიღის არსებობას არ გულისხმობს. უბრალოდ, 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე უნდა აღვნიშნოთ. ჩვენ უკვე ზეიმის ფორმებზეც ჩამოვყალიბდით, ამჟამინდელი პარლამენტისა და იმ უზენაესი საბჭოს წევრები, რომლებმაც დამოუკიდებლობის აღდგენას ხელი მოაწერეს, ძველი პარლამენტის შენობაში, დანგრეულ დარბაზში შევიკრიბებით. იმედი მაქვს, ჩვენი ინიციატივა ტრადიციულ სახეს მიიღებს“.**

თანაგუნდელის ინიციატივას „კონსერვატორების“ ლიდერი **ბიძინა გუჯაბიძეც** იზიარებს და მიიჩნევს, რომ ზოგჯერ საზოგადოებამ თავისუფლება სისხლით უნდა მოიპოვოს: **„დიახ, 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა და მიმაჩნია, რომ 26 მაისი ამ დღეზე მეტ მნიშვნელობას არ ატარებს. თუ ისტორიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ნებისმიერი დიდი მონაპოვარი გარკვეულ დანაკარგებს უკავშირდება. საქართველოსა და ეროვნულ გმირებს სისხლისღვრა არ უნდოდათ. 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე აქცია მშვიდობიანი იყო, იქ ყველა თავისუფლების მოსაპოვებლად მივიდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსეთის ჯარი, პარტიული ნომენკლატურა გაუგონარ სისასტიკეს ჩაიდენდა. ქართველებმა კარგად ვიცით, რომ ზოგჯერ, დიდი თავისუფლება სისხლით მოიპოვება, ამიტომაც 9 აპრილი მხოლოდ ტრაგიკული დღე არ არის. დარწმუნებული ვარ, როგორც ჩემთვის, ასევე სრულიად საქართველოსთვის და, უშუალოდ, დაღუპული ადამიანების ოჯახის წევრებისთვისაც პატივია, რომ 9 აპრილს ფუჭად არ ჩაუვლია. ვფიქრობ, საქართველოს ისტორიაში ეს ორი უმნიშვნელოვანესი დღე ერთმანეთს ხელს არ უშლის. მეტიც, მიმაჩნია, რომ 9 აპრილი 26 მაისის მნიშვნელობას სულაც არ დააკნინებს“.**

„კონსერვატორების“ საკანონმდებლო წინადადებას „რესპუბლიკელების“ ლიდერი **დავით ბერძენიშვილიც** იზიარებს და მიიჩნევს, რომ მიუხედავად სისხლიანი დარბევისა, დამოუკიდებელი საქართველო სწორედ 9 აპრილს დაიბადა: **„აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ სწორედ 9 აპრილია მითითებული, ამიტომაც საპარლამენტო უმრავლესობამ მივიღეთ გადაწყვეტილება, თბილისში, პარლამენტის შენობაში დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერებთან შეხვედრა გავმართოთ, რადგან ეს დღეები ერთად გავიარეთ. შეხვედრის ორგანიზატორი ზვიად ძიძიგური იქნება, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება. ასე რომ, ჩვენ იმ ადამიანების ღვაწლს ვაფასებთ, რომელთა ბრძოლამაც შედეგი გამოიღო და საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა. კარგად მახსოვს, ზვიად გამსახურდიას გამოსვლაც, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს განაცხადა, ჩვენ რუსთაველზე დაღუპული ადამიანების სულები გვლოცავენო. დიახ, ქუჩიდან გაჟღერებული მოთხოვნა, უზენაესი საბჭოს დარბაზში სახელისუფლო ძალამ დაამტკიცა და საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად დაიბადა, ამიტომ მიუხედავად ტრაგედიისა, ჩვენთვის 9 აპრილი გამარჯვების დღეა!“**

ამ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მოსაზრებები ემთხვევა. ნაციონალური მოძრაობის წევრი **აკაკი გოგოხიძეც** მიიჩნევს, რომ 9 აპრილის როლი საქართველოს ისტორიაში არ უნდა დაიკარგოს: **„საქართველო დამოუკიდებელ ქვეყანად 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე გამოცხადდა, ამიტომაც გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღე სწორედ 9 აპრილია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქართველებმა 26 მაისის მნიშვნელობა დავივიწყოთ. ვფიქრობ, მოსაძებნია ფორმა, რომლის მიხედვითაც ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირდება და არც ერთის როლი არ დაიკარგება. ჩვენ იმდენად მძიმე წარსული და ისტორია გვაქვს, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი სისხლიან ინციდენტს უკავშირდება, ამიტომ 9 აპრილი ისტორიაში, ყველა მინუსითა და პლუსით უნდა შევიდეს“.**

9 აპრილს საზეიმო დღედ აღიქვამს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც. პარტიის თავმჯდომარის, **ბაჩუკი ქარდავას** თქმით: **„ეროვნულ-დემოკრატები ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ 9 აპრილი, დიდი ტრაგედიის გარდა, დიდი გამარჯვების დღეც არის, რადგან ქართველმა ერმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ღიად დააფიქსირა. 9 აპრილს დაღუპული ადამიანები სწორედ ერის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ. იგივე კონტექსტში შეგვიძლია 1988 წლის ნოემბრის აქციაც განვიხილოთ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა პირველად გაჟღერდა. მიმაჩნია, რომ ჩვენ 1917 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის სამართალმემკვიდრეები ვართ, რომელიც 9 აპრილის აქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა. მსხვერპლის მიუხედავად, თუ ბრძოლის დღე გამარჯვებით სრულდება, საზეიმოდ უნდა აღინიშნოს. ქრისტეს ჯვარცმაც ტრაგედია იყო, თუმცა მას აღდგომა და ამაღლება მოყვა“.**

9 აპრილის მშვიდობიანი აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ეროვნული მოძრაობის ლიდერი **ირაკლი წერეთელი** დამოუკიდებლობის აღდგენის დღის საზეიმოდ აღნიშნავს კატეგორიულად არ ეთანხმება, თუმცა მიიჩნევს, რომ რუსთაველის გამზირზე დაღუპული ადამიანების ხსოვნა ხელისუფლებისგან პატივისცემას იმსახურებს: **„9 აპრილი სწორედ იმიტომ იმსახურებს ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას, რომ ტრაგედიის მეორე წლისთავზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებმა 9 აპრილს ტაშ-ფანდური მოვაწყოთ“.**

საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის პოზიციას რადიკალურად ემიჯნება 9 აპრილის მონაწილე **ფიქრია ჩიხრაძე**. „მემარჯვენეების“ ლიდერი მიიჩნევს, რომ 24 წლის წინ მიღებული ტრავმის ზეიმად ტრანსფორმაცია ახალი ხელისუფლების გაუმართლებელი გადაწყვეტილებაა: **„9 აპრილის გახსენებისას ზეიმის განცდა ნამდვილად არ მიჩნდება. არა მხოლოდ მე, როგორც ტრაგიკული აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, სრულიად საქართველომ, მაშინ უზარმაზარი ტრავმა მიიღო, ასე რომ, ნამდვილად არ ვფიქრობ, 9 აპრილის ზეიმად ტრანსფორმაცია გამართლებული გადაწყვეტილებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თაობებმა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას სიცოცხლე შესწირეს, რომელსაც ერთი მტერი — ჯერ საბჭოთა კავშირი და შემდეგ რუსეთი ჰყავდა. არ ვამბობ, რომ რუსეთზე აკვიატებულად უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ვინც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რომ საქართველოს მომავალი რუსეთთან მჭიდრო კავშირს არ გულისხმობს. საერთოდ, არ მესმის, რატომ ცდილობს ყოველი ახალი ხელისუფლება თარიღების, დროშებისა და ჰიმნების შეცვლას“.**

ქრისტინე მალანია

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორ შეხვდება 9 აპრილის საზეიმო დღედ გამოცხადებას საზოგადოება. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სხვადასხვა ასაკის ადამიანები გამოვკითხეთ. უმრავლესობას რადიკალური პოზიცია აქვს და მიიჩნევს, რომ უსამართლობას შეწირული უდანაშაულო ადამიანების გარდაცვალების დღის საზეიმოდ გამოცხადება დაუშვებელია და თუნდაც დამოუკიდებლობის აღდგენის მოტივით, საზეიმო ღონისძიების გამართვა, დაღუპული გმირებისადმი უპატივცემულობა იქნება.

აზრი გაიყო 25 წლამდე ახალგაზრდებში. მათი ნაწილი, მიიჩნევს, რომ გლოვას ზეიმი სჯობს და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ქართველი გმირების მიერ გაღებული მსხვერპლიც, უმჯობესია, საზეიმო ვითარებაში აღინიშნოს. 25-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანების პოზიცია ემთხვევა 50-დან 77 წლის მოქალაქეების პოზიციას და მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 9 აპრილი გლოვის დღე იქნება, რადგან ამ დღეს უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაღვარა. გამოკითხულთა შორის ტრაგედიის უშუალო თანამონაწილეებიც აღმოჩნდნენ. „ვერსია“ რამდენიმე მოქალაქის პოზიციას გთავაზობთ.

„ჩემთვის 9 აპრილი გლოვის დღე იყო და ასეც დარჩება“

ეთანხმება თუ არა საზოგადოება უმრავლესობის ინიციატივას 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენისა და გლოვის დღედ გამოცხადების შესახებ

თემურ ახვლედიანი, 57 წლის: „მეც იმ ტრაგედიის თანამონაწილე ვარ. პოლიციის თანამშრომელი ვიყავი მაშინ. 21 უდანაშაულო ბიჭი დავკარგეთ და მეც კინაღამ დავიღუპე. იქნებ მიპასუხოს ვინმემ, ეს ლხინის დღედ როგორ უნდა გადავაქციოთ?! მე ყოველთვის მომადგება ცრემლი ამ დღის გახსენებისას და რის საკეთილდღეოდ შევცვალო ეს ჩემი ცრემლი, მითხრან“.

თამუნა, 19 წლის: „არასოდეს დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ 9 აპრილი საზეიმო დღედ გამოცხადდეს. ამ დღეს მოხდა ყველაზე დიდი ტრაგედია, რუსეთის ჯარმა გამოიყენა თავისი ძალა, რომელმაც ჩვენი ახალგაზრდები შეიწირა“.

მანანა, 36 წლის: „ვეთანხმები ამ ინიციატივას, რადგან 9 აპრილის შემდეგ ბევრი წელი გავიდა და 2-3 წლის შემდეგ ოჯახის წევრებსაც აღარ ვგლოვობთ. ვიცი, ბევრი მოწინააღმდეგე გამომიჩნდება, მაგრამ მიმაჩნია, გლოვის დღის აღნიშვნას, 9 აპრილის საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა სჯობს“.

ვახტანგი, 72 წლის: „ქართველი ხალხი 9 აპრილს მომხდარ ტრაგედიას ვერასოდეს მოინელებს. მეც იქ ვიდექი, ამ დღის უშუალო მონაწილე ვარ და კარგად ვხედავდი, რაც ხდებოდა ირგვლივ. ეს იყო უდიდესი უსამართლობა, რომელსაც უდანაშაულო ადამიანები შეეწირა. საზეიმოდ სხვა დღეების აღნიშვნა შეიძლება, მაგრამ ეს ტრაგედია არც ისტორიიდან წაიშლება და არც ადამიანების გონებიდან“.

ნანა ლომიძე, 33 წლის: „ლოგიკა იმაში, რომ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა აღდგა და ეს თარიღი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ უნდა გამოცხადდეს, არის. მესმის ისიც, რომ კარგია, როცა უდანაშაულოდ დაღუპული ადამიანების გმირობამ და თავდადებამ ფუჭად არ ჩაიარა — მათ ჩვენ დამოუკიდებლობა გვაჩუქეს და ამის გამო, მათ სულებს პატივი ყოველთვის უნდა მივაგოთ. მიუხედავად ამისა, ემოციურად, ჩემთვის, 9 აპრილი, სისხლისღვრასთან, ჩახოცილ ადამიანებთან, სასტიკად მოკლულ ორსულ ქალთან ასოცირდება... ეს ჩემთვის ყოველთვის დარჩება გლოვის დღედ. ვფიქრობ, ადამიანების უმრავლესობას, 9 აპრილის საზეიმო დღედ გამოცხადებასთან შეგუება, გაუჭირდება“.

„ხელისუფლებისთვის გონივრული ვადა დასრულებულია, ახლა მწვავე შეკითხვების დასმის დროა“

რაზე მოსთხოვენ პასუხს მმართველ გუნდს, რატომ არ მონაწილეობენ შუალედურ არჩევნებში და როდის გააქტიურდებიან პოლიტიკურად „ახალი მემარჯვენეები“

ეროსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლებისთვის მიცემული გონივრული ვადა ამოწურულია და ახლა მმართველი გუნდის მისამართით მწვავე კითხვების დასმის დრო დგება. რა შეცდომას უშვებს კოალიცია, როგორ აფასებს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ 19 აპრილის აქციას და რა მიმართულებით ითანამშრომლებს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, „ვერსია“ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს, ფიქრია ჩიხრაძეს ესაუბრა.

— კარგი იქნებოდა, ნაცმოძრაობას ქვეყნის განვითარებაზე ხელისუფლებაში ყოფნის დროს ეფიქრა. იმის გამო, რომ ამის კეთილი ნება არ გამოიჩინა, დღეს ოპოზიციაშია და პოლიტიკური ცხოვრება აბსოლუტურად სხვა რეალობაში უწევს. ფაქტია, სრულიად ნაციონალური სპექტრი, დღეს მხოლოდ პარტიულად გადარჩენას ცდილობს, ამასთან ამომრჩევლისთვის იმედის ჩასახვაც უნდათ, მაგრამ 19 აპრილის აქციაზე კარგად გამოჩნდება, რამდენი ადამიანია მზად რუსთაველის გამზირზე მათთვის ღია მხარდაჭერის გამოსაცხადებლად.

— 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, ბევრი პროვოკაციასა და დაპირისპირებას ელოდება, რათა ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკური მსხვერპლის როლი კიდევ ერთხელ მოირგოს. „ნაციონალების“ ამ გამოწვევას მმართველი გუნდი მომზადებული შეხვდება?

— იმედი მაქვს, მმართველ გუნდი ყოველგვარი დაპირისპირების თავიდან აცილებას შეძლებს, თუმცა ნაციონალურ მოძრაობასაც პროვოკაციების დასაგეგმად საკმაოდ მცირე რესურსი აქვს. სხვათა შორის, ნაციონალებს მსხვერპლის ნიღბის მორგებაში მმართველი გუნდიც ეხმარება, თუნდაც იმ დაკითხვა-გათავისუფლების პროცესით, რასაც პროკურატურა გვთავაზობს. უპრიანი იქნება, ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსნების დაკითხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს არ ემთხვეოდეს. ფაქტია, პროკურატურაში დეპუტატების დაბარება საკრებულოს სხდომებს ემთხვევა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ პარლამენტის წევრებზეც.

— ამ ფონზე, ნაცმოძრაობაა პროკურატურის ზეწოლის მსხვერპლი თუ უბრალოდ, კბილაშვილის უწყება უშვებს გაუცნობიერებელ შეცდომებს?

— პროკურატურას რომ გარკვეული პრობლემები აქვს, ალბათ ამაზე არავინ დავობს. ფაქტია ისიც, რომ პროკურატურის ქმედებებმა საზოგადოებაში ნიჰილიზმი გააჩინა. ბუნებრივია, იმის მომხრე არ ვარ, საქმეები დაჩქარებული წესით გამოიძიონ. არც „დედლაინების“ დაწესება ღირს, მაგრამ არსებობს საქმეები, რომლებიც, პრაქტიკულად, შესწავლილი იყო და წერტილდასმული მასალების გამოქვეყნებას დიდი დრო არ სჭირდებოდა. იმედია, თუნდაც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, საზოგადოება დეტალურ ინფორმაციას მიიღებს — ეს ის საქმეა, რომელშიც ყველაფერი მანამდეც ცნობილი იყო. უბრალოდ, მაკავშირებელი კვანძები სჭირდებოდა. აგვისტოს ომის საკითხი კი, მმართველმა გუნდმა პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა განიხილოს. შესაძლოა, ამ პროცესმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები დააზარალოს.

— ეს ნიშნავს, რომ გენერალური პროკურორის განცხადებას არ ეთანხმებით და აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სააკაშვილის დაკითხვის მომხრე არ ხართ?

— ამაში ტრაგედიას ნამდვილად ვერ ვხედავ. საკმაოდ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, მაღალი თანამდებობის პირები არაერთხელ დაუკითხავთ. კარგი იქნება, ის ადამიანები, რომლებიც ჰააგის ტრიბუნალზე მიხეილ სააკაშვილის წარდგენას ითხოვენ, იგივე პათოსით, პუტინის საერთაშორისო გასამართლებასაც ითხოვდნენ. დამოკიდებულება, როცა პრეტენზიები მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების მიმართ გიჩნდება, სამშობლოს ოკუპანტი ქვეყნის მიმართ კი შემწყნარებელი ხარ, პირადად ჩემში, სერიოზულ ეჭვებს იწვევს. მით უმეტეს, პუტინიცა და მედვედევიც საჯაროდ აცხადებდნენ, რომ აგვისტოს ომის პროვოცირება საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შესაჩერებლად მოახდინეს. ეს არის რეალობა, რომელზეც საქართველოს კეთილდღეობაზე მზრუნველმა ადამიანებმა თვალი არ უნდა დახუჭონ.

— „ახალი მემარჯვენეები“ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობაზეც კი უარს აცხადებთ და პოლიტიკურ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებთ, რატომ?

— შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას ვგეგმავდით იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მოესწრებოდა, რადგან ეს პროცესი კონსტიტუციურმა პროცესებმა „შეჭამა“ და ცვლილებები ვერ განხორციელდა, გადავწყვიტეთ, თავი შევიკავოთ.

> **რაც შეეხება პოლიტიკურ პასიურობას — სახელისუფლო პარტია არ ვართ, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სხვა პოლიტიკურ რეალობაში აღმოვჩნდით. ერთგვარი გარდამავალი პერიოდი გვქონდა — თავმჯდომარე შეიცვალა, კომიტეტი განახლდა, ხოლო სტრუქტურული ცვლილებების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. სამწუხაროდ, ბოლო სამი თვის განმავლობაში, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ კანონპროექტს სრულიად პოლიტიკური სპექტრი, მთავრობა, პარლამენტი და ზოგადად, ქვეყანაც გადაყვა. რეალურად, პოლიტიკურ ასპარეზზე სხვა თემა არ არსებობდა, რაც გაუმართლებელი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, „მემარჯვენეებს“ ჩასაფრებულ პოზიციაში ყოფნის სურვილი არ გვაქვს. ალბათ, ნელ-ნელა დგება პერიოდი, როცა ხელისუფლებას საკუთარ ქმედებებზე პასუხი უნდა მოვთხოვოთ. პირველივე საპარლამენტო სხდომაზე წინასაარჩევნო დაპირებებზე საუბარი არასერიოზულია, მაგრამ როცა არჩევნებიდან ნახევარი წელი გადის, უნდა გამოიკვეთოს მიმართულებები, საით მიდის ქვეყანა.**

— ეს გარკვეული არ არის? ხელისუფლება სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. თუნდაც, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რაც წინასაარჩევნოდ თქვენი პარტიისთვის უმთავრესი საკითხი იყო...

— ხელისუფლება წინასაარჩევნო დაპირებების მძევალი ვერ იქნება, მაგრამ არის სფეროები, რომელიც მმართველი გუნდისგან სწრაფ და ეფექტურ ქმედებებს საჭიროებს. მისასალმებელია ის პროექტები, რაც თუნდაც, სოფლის მოსახლეობის დახმარების კუთხით ხორციელდება, მაგრამ მხოლოდ ერთ სეზონზე გაწეული დახმარება სოფლის მეურნეობისა და გლეხის წელში გასამართად საკმარისი არ არის. უკვე დადგა დრო, მმართველ გუნდს პასუხი მოეთხოვოს თუნდაც ბიზნესთან მიმართებაში. ფაქტია, ამ მიმართულებით ქვეყანაში ვითარება არ გაუმჯობესებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრესს თითოეული ქართველი საკუთარ ყოფაზე იგრძნობდა. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება და არც ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდება, შესაძლოა, სავალალო შედეგამდეც მივიდეთ. სამწუხაროდ, მონოპოლიების საკითხიც მმართველი გუნდისთვის მხოლოდ წინასაარჩევნო თემად დარჩა, რადგან მისი განვრცობა, ჯერჯერობით, ვერ დავინახეთ. ასე რომ, ხელისუფლებისთვის გონივრული ვადა დასრულებულია, ახლა მწვავე შეკითხვების დასმის დროა.

— თანაც საპრეზიდენტო არჩევნებიც ახლოვდება. კონსულტაციებს რომელიმე ძალასთან არ მართავთ და ახალი პოლიტიკური მარათონისთვის არ ემზადებით?

— ამ ეტაპზე, ჩვენთვის, საპრეზიდენტოზე მეტად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია საინტერესო. თან იმ ფონზე, როცა საპრეზიდენტო მოდელი ჯერ კიდევ გაურკვეველია და თუ ქვეყნის პირველ პირს შეზღუდული უფლებები ექნება, არჩევნებიც პარტიებისთვის უინტერესო ხდება. სხვათა შორის, თვითმმართველობის მიმართულებით საკმაოდ ბევრი გვიმუშავია და დიდი გამოცდილებაც დაგვიგროვდა.

> **დღეს მმართველი გუნდი აბსოლუტური უფლებებისთვის იბრძვის და ეს სიმპტომები შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ამ შემთხვევაში, ერთადერთი კითხვა მიჩნდება, ყველა ხელისუფლების პირობებში ხომ არ შეიძლება, ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებდეთ? იმედი მაქვს, ერთხელ და სამუდამოდ, ქვეყანა ნორმალური განვითარების რელსებზე გადავა. რაც შეეხება სხვა პარტიებთან კონსულტაციებს, ამ მიმართულებით პროგრესი მართლაც გვქონდა. საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით, როგორც უმრავლესობასთან, ისე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან აქტიურად ვთანამშრომლობდით. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ერთმანეთთან დაახლოებული პოზიციები შევიმუშაოთ.**

— ანუ შეიძლება, არასაპარლამენტო ოპოზიციამ კოალიცია შექმნას?

— არა, ეს საკითხი ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა. ამ მიმართულებით, ერთობლივი ინიციატივა კახა კუკავას პარტიასთან, „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და სხვა რამდენიმე პოლიტიკურ სუბიექტთან წამოვაყენეთ. ვფიქრობდით, შეხვედრები „აირაისა“ და „ენდიაის“ ხელშეწყობით დაწყებულიყო. მით უმეტეს, მსგავსი პრეცედენტი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე, ეს ვერ მოხერხდა. ჩვენ შევეცდებით, კოორდინაცია არჩევნებთან დაკავშირებით შევინარჩუნოთ, რაც ბუნებრივია, გაერთიანებას არ გულისხმობს.

ვერსიანიუსი

დავით დარახველიძე: „რამდენიმე ობიექტზე დევნილთა დავალიანებას მთავრობა დაფარავს“

თბილისში კომპაქტურად ჩასახლების რამდენიმე ობიექტზე დევნილთა მიერ დაგროვილი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადს მთავრობა დაფარავს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, დავით დარახველიძის განცხადებით, განიხილება საკითხი, რომ დევნილთა მიერ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე, საერთო ჯამში, დარიცხულ ნახევარ მილიონ ლარამდე დავალიანება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიფაროს.

დარახველიძის განმარტებით, ამ ეტაპზე, საუბარია მხოლოდ ბაქოს ქუჩაზე და ზღვის დასახლებაში მცხოვრებ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებზე, სამომავლოდ კი, სამინისტრო კიდევ 12 ობიექტში ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დავალიანების დაფარვის საკითხს განიხილავს.

„მათ შემთხვევაში, დავალიანების ზუსტი ოდენობა დაზუსტებული ჯერჯერობით არ არის, ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს და სხვა 12 ობიექტში ჩასახლებული დევნილებისთვის დავალიანების დაფარვაზე მთავრობა მომავალ სხდომებზე იმსჯელებს“.

„ინტერპრესნიუსი“

„ეს არც საბაზრო ეკონომიკაა, არც დემოკრატიული ქვეყანა, ეს ჩვეულებრივი, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოა!“

რატომაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამა ბლეფი, რატომ უწოდებს საფარიფო პოლიტიკას „ბოლს“ და მიგრაციის რა საშიშ ტენდენციებზე საუბრობს დემურ გიორხელიძე?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ახალ ხელისუფლებას და პირადად, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ყურადღება მართებს. რეალური, პროფესიონალური ქმედებების დეფიციტი, მოლოდინის გაურკვეველი დროით გადატანა, მერყეობა სხვადასხვა მიმართულებით, კარგად ორგანიზებული ოპოზიციისთვის მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ბერკეტების უნებური გადაცემა, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდის ლიდერების არასათანადო პოლიტიკური მოქმედება — საშიშია მოვლენების სასურველი მიმართულებებით განვითარებისთვის“, — ასეთი მიმართვა გაავრცელა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე და „ვერსიასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუც ამ თემის გაშლით დაიწყო.

— დიახ, ეს ჩემი გულწრფელი, პასუხისმგებლობის გრძნობის გამო ნათქვამი სიტყვებია. თუ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება, ამ ხელისუფლებას წარუმატებლობა გარანტირებული აქვს. რაც შეეხება ოპოზიციას, ეს გადარჩენაზე მებრძოლი, ერთიან პარტიულ დისციპლინას დაქვემდებარებული, ორგანიზებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი ჯგუფია. ამორფულმა კოალიციამ, რომელსაც არც პარტიული დისციპლინა აქვს და არც პრაგმატული პოლიტიკური გათვლები გააჩნია, ოპოზიციას საშუალება მისცა, სერიოზული დივიდენდები მიეღო, ვგულისხმობ საკონსტიტუციო ცვლილებებს. ახალი პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება გარდაუვალი პროცესია — თუ პოლიტიკაში ხარ, არ შეიძლება, უყურო ოპოზიციას და ხელისუფლებაში მყოფ კოალიციას, არ შეიძლება, გაჩერდე და დაელოდო, ვინ რას შემოგთავაზებს, პოლიტიკაში თავად უნდა მოიპოვო ყველაფერი.

— ბატონო დემურ, პრემიერის მითითებით, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შემუშავდეს, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, „შერატონში“ უკვე გაიმართა შეხვედრა დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მაგრამ პრიორიტეტები ჯერ არ განუსაზღვრავთ. კონკრეტულად, რა პრიორიტეტები უნდა გააჩნდეს ქვეყანას?

— არ მესმის, რა როლი აქვს დონორ ორგანიზაციებს საქართველოს განვითარების კონცეფციაში? დონორებმა უნდა განგვისაზღვრონ, როგორ სახელმწიფოში უნდა იცხოვრონ ქართველებმა? საქართველოს განვითარების სტრატეგია ქართულ წიაღში უნდა შემუშავდეს, ამისთვის საკმარისზე მეტი ინტელექტუალური შესაძლებლობა არსებობს. ეს კონცეფცია დეტალურად უნდა გააცნონ საქართველოს მოქალაქეებს, საზოგადოებიდან სრული მხარდაჭერაა საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება ამ დოკუმენტს ნორმატიული ძალა. თუ ვინმეს უცხოელების დახმარება სჭირდება, რათა ქვეყნის პრიორიტეტები განსაზღვროს, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე. რა თქმა უნდა, მთავარი პრიორიტეტი განათლება უნდა იყოს, რადგან ეს ქვეყნის ცენტრალური, სტრატეგიული მიზანია. განათლებაში დევს ქვეყნის მომავალი, წარმატება და ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მფლობელის პერსპექტივა. პრიორიტეტია ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და, რაც მთავარია, სწორი სამეზობლო პოლიტიკის შემუშავება. ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლავართ, თუმცა არ მესმის, რა წესია დონორებზე დატაკება? არ მესმის ძველი მთავრობის, არ მესმის ახალი ხელისუფლებისა, რომელიც უხერხულად უყურებს უცხოელ ექსპერტებსა და დონორებს, როდესაც ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს.

— აზიის განვითარების ბანკისა და ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერებმა თქვეს, რომ მხარს დაუჭერენ ქვეყნის სწრაფვას სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაში. იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციას ხელისუფლების პროდასავლური ორიენტაცია აეჭვებს, იქნებ ღირდა კიდეც დონორებთან შეხვედრა, რათა საკუთარი მხარდაჭერა ხაზგასმით დაეფიქსირებინათ?

— წინა ხელისუფლებამ ბრწყინვალედ მოახერხა, რომ ნატო-სა და დასავლური ორიენტაციის საკითხები პროფანაციად ექცია. სახელმწიფოს განვითარება დაკავშირებულია არა ნატო-სთან, არამედ ქვეყნის სწორ ორიენტაციასთან, რაშიც ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს ვგულისხმობ.

თუ ორიენტირებული ხარ საკუთარი ერის განვითარებაზე, თუ საკუთარი სამართლებრივი სახელმწიფოს აგება გინდა, თუ გსურს, ხელისუფლება გაწონასწორებული იყოს, რომელიც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს და გინდა, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქმედებდე, ერთადერთი გზა გაქვს — დასავლური ორიენტაცია! დასავლეთისა და ნატო-ნატოს ძახილი არაფერს ნიშნავს. ეს ყველაფერი იქამდე დაიყვანეს, გამომთაყვანებელ პროპაგანდად აქციეს და უკვე სასაცილოდაც კი ჟღერს! ყველა ის ადამიანი, რომელიც მეორეს ეკითხება, ნატო-ს მომხრეა თუ არა, ან კრეტინია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ან საშინელი დემაგოგი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის, რას აკეთებს!

— სოციალურ ქსელში ისიც დაწერეთ, რომ ახალი ტალღის მიგრაცია გაცილებით საშიში ტენდენციაა, ვიდრე აქამდე იყო. გამოდის, საქართველოს მოქალაქეები ისევ ტოვებენ ქვეყანას?

— რაშიც დარწმუნებული არ ვარ და რაც საკუთარი თვალით არ მინახავს, საჯაროდ არ ვამბობ. მიუხედავად ხელისუფლებების ცვლისა, პროფესიონალი, წესიერი ადამიანისადმი დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა. ბედნიერებაა, დღეს ადამიანებს ქონებას რომ აღარ ართმევენ, განუკითხავად არ იჭერენ, რაც უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ახლა დგება პერიოდი, როდესაც ინსტიტუციონალურმა, სამართლებრივმა, კონკურენტულმა გარემომ უნდა გააჩინოს მოთხოვნა პროფესიონალ, წესიერ, კვალიფიციურ ადამიანზე. ეს ფასეულობები საქართველოში დაკარგულია, არავის სჭირდებოდა ეს ხალხი, რადგან თუ პატიოსანი და პროფესიონალი ხარ, მათ უქმნი საფრთხეს, ვინც თანამდებობებს მიეხეთქა და ცდილობს, საკუთარი ბიძაშვილ-მამიდაშვილები მიათრიოს სამსახურებში. რაკი დასაქმების მხრივ ძალიან ცუდადაა საქმე, ცხადია, გასაკვირი არაფერია, ადამიანები პერსპექტივას რომ ვერ ხედავენ, რის გამოც ქვეყნიდან კვალიფიციური კადრების გადინება დაიწყო. განათლებული ადამიანები ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ მაშინ, თუ სამშობლოში, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, თვითრეალიზაციის საშუალებას ვერ ხედავენ. მოკლევადიანი გაჭირვება და პრობლემები ადამიანებს არ აშინებს, რადგან იციან, რომ შესაძლოა, ერთი წელი უმუშევრად იყვნენ, მაგრამ პერსპექტივა არსებობს.

საქმე იქით მიდის, თუ მიგრაციის ტალღა არ შეჩერდა, ქვეყანაში 900 000-მდე პენსიონერი და ერთი ამდენი შეჭირვებული ადამიანი დაგვრჩება. დღეს თუ საქართველოში შიმშილით არავინ იღუპება, იმის დამსახურება კი არ არის, რომ ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილებია, არამედ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, საზღვარგარეთ მყოფი მისივე ოჯახის წევრი ინახავს. ეს არის საგანგაშო ტენდენცია, რომელიც უნდა გადატყდეს, ეს ყველაზე დიდი და ფუნდამენტური პრობლემაა, რაც საქართველოს მთავრობას აქვს.

დასასრული მე-6 გვერდზე

აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერი თელია რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება

აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერი თელია რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. ხელვაჩაურში მდებარე კლინიკა „მედინას“ ხელმძღვანელის, ჯუმბერ უნგიაძის თქმით, პაციენტს სტრესი და სისხლძარღვოვანი პრობლემები ჰქონდა: **„პაციენტი რეანიმაციაში წევს. ახლა კარგად არის და გაივლის რეაბილიტაციის კურსს. დიაგნოზი კიდევ ზუსტდება“.**

მანამდე, ვალერიან თელია ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა. ექიმების ინფორმაციით, მას დაუდგინდა კონვერსიული აშლილობა, გაიარა ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რის შემდეგაც საკუთარი სურვილით სამკურნალოდ, კლინიკა „მედინაში“ გადაიყვანეს.

თელიას ავადმყოფობამ გარკვეული ეჭვები გაუჩინა საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძეს, რომელიც ბათუმში 28 მარტს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ნარკოლოგიურ შემოწმებას ითხოვდა: **„ანალიზის ნიმუშის გაკეთება მანამდეც შეიძლება, სანამ რაიმე სახის პრეპარატით მკურნალობა დაიწყება. თუ ვინმე იტყვის, რომ გარკვეული პრეპარატის გამოყენების გამო, ანალიზი ვეღარ გაკეთდება, ეს იქნება არასწორი და არადამაჯერებელი. ვიმედოვნებ, ასე არ მოხდება და ამგვარი რამ დაგეგმილი არ არის. ჩვენი ინფორმაციით, ვალერიან თელიას ნამდვილად აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც, ძალიან ვწუხვართ და მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ“.**

კოჟორიძეს ინფორმაციით, აჭარაში არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდნენ, თუმცა მომხდარის გამო გადაიფიქრეს. სამაგიეროდ, ძალაში რჩება საია-ს მოთხოვნა ვალერიან თელიას ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. კოჟორიძეს თქმით, საია კონკრეტული პოლიციელის წინააღმდეგ არ მოქმედებს და ეს სამართალდამცავ ორგანოებში სწორი მიდგომებისა და ხედვების ჩამოყალიბებას ემსახურება.

მომხდარს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა. მისი თქმით, ვალერიან თელიას ისევე, როგორც სამინისტროს ყველა სამმართველოს ხელმძღვანელს, ნარკოტესტი ჩაბარებული აქვს. ღარიბაშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ ითხოვენ, მისი თანამშრომლებისთვის ნარკოტესტის ჩატარებას: **„როგორ წარმოგიდგენიათ, რომ მე მოვითხოვო საია-ს ან სხვა უწყების თანამშრომლებისთვის ნარკოტესტის ჩატარება. თქვენ კარგად იცით, რომ მე და ჩემმა მოადგილეებმა ნარკოტესტი ჩავაბარეთ. ასე მოიქცა ყველა სამმართველოს ხელმძღვანელი და მათ შორის, ვალერიან თელიასაც ნარკოტესტი ჩაბარებული აქვს. ძალიან მრცხვენია, რომ უბრალოდ, ჭიქაში ქარიშხალი ატეხეს. ითქვა, თითქოს თელიამ რაღაც ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარა და ამის გამო, შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა. ეს არის ტყუილი და სირცხვილი. ის მალე გამოვა საავადმყოფოდან და მუშაობას გააგრძელებს. ვალერიან თელია აჭარის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე 24 საათი ზრუნავს. რაც მოხდა, მოხდა... შესაძლოა, ბევრი რაღაც მეც არ მომეწონა. ის არის პოლიციელი, ატარებს მუნდირს, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანია. თელია თითქმის მესამე მსოფლიო ომის ინიციატორად გამოაცხადეს, მაგრამ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი მისამართით სხვა პრეტენზიები არ არსებობს და ეს მახარებს“.**

შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მართვის მოწმობის არქონის გამო, თელია ინციდენტის დღესვე დაჯარიმდა: **„პოლიციელი ჩვეულებრივი ადამიანია. თელიას მართვის მოწმობა არ ჰქონდა და ის სამაგალითოდ დაჯარიმდა, ჯარიმა უკვე გადაიხადა. შესაძლოა, მეც დავარღვიო კანონი და ამის გამო მეც დავჯარიმდები“.**

ღარიბაშვილმა ასევე სიცრუე უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ვალერიან თელია თანამდებობიდან გადააყენეს.

„ვერსიანიუსი“

ირმა ნადირაშვილისა და მაგდა პოპიაშვილის პოლიტიკური დუელი

„ირმა ნადირაშვილი 2009-2010 წლებში სახელმწიფო სამსახურში მუშაობის პარალელურად, „რუსთავი 2“-ში ანაზღაურებად სამუშაოს ასრულებდა“, — ეს განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მაგდა პოპიაშვილმა 3 აპრილს, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, **„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის დავით ტყეშელაშვილის მიერ 2009 წლის 16 თებერვლის №36/კ ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წერილობითი განცხადების საფუძველზე, ირმა ნადირაშვილი დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე. სამინისტროს საშტატო განრიგის შესაბამისად, მისი თანამდებობრივი სარგო განსაზღვრული იყო 1900 ლარით. ამავე მინისტრის 2010 წლის 22 აპრილის #48/კ ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის შესაბამისად, ირმა ნადირაშვილი გათავისუფლდა ზემოაღნიშნული თანამდებობიდან, ასევე წერილობითი განცხადების საფუძველზე. ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნიდან გათავისუფლებამდე პერიოდში, მის მიერ თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად მიღებულმა ანაზღაურებამ შეადგინა 28 500 ლარი, ხოლო პრემიის სახით მიღებულმა შემოსავალმა 22 060 ლარი, ჯამში – 50 560 ლარი. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საქართველოს პარლამენტის წევრის, ირმა ნადირაშვილის საკონტაქტო ინფორმაციის გრაფაში – „სამუშაო გამოცდილება“ – მითითებულია, რომ ირმა ნადირაშვილი 2008-2009 წლებში მუშაობდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში პროგრამა „პოსტსკრიპტუმის“ მთავარ პროდიუსერად, ხოლო 2009-2010 წლებში, ამავე კომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსად, კონკრეტულად, თანამდებობაზე მუშაობის თვეები და რიცხვები მითითებული არ არის“.**

ამ ფონზე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ირმა ნადირაშვილის საქმიანობის სამართლებრივი შეფასების მიზნით, მთავარ პროკურატურას მიმართავს. შესაბამისი მასალები, კბილაშვილის უწყებას სამინისტრომ უკვე წარუდგინა.

იმავე 3 აპრილს, სამინისტროს, „პასუხის პასუხი“ გასცა უმცირესობის ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა. მან, პირადად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის პრესსამსახურის უფროსი ნეპოტიზმში დაადანაშაულა: **„როდესაც ნეპოტიზმზე ვსაუბრობდი, გამომრჩა ერთი ფაქტი და ახლა მოგიყვებით. მაგდა პოპიაშვილის მეუღლე დაინიშნა სულ ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ. მაგდა პოპიაშვილი თავად ხელმძღვანელობს პიარსამსახურს ინფრასტრუქტურის სამინისტროში. გარდა ამისა, პოპიაშვილი კიდევ უფრო დატვირთულია. ორი კვირის წინ იმყოფებოდა სტრასბურგში“.**

ირმა ნადირაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მას კანონი არ დაურღვევია: **„სიცრუეა, რომ მე ვმუშაობდი „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსად და პარალელურად, სამინისტროში. როგორც კი გავხდი „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, წამოვედი იმ სამინისტროდან. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუქარა, რომ მე პროკურატურაში დამიბარებენ, უსაფუძვლოა“.**

„ვერსიანიუსი“

„დარწმუნებული ვარ, ამის უკან დგას ნაციმოძრაობისა და გიგი უგულავას კომერციული ინტერესები... 60-მდე ოჯახს ტოვებენ ულუკმაპუროდ“

რატომ ხურავენ ყაზბეგის ქუჩაზე სასურსათო ბაზარს და რას აპირებენ მოვაჭრეები

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

საბურთალოზე, ყაზბეგის 70-ში მდებარე ბაზრის მოვაჭრეები დედაქალაქის მერიასა და უფლებადამცველებს დახმარებას, ბაზრის დატოვებასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას სთხოვენ. უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** აცხადებს, რომ: **„ბაზარში მომუშავე ადამიანები ყოფილი გარემოვაჭრეები არიან, რომლებიც დელისის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობდნენ, მაგრამ 2010 წლის 10 აგვისტოს აყარეს, ამ ტერიტორიაზე კი ბაზრობა შექმნეს და დაპირდნენ, რომ მუშაობის საშუალებას მისცემდნენ. როგორც ჩანს, მერიას მერე სხვა კომერციული ინტერესები გაუჩნდა: ტერიტორია შემოსაზღვრულია და აბრაცაა გამოკრული, რომ უნდა აშენდეს შენობა საოფისე ფართებისთვის. აქ გამწვანების ზოლია და ამ მხრივაც მიუღებელია მშენებლობა. მოვაჭრეების მოთხოვნაა, ბაზრობა შენარჩუნდეს, რომელიც მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვისაც, ვინაიდან აქ შედარებით იაფად შეიძლება პროდუქციის ყიდვა. ბაზრის დირექციამ მათ ხელი დაშინებით მოაწერინა რაღაც დოკუმენტზე, რომელსაც ახლა არ გვიჩვენებენ. მოვაჭრეებს უთხრეს, თუ ხელს არ მოაწერთ, ახლავე გაგიშვებთ აქედან, თუ მოაწერთ, აღდგომამდე, უფრო სწორედ, 10 მაისამდე დაგტოვებთ და ვაჭრობის საშუალებასაც მოგცემთო. მოვაჭრეთა მნიშვნელოვან ნაწილს შეეშინდა და დოკუმენტს ხელი მოაწერა. სამართლებრივ ბრძოლას განვაგრძობთ, დოკუმენტაციას შევისწავლით და მოვაჭრეთა უფლებებს დავიცავთ. რადგან დოკუმენტს გვიმალავენ, დიდი ალბათობაა, იურიდიულად გამართული არ იქნება. ეს ადამიანები ბაზარში შემოიყვანა თბილისის მერიამ, რომელმაც მერე ტერიტორია გაასხვისა. დამკვეთი შპს „ვარდიგორაა“ და დარწმუნებული ვარ, ამ კომპანიის უკან დგას ნაციონალური მოძრაობისა და გიგი უგულავას კომერციული ინტერესები. მათ გარეშე, ბუნებრივია, გამწვანებულ ზოლში მშენებლობის ნებართვა არ გაიცემოდა. არადა, 60-მდე ოჯახს ტოვებენ ულუკმაპუროდ, პირდებიან, სადღაც დაგასაქმებთო, მაგრამ რომელ ბაზრობაზეა საუბარი, არავინ იცის და დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერავინ გაარკვია“.**

„ვერსია“ მოვაჭრეებსაც გაესაუბრა და შეეცადა გაერკვია, რატომ მოაწერეს ხელი ხსენებულ დოკუმენტს. მოვაჭრე **დარეჯან მარგველანი** გამოგვიტყდა, რომ დოკუმენტს, სადაც ადასტურებს, 10 მაისს დავტოვებ ბაზარსო, ხელი შიშის გამო მოაწერა: „ბანკების ვალი გვაქვს... ხელი იმიტომ მოვაწერეთ, რომ სხვა გზა არ გვქონდა, შეგვეშინდა, ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ბაზრიდან მეორე დღესვე გვიშვებდნენ. აქ რაღაც მშენებლობას იწყებენ. დაგვპირდნენ, სექტემბერში ახალი ბაზარი იხსნება და იქ გადაგიყვანთო. არავინ იცის, მართლა გადაგვიყვანენ თუ არა“.

ირინა თევზაძე: „დილით ბაზრიდან მოვედი, შეგვიყვანეს და ხელი მოგვაწერინეს, რომ 10 მაისს ჩვენი ნებით გავალთ აქედან. დაგვემუქრნენ, ბაზრიდან გაგყრითო და რა უნდა გვექნა, ბანკის ვალი გვაქვს, რით გადაგვეხადა? ახლა ამ დოკუმენტს დირექტორი არ გვაძლევს. რამდენიმე თვით ადრე უნდა გავეფრთხილებინეთ, რომ აქ ბაზარს კეტავდნენ და ვალს აღარ ავიღებდით“.

მაყვალა მენაბდე: „3 წელია, ამ ბაზარში ვვაჭრობ, სადაც მერიის დადგენილებით შემოგვიყვანეს. მაშინ არავის უხსენებია, რომ ადგილიცა და ბაზარიც კერძო პირის იყო. ეს რომ გვცოდნოდა, ბანკის ვალს მაინც არ ავიღებდით. 2 დღეა, შეგვატყობინეს, რომ ბაზარს ხურავდნენ... სადაა სამართალი? მერიაში განცხადებაც შევიტანეთ, გვითხრეს, განვიხილავთ თქვენ საკითხს და პასუხი 10 დღეში იქნებაო“.

მოვაჭრეების ინფორმაციით, აგრარული ბაზრის მფლობელი ვინმე დიმიტრი აბესაძეა, თუმცა არც მფლობელი და არც დირექტორი, ბაზრის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა. „ვერსია“ ამ უკანასკნელთან გასაუბრებას შეეცადა, მაგრამ მისი კაბინეტი დაკეტილი დაგვხვდა.

„ეს არც საბაზრო ეკონომიკაა, არც დემოკრატიული ქვეყანა, ეს ჩვეულებრივი, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოა!“

მე-5 გვერდიდან

— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ მიგრაციის შესაჩერებლად?

— პირველ რიგში, ჩაკეტილი მონოპოლისტური ჯგუფები უნდა მოსპოს ეკონომიკაში. საქართველოში ფინანსური, სამართლებრივი ინფრასტრუქტურა უნდა ჩამოყალიბდეს, რაც საქმიან ადამიანს შესაძლებლობას მისცემს, დაიწყოს ბიზნესი. აღარ უნდა იყოს ისეთი საშინელი მდგომარეობა, როდესაც შეუძლებელია ბიზნესის დაწყება, თუ ერთი ტომარა ფული და დიდი ქონება არ გაქვს. ზოგადად, მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის საჭირო, გარემო უნდა შეიცვალოს. უნდა აიძულო მონოპოლისტები, სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცნენ, სადაც ყველა მოთამაშე თანაბარ პირობებშია. იმისთვის, რომ ეკონომიკაში კონკურენტული ჯგუფები გაჩნდეს, სამართლებრივი ბაზა, ფინანსური ინფრასტრუქტურა უნდა გქონდეს, რომ დამოუკიდებელ, თავისუფალ ჯგუფებს, ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც ბევრია საქართველოში, საბანკო სისტემა არ ბლოკავდეს. ბანკი მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობს და არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია, მაგრამ ეს ბანკების კი არა, წინა ხელისუფლების ბრალია, რომელიც სპეციალურად ქმნიდა ასეთ მახინჯ სისტემას. ახალ ხელისუფლებას კი ამ სისტემის დემონტაჟი მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კეთილი სურვილი — ყველა ოცნება ასრულდება — არასერიოზული იქნება. რაღაც რომ გააკეთო, უნდა ირბინო მინისტრებთან, რათა მათი ნებართვა და მხარდაჭერა მიიღო. ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა, ეს არ არის დემოკრატიული ქვეყანა, ეს ჩვეულებრივი, საბჭოთა ტიპის სახელმწიფოა! 9 წლის წინაც საბჭოთა ტიპის სახელმწიფო იყო და ის 9 წელიც საბჭოთა სახელმწიფოში ვცხოვრობდით.

— ის, რაც ბანკებთან დაკავშირებით ბრძანეთ, იმის მიზეზია, რის გამოც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამა „ბოლი“ გგონიათ?

— არაფერი მგონია და არანაირი სუბიექტური თუ პიროვნული მიუღებლობა არ გამაჩნია, მაგრამ როდესაც სისულელეს მეუბნებიან, ჩემი გონება მკარნახობს, სისულელეზე არ გავიცინო. ამიხსენით, ის სქემა, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრმა წარმოადგინა, რა შანსს აძლევს ათიათასობით მომლოდინე, სოფლად მცხოვრები გლეხური და ფერმერული მეურნეობის მფლობელს? არანაირ შანსს არ აძლევს, არიქა, მიწა მოგიხანი და აბა, შენ იცი, ახლა როგორ იცხოვრებო, პრობლემის გადაჭრა არ არის. ჯერ ერთი, პირობებს თუ შექმნი, გლეხი დახმარების გარეშე, თვითონ მოხნავს მიწას, გლეხს სჭირდება ის, რაც სოფელს ფეხზე დააყენებს — ადამიანური რესურსის ამოქმედება და კოოპერაციის შექმნა. ფონდებიდან თანხები სწორედ კოოპერაციებში უნდა აკუმულირებულიყო, რომ სერიოზული შედეგი მიგვეღო. ახლა ფაქტობრივად, „დაგვაბოლეს“, აბა, რას ნიშნავს მინისტრის განცხადება, თუ კრედიტი გინდა, მიდი ბანკში და მიიღეო. ბანკები ალტერნატიულ ქონებას, ბიზნესს, შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს ითხოვენ. ახლა რა გავაკეთო, გავიცინო თუ ისევ უხეშად ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ბლეფია, რაც ორ-სამ თვეში გამოჩნდება!

— „ბოლი“ უწოდეთ სატარიფო პოლიტიკასაც. სხვათა შორის, კახა კალაძემ განაცხადა, რომ მზადაა, დაგიმტკიცოთ, რამდენად მნიშვნელოვანია დენისა და გაზის ტარიფის შემცირება.

— ბატონ კახას პატივს ვცემ, მაგრამ რეალურად, ეს გადაწყვეტილება ადამიანების უმრავლესობას შეღავათს არ აძლევს. რაც მთავარია, ტარიფების ცვლილება არ შეეხო ყველაზე მთავარს — მცირე და საშუალო ბიზნესს, რისკენაც მოვუწოდებდი მთავრობას. არა მარტო მცირე და საშუალო მეწარმეები, მოსახლეობაც უდიდეს შვებას იგრძნობდა, თუკი გაზის ტარიფი 14 თეთრით შემცირდებოდა და 36 თეთრი იქნებოდა, ხოლო დენის ტარიფი ზამთარში 11 თეთრი, ზაფხულში კი 10 თეთრი იქნებოდა! კარგად მესმის, რომ კახა უმძიმეს მდგომარეობაშია და უჭირს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ამიტომაც ვეხმარები მას, თორემ მისი საწინააღმდეგო რა მაქვს! წლების წინ, როდესაც კონტროლის პალატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი, საქართველოს ელექტროსისტემა და ჰიდროელექტროსადგურები ბუღალტერიის დონეზე შევამოწმე. რასაც ვამბობ, უწვრილმანეს დეტალებში გაანგარიშებით ვიცი, ამიტომ შენიშვნას არავისგან მივიღებ, ანგარიშს არავის გავუწევ და არ მოვერიდები, როდესაც არასწორად მეუბნებიან რაღაცას. რად უნდა ამას ზღაპრების მოყოლა, რომ ამ სექტორში უზარმაზარი გავლენის ჯგუფებია, რომლებიც მილიონობით დოლარს უკანონოდ და დაუმსახურებლად იდებენ ჯიბეში. ამ ჯგუფების არ მეშინია და ვისაც ეშინია, მან თქვას, რომ ყველაფერი კარგად გააკეთა. ყველაფერი ძალიან სუსტად გაკეთდა, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს არის მთავრობის პირველი ნაბიჯი, რასაც აუცილებლად მეორე ნაბიჯი უნდა მოჰყვეს!

მაია რჩეულიშვილი გამოძიების დასრულებას ელოდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საკუთრების მინდობილობის ხელშეკრულება „ცენტრ პოინტი ჯგუფსა“ და „დექსუსს“ შორის, 2010 წლის 7 სექტემბერს, „დექსუსის“ მუქარის შედეგად გაფორმდა. „დექსუსმა“ მინდობილი ქონების მართვის მომსახურების საფასურად, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებს 4 600 000 ლარის გადახდა მოსთხოვა, მაგრამ თუ „ცენტრ პოინტის“ რომელიმე დამფუძნებელი, „დექსუსთან“ შეუთანხმებლად, საჯარო ინტერვიუს მისცემდა, ჯარიმის სახით — 100 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. 2013 წლის 26 თებერვალს, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლებმა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართეს და კომპანია „დექსუსთან“, 2010 წლის 7 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე (2013 წლის 31 დეკემბერი) შეწყვეტა მოითხოვეს. მიზეზად, „დექსუსის“ მიერ საკუთარი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება დაასახელეს, რაც „დექსუსის“ მართვაში გადაცემული სამშენებლო კომპანიების გაკოტრებას იწვევდა. 2013 წლის 4 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებელთა მოთხოვნა დააკმაყოფილა და ხელშეკრულება შეწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფში“ შემავალ 70 სამშენებლო კომპანიას, კვლავ რუსუდან კერვალიშვილი, მაია და ვახტანგ რჩეულიშვილები მართავენ.
ვინ და რატომ აიძულა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლები, „დექსუსთან“ კაბალური ხელშეკრულება გაეფორმებინა? რას ჰპირდებიან ისინი დაზარალებულებს და როგორ აპირებენ პრობლემის მოგვარებას? ამ და სხვა საკითხებზე „ვერსიასთან“ ინტერვიუში „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მაია რჩეულიშვილი საუბრობს.

— ქალბატონო მაია, ვინ და რატომ აგიკრძალათ ინტერვიუს მიცემა განვლილი სამი წლის განმავლობაში ან როგორ ჩაიგდო „დექსუსმა“ თქვენი კომპანია ხელში?

— ჩემთვის გაუგებარია, ვინ და როგორ შეადგინა ეს ხელშეკრულება. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი შეზღუდული თუ ვიქნებოდი, მაგრამ როცა ძირითადი ხელშეკრულების მუხლების შეცვლის შესახებ დანართში ჩავიხედე, რომელიც სხვათა შორის, 29 სექტემბერს ჩემი მეუღლის ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნეს, ეწერა, რომ ინტერვიუს მიცემის შემთხვევაში, 100 000 დოლარით დავჯარიმდებოდი. მეტიც, ისიც ეწერა, თუ ოდესმე რამეს შევქმნიდი და პირველივე თხოვნისთანავე არ გადავცემდი ქონებას „დექსუსს“, დამატებით 100 000 დოლარს გადამახდევინებდნენ. ეს უფრო მონობის ხელშეკრულება იყო, ვიდრე კომპანიებს შორის დადებული ფინანსური გარიგება. ზოგადად, ყოველი დახურული საზოგადოება ჩემთვის მიუღებელია.

— დავაზუსტოთ, კომპანია „დექსუსი“ იმიტომ შემოიყვანეთ, რომ გარკვეული ფინანსური პრობლემები მოგეგვარებინათ?

— მე, როგორც დეველოპერი, არ შემოვიყვანდი არც ერთ დეველოპერულ კომპანიას, რადგან ყველა პროექტი, რომელიც განვახორციელე, წარმატებული იყო. ფინანსისტები უნდა შემომეყვანა, რათა კომპანიაში გაჩერებული ფინანსური ნაკადი დაძრულიყო. თუ ბიზნესში, განსაკუთრებით დეველეპმენტში, ფინანსურ ნაკადებს ისე არ დაიცავ, როგორც ბანკშია დაცული, ბიზნესი დაიღუპება. თითქოს „დექსუსმა“ შეძლო საქმის დაძვრა, მაგრამ მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირები და კიდევ ერთი ობიექტი გავყიდე, რათა საქმის დასაწყები თანხა გადამეცა. უმარტივესი პროცედურა იყო საჭირო — ეს ფული 10 ობიექტში უნდა ჩაედოთ. ვფიქრობდი, თანხის შემოტანა დაიწყებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ორი დღის წინ, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მივედი და ვთხოვე, ყველა ჩემი ობიექტის პასპორტიზაცია გაკეთდეს — ისინი უნდა ავტვირთოთ საიტზე, რომელიც მალე ამუშავდება. აქ იქნება მონაცემები, კონკრეტული შენობა დასრულებულია თუ არა, რა არის გასაკეთებელი ობიექტის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად... აქვე იქნება მითითებული, ვინ მიჩივის, რა პრობლემა არსებობს, რა რაოდენობის თანხა აქვს შემოსატანი კონკრეტულ მობინადრეს... ამის გაკეთების გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ სასამართლო და აღმასრულებლები ჩემს ქონებას აყადაღებენ. ხშირ შემთხვევაში, სასამართლომ არ იცის, რა რეზერვი გააჩნია ამა თუ იმ ობიექტს. პასპორტიზაციის შედეგად, მობინადრეს ზუსტად ეცოდინება, იმიტომ დაზარალდა, რომ მისმა მეზობელმა არ შემოიტანა ფული და მაია რჩეულიშვილი აქ არაფერ შუაშია. როგორ შეიძლება, პირობებს ვარღვევდე, როცა დაახლოებით, 40 სახლი მაქვს აშენებული, მხოლოდ ბათუმის ერთი „მაგნოლია“, რომელიც 100 000 კვმ ფართობზეა, დავასრულე და მაინც თაღლითს მიწოდებ? ერთ დოკუმენტს გიჩვენებთ, რომელიც სამგორის ობიექტს ეხება. აქ მითითებულია, რომ სამუშაო დასრულდა, ჩაბარდა და უკვე რეგისტრაცია მიმდინარეობს. ამ ობიექტის დავალიანება 1 068 652 აშშ დოლარია. ბათუმის „მაგნოლიაში“, რომელიც თავად დავასრულე, მოსახლეობის დავალიანება 1 800 000 აშშ დოლარია. „აფხაზეთში“, რომელიც უკვე დასრულებული იყო და „დექსუსმა“ მხოლოდ ფასადი შეღება, დავალიანება 800 000 აშშ დოლარია. წყნეთის დავალიანება, რომელიც შარშან დასრულდა, 315 000 აშშ დოლარს შეადგენს. ჯამში, ამ ტიპის დავალიანება 4 100 000 აშშ დოლარია.

— ხელშეკრულების შეჩერების შემდეგ კომპანია დაიბრუნეთ, „დექსუსის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები დაიწყეთ, მაგრამ ვერ შეთანხმდით. ვინ არიან ეს ადამიანები ან რატომ იყვნენ აგრესიულები თქვენს მიმართ?

— მიმაჩნია, რომ ეს მაინც მესამე პირის მიერ მართული პროცესი იყო. შესაბამისად, „დექსუსი“ იმ მესამე პირის ინტერესს გამოხატავდა. დღევანდელ ქართულ რეალობაში, როგორ შეიძლება, ძალიან ბევრის უფლება გქონდეს და ზურგს ვინმე არ გიმაგრებდეს? გამოძიება გრძელდება და მალე გამოიკვეთება, ვინ დგას „დექსუსის“ უკან.

— პრესაში დაიწერა, რომ „დექსუსის“ უკან, ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი იდგა. მესამე პირი ვანო მერაბიშვილი იყო?

— არა, არც ერთი წამით არ იფიქროთ, რომ ასე იყო! საქართველოში იყო რამდენიმე ადამიანი, რომლებზეც მკვეთრად დადებითი აზრი მაქვს და მათ შორისაა ვანო მერაბიშვილი. არ შეიძლება, მერაბიშვილი შეგვხებოდა, რადგან ეს მისი თვისება არ არის. ვისი თვისებაც ნგრევა და შევარდნა იყო, ალბათ, მესამე პირიც ის იქნებოდა. სავარაუდოდ, მესამე ძალა ის იყო, ვისაც სურდა, დეველოპერული ბიზნესი მხოლოდ მისი ყოფილიყო. ვისაც ნუცუბიძის პლატოზე, საბაგირო გზასთან, 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი 1 ლარად გადასცეს, აი, ისინი იქნებოდნენ ამის მსურველები.

> ვის წინაშე გრძნობს თავს ვალდებულად, რატომ დაიბრუნა კომპანია, რას ჰპირდება დაზარალებულებს და რატომ აუკრძალეს „დექსუსის“ წარმომადგენლებმა ინტერვიუს მიცემა „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელს

— ამბობთ, რომ „დექსუსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში უცნაური პუნქტები აღმოაჩინეთ. „ცენტრ პოინტის“ დაზარალებულებსაც არ მოსწონდათ მათ მიერ შეთავაზებული პირობები. რა გააკეთა ამ კომპანიამ და რა ვერ მიიყვანა ბოლომდე?

— ვერ ვიტყვი, რომ „დექსუსმა“ არაფერი გააკეთა. მან საქმე მკვდარი წერტილიდან დაძრა, მაგრამ ისევ ჩემი რესურსების ხარჯზე. „დექსუსს“ ხელშეკრულება იმის გამო გავუწყვიტე, რის გამოც, დაზარალებულები აქციებს მართავდნენ. კომპანიის წარმომადგენლები ხალხს არაკორექტულად ექცეოდნენ. ყველამ უნდა იცოდეს, როდესაც ამხელა ფირმა გადავეცით, „დექსუსის“ წარმომადგენლებმა ხელი ჩემსკენ გამოიშვირეს და ხალხი ჩემს წინააღმდეგ განაწყვეს. თუ მიზანმიმართულად არ გინდა, „ცენტრ პოინტის“ იმიჯი შელახო, როგორ შეიძლება, ადამიანებს ასე საშინლად მოექცე და ჩემს ოჯახსაც შეურაცხყოფა მიაყენო? აი, ამიტომ შეწყდა ხელშეკრულება — „დექსუსი“ არ მომწონდა. მოსახლეობას მესიჯს ვუგზავნი — ყველას დავაკმაყოფილებ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ პირველ რიგში, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა გვჭირდება.

— მაშინ „ცენტრ პოინტის დაზარალებულები აქციას რატომ მართავენ?

— დაახლოებით, ორი კვირაა, შემოვედი ჩემს კომპანიაში და ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობ როგორც დაზარალებულებთან, ასევე ამ საბჭოსთან. აქციაში პოლიტიკოსებიც მონაწილეობდნენ ანუ ეს უკვე პოლიტიკური პროცესია. რაც მთავარია, კორექტულობა და ზრდილობა — დღევანდელი დღის მოთხოვნაა, ეს აუცილებელი პირობაა, რათა სწორი სამუშაო რეჟიმი იყოს. მესმის, ყველა ადამიანს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი სურვილი, მაგრამ ამ კომპანიაში შემოვედი და მოტივირებული ვარ, ამ ხალხისთვის ყველაფერი გავაკეთო. შესაბამისად, ყვირილის ღირსი არ ვარ. ეს დაბალი კულტურის მაჩვენებელია. არ მინდა, ერს დაბალი კულტურა ჰქონდეს.

— როგორ აპირებთ დაზარალებულების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რეალურად, რას სთავაზობთ მათ?

— ვისაც 100%-იანი გადახდა აქვს, მის წინაშე თავს ვალში ვგრძნობ და ვეუბნები მათ, რომ უძრავ ქონებას გადავუფორმებ, როდესაც სახლის მშენებლობას დავასრულებ, ფართს ჩამაბარებენ, თვითონ კი კუთვნილ ბინებში გადავლენ. ვისაც თანხა აქვს შემოსატანი, ავტომატურად რჩება ჩემთან და არ შეიძლება, პრეტენზია ჰქონდეს. ამ მოლაპარაკებას ვაწარმოებ მოსახლეობასთან. მეუბნებიან, გვაჩვენე გარანტია, კიდევ დადე ფული და თანხის შემოტანას მერე დავიწყებთო. მაგალითად, „დაკიდებული ბაღების“ (ყოფილი მოქკავშირის შენობა) ტერიტორია 1 000 000 აშშ დოლარად ვიყიდე. ცხადია, ვალი ავიღე, რომ მეორე მილიონი გამესტუმრებინა ანუ ტერიტორია 2 000 000 აშშ დოლარი დამიჯდა. გარდა ამისა, 1 000 000 აშშ დოლარის სამუშაო „ფორმა 2“-ით შესრულებული მაქვს, ჯამში 3 000 000 აშშ დოლარი ჩავდე და მეტი რა გარანტია უნდა ვაჩვენო? საძირკვლის სამუშაოები შევასრულე და უკვე სამი სართული მთავრდება. ვთავაზობ უმარტივეს გამოსავალს — მაგალითად, „დაკიდებული ბაღების“ მობინადრეებს, 4 200 000 აშშ დოლარი აქვთ შემოსატანი, სულ 200 მობინადრეა, ამიტომ პირველ სამ თვეს დააკონტრაქტებენ და თვეში 1 000 აშშ დოლარს შემოიტანენ. ჩემი მხრივ, „ფორმა 2“-ით ვაჩვენებ თვის ბოლოს, რომ სამუშაო შესრულდა. მოკლედ, ამ სამთვიანი გრაფიკით საქმე დაიძვრება და სამი თვის შემდეგ შემოსატან თანხაში, უკვე ძირითადი დავალიანებაც ჩაერთვება.

— ბოლოს და ბოლოს, რატომ შეექმნა პრობლემები „ცენტრ პოინტს“, ამის მიზეზი მხოლოდ ეკონომიკური კრიზისი იყო თუ თქვენც ზეწოლის მსხვერპლი ხართ?

— არა, ეს არაფერ შუაშია. ზეწოლა მხოლოდ 2010-2013 წლებში იყო, როდესაც ჩემს კომპანიაში „დექსუსი“ შემოვიდა. ჩვენი კომპანია სამშენებლო მასალების — არმატურისა და ბეტონის ფასის არანორმალურმა ზრდამ დააზარალა, რადგან 500%-იან ზრდას ვერც ერთი ბიზნესგეგმა ვერ გაუძლებდა. არმატურა 350 აშშ დოლარი ღირდა, რომელშიც 1 800 აშშ დოლარს ვიხდიდით. ბეტონი, რომელსაც ადრე 50 ლარად ვყიდულობდით, 172 ლარამდე გაძვირდა. აი, ამან გატეხა წელში სამშენებლო ბიზნესი.

ვერსიანიუსი

პარლამენტის დარბაზების რეკონსტრუქციაზე ტენდერი ცხადდება

თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოებს შპს „ორნამენტი“ განახორციელებს, ხოლო დარბაზების რეკონსტრუქციაზე ტენდერი ცხადდება. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, სატენდერო კომისიამ „ორნამენტი“ 21 კომპანიას შორის გამოარჩია.

„საქართველოს პარლამენტის აპარატმა იანვარში გამოაცხადა ტენდერი თბილისში, პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოების დაწყებაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 21-მა ორგანიზაციამ და მათ შორის სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად შპს „ორნამენტი“ დაასახელა. კომპანიამ რამდენიმე დღეში უნდა დაიწყოს პარლამენტის შენობაში სარემონტო სამუშაოები“.

ძიძიგურისვე თქმით, გამოცხადდა ტენდერი დარბაზების რეკონსტრუქციაზე: **„სატენდერო პირობები შედგენილია და ცხადდება ტენდერი დარბაზების რეკონსტრუქციის საკითხზე. მინდა, მოვუწოდო, ყველამ მიიღოს მონაწილეობა. ტენდერის შესყიდვის ღირებულებაა 5 მილიონი ლარი“.**

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: ქვეყანაში დანაშაულის 40-50%-იანი კლებაა

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყანაში 40-50%-იანი დანაშაულის კლებაა.

მისივე თქმით, 10 აპრილს შს სამინისტრო დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით პრეზენტაციას გამართავს: **„10 აპრილს, დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით ჩვენ პრეზენტაციას გავმართავთ, სადაც ნახავთ, რა ვითარებაა და, რეალურად, რა ხდება კრიმინოგენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. იმ ინფორმაციის ავტორებს, რომლებიც ამბობენ, რომ დანაშაული გაიზარდა, შერცხვებათ, რადგან რეალობას დაინახავენ. ჩვენ დანაშაულის 40-50%-იანი კლება გვაქვს და ყველაფერ ამის შესახებ, დაწვრილებით, 10 აპრილს გაიგებთ“.**

„ექსპრესნიუსი“

ქუთაისის საკრებულოში ნაცმოძრაობამ უმრავლესობა დაკარგა

საკრებულოს ადმინისტრაციულ სამსახურს, ფრაქციის დატოვების შესახებ, განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის ხუთმა დეპუტატმა მიმართა. მათ შორის, ფრაქცია დატოვა საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილმა და ფრაქციის თავმჯდომარე კახაბერ ნემსიწვერიძემ. ამ უკანასკნელის განმარტებით, ნაცმოძრაობაში საკუთარი თავი ამოწურა და ეცდება, საკრებულოში მუშაობა სხვა ფორმით გააგრძელოს.

ნაციონალური მოძრაობიდან გასული წევრები ახალ ფრაქციას, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შექმნიან.

ქუთაისის 25-კაციან საკრებულოში ნაციონალური მოძრაობა უმრავლესობას ამ დრომდე 14 წევრით ინარჩუნებდა, ამიერიდან კი, აღნიშნულ ფრაქციაში 9 პირი რჩება.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში წყალი 3 თეთრით ძვირდება

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე საუბარი იყო ბუნებრივი რესურსების გადასახადების ზრდაზე. საქმე ეხება საქართველოში წყლის გაძვირებას, რაზეც ეკონომიკის მინისტრმა ისაუბრა.

მაგალითისთვის, ბორჯომისა და მსგავსი მინერალური თუ გაზიანი სასმელების შემთხვევაში, ათას ლიტრ წყალზე გადასახადი 10 ლარს შეადგენდა, მიღებული გადაწყვეტილების შედეგად კი, 30 ლარი გახდება. საცალო გაყიდვებში ეს გადაწყვეტილება წყალს 3 თეთრით გააძვირებს. გიორგი კვირიკაშვილი: **„წარმოდგენილი ვარიანტი, რაც ჩვენ განვიხილეთ, საერთაშორისო პრაქტიკის ანარეკლია. არსებული პრაქტიკის გამო, ჩვენ სამართლიანად ჩავთვალეთ, მინერალური და გაზიანი წყლის ფასი გაზრდილიყო. განიხილება საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ გაზიანი წყლის შემთხვევაში გადასახადი 200 პროცენტით, მტკნარი წყლის შემთხვევაში კი 100 პროცენტით გაიზარდოს“.**

„ინტერპრესნიუსი“

რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზეთს მოუწოდებს, ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში კანონები დაიცვას



რა შედეგი მოყვა სოჭში ქართველი და რუსი სასულიერო პირებისა და აღექსანდრე ანქვაბის შეხვედრას და რაზომ გადაიქცა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის თავისტკივილად

მერაბ ბერიძე

სოჭში ქართველი და რუსი სასულიერო პირები აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტს, ალექსანდრე ანქვაბს შეხვდნენ. მონაწილეებმა აფხაზეთში მართლმადიდებლობის კუთხით არსებული ვითარება, ასევე სამომავლო პერსპექტივები განიხილეს და პრობლემების გადაწყვეტის საკუთარი ხედვებიც წარმოადგინეს. **„რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზეთს მოუწოდებს, დაიცვას კანონები ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში“,** — ასე გამოეხმაურა მომხდარს რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილება.

რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სოჭში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე, აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი ილარიონი, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ეკლესიური კანონმდებლობის დაცვით.

ე.წ. პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის თქმით კი, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სულიერი კავშირი აღარ აღდგება: **„სულიერი კავშირი აფხაზეთის მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, აფხაზ ხალხსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დიდი ხანია დაიკარგა და აღარ აღდგება“.**

მეუფე სერაფიმემ ხაზი გაუსვა სამშვიდობო ღვთისმსახურების აუცილებლობას, რომელიც მიმართულია ხალხებს შორის მეგობრობის გამყარებისკენ.

რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, მსგავსი კონსულტაციები მომავალში სხვადასხვა ფორმატით გაგრძელდეს.

ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე აცხადებს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, ქართველი სასულიერო პირი პირველად შეხვდა აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკის პირველ პირს და ეს ფაქტი უკვე დადებითი მოვლენაა. მან ისიც გაამხილა, რომ საქართველოს საპატრიარქომ, რუსეთის საპატრიარქოს დახმარებით, აფხაზეთის დეფაქტო მთავრობას შესთავაზა, ქართველ სასულიერო პირებთან შეხვედრა სოხუმში შემდგარიყო, რაზეც უარი მიიღო: **„ეს შეუძლებელი გახდა, მაგრამ ფაქტია, პირველად, სოჭში, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი შეხვდა აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკის პირველ პირს. ამ შეხვედრას ორი აფხაზი მეცნიერი, დამენია და ღვინჯილია, ასევე რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი მიტროპოლიტი ილარიონი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განვიხილეთ ჩვენი სამომავლო და დღევანდელი ეკლესიური ურთიერთობების საკითხები. აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკის პირველმა პირმა, ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ აფხაზმა ხალხმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა, აფხაზი ხალხი ისწრაფვის დამოუკიდებლობისთვის და ის მადლობელია რუსეთის სახელმწიფოსი, რომელმაც აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარა. მისივე თქმით, აფხაზები ასევე ისწრაფვიან, ეკლესიურადაც მოიპოვონ დამოუკიდებლობა. ამაზე რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა ილარიონმა უთხრა, რომ ნებისმიერი მცდელობა კანონიკურ ჩარჩოებში უნდა იყოს და ეკლესიურ კანონმდებლობას ექვემდებარებოდეს“.** მეუფე სერაფიმეს განმარტებით, ილარიონის ამ განცხადებაში ის იგულისხმებოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციას ეკუთვნის. მისივე თქმით, შეხვედრაზე, ქართველი სასულიერო პირების სოხუმში ჩაბრძანებაზე, აფხაზური მხარის წარმომადგენლებისგან მიიღეს უარი. მეტიც, მათი თქმით, ეს შეუძლებელია — ანქვაბმა განაცხადა, 2008 წლის ომმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ცალკე უნდა ვიყოთ ქართველებისგან და შეუძლებელია ჩვენი დაბრუნება საქართველოს წიაღშიო. **„ანქვაბმა თქვა, პატივს ვცემთ ქართველ ხალხს, ვუსურვებ მშვიდობას, მაგრამ ჩვენ, აფხაზი ხალხი ვდგავართ დამოუკიდებელ გზაზე“,** — აცხადებს მეუფე სერაფიმე და კითხვას, დაიგეგმა თუ არა მსგავსი შეხვედრები, პასუხობს, რომ ამაზე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მაგრამ შეხვედრის მონაწილეებს მიაჩნიათ, კარგი იქნება, მსგავსი შეხვედრა მომავალშიც თუ შედგება.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, უწყება სოჭის შეხვედრის შესახებ ინფორმირებული იყო: **„ან შეხვედრის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ეს საპატრიარქოს პრეროგატივაა. აღნიშნული კონსულტაციები რუსეთის საპატრიარქოსთან ერთად მიმდინარეობდა. შეხვედრის დეტალები ჩვენთვის უცნობია და, შესაბამისად, არ ვიცით, როდის დაიგეგმა კონსულტაციების მომდევნო რაუნდი“.**

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის ინფორმაციით, სოჭის შეხვედრაზე რუსული მხარე კონსტრუქციული იყო, რასაც ვერ ვიტყვით ანქვაბის დამოკიდებულებაზე. მისივე თქმით, რუსული მხარის პოზიცია შემთხვევითი არ არის და გარკვეული პოლიტიკის ანარეკლია: **„ზოგად კონტექსტში, კითხვა რუსული მხარის შესახებ უფრო დაისმება, ვიდრე აფხაზური. ამ ტიპის განაცხადს არ ველოდით, თუმცა ბოლოდროინდელი ზოგადი კონსტრუქციულობის ტენდენცია ამ შემთხვევაშიც გამოჩნდა. მე ველოდი ამას, მიმაჩნია, რომ ეს შემთხვევითი არ არის და გარკვეული პროცესების ანარეკლია. ადრე თუ გვიან, მოსკოვის მხრიდან ასეთი ბიძგი იქნებოდა. ეს უზარმაზარი ხარჯი, ეკონომიკური დანაკარგია და გაუგებარია, რატომ უნდა გაიღოს ეს რუსეთმა, როცა ამ რეგიონებიდან ყველაფერი მიიღო და სახეზეა პოლიტიკური დანაკარგი. ვისაც არ მოსწყინდება, რუსეთს ამ ნაბიჯებს საყვედურობს. ითხოვენ აღიარების უკან წაღებას, გაუქმებას, აგრესორად აფასებენ... ამ ფონზე, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თავიდან მოშორება, დისტანცირება რომ უნდოდეს, გასაკვირი არ არის. მეორე მხრივ, როგორ უნდა მოიშოროს, ვის რად უნდა ეს პატარა სეგმენტები, საქართველოს გარდა. აქ კი იყო სააკაშვილი, რომელთანაც რუსეთს არ უნდოდა, საერთო რამე ჰქონოდა. ახლა ვითარება შეიცვალა. ოღონდ, რუსეთი ბოლომდე არ არის დარწმუნებული, მისთვის სასარგებლოდ შეიცვალა თუ არა. პერსონალური ცვლილება მოხდა. რეალურად, სათავეში აღარ არის სააკაშვილი, რომელზეც რუსეთს პრეტენზიები ჰქონდა, ამიტომ სავარაუდოა, რომ ის ნელ-ნელა ეცდება, რელსები გადაიყვანოს სხვა მიმართულებით და იპოვოს გამოსავალი, როგორ უნდა მოიხსნას საქართველოს პრობლემა რუსეთისთვის.**

რაც შეეხება საეკლესიო სფეროში აფხაზურ მხარესთან ურთიერთობის რესურსს. ეს არის კონტაქტები, რომლებიც უნდა აღდგეს. რესურსად, მეტ-ნაკლებად, ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აფხაზეთში გამაგრებას ბევრი ცდილობს, რუსეთიდან დაწყებული, სხვადასხვა საეკლესიო თუ სხვა სტრუქტურებით დამთავრებული. აფხაზების რელიგიურ დამოუკიდებლობას შეიძლება, რეალური საფრთხე შეექმნას. ეს ერთ-ერთი რესურსია და მისი გამოყენების შემთხვევაში, ქართულ-აფხაზური მხარეების საეკლესიო მოღვაწეთა დიალოგი შეიძლება უფრო კონსტრუქციული აღმოჩნდეს“.

თავის დროზე, ახალი ათონის მონასტერში გამართულ კრებაზე, ე.წ. აფხაზური ეკლესიის ფაქტობრივ მმართველთან, ბესარიონ აპლიასთან დაპირისპირებულმა სასულიერო პირებმა, „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ დააფუძნეს, რომელიც დროთა განმავლობაში, „დამოუკიდებელ აფხაზურ ეკლესიად უნდა გარდაიქმნას“. მიტროპოლიის ეპისკოპოსად სასულიერო პირი დოროთე დბარი აირჩიეს. შეკრებაზე გადაწყდა, რომ „აფხაზური ეკლესია“ ავტოკეფალიაზე მსჯელობას საქართველოს საპატრიარქოსთან დაიწყებს და ამ პროცესში ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩართავს.

თბილისი და სოხუმი ოცი წლისწინანდელი, მესამე ძალის მიერ პროვოცირებული ომის შედეგებს იმკიან. სამწუხაროდ, ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიება, „უფროსი ძმის“ ჩარევის გარეშე, კვლავ ვერ ხერხდება. რუსეთის მიერ წლების განმავლობაში დამყარებული „მშვიდობა“ კი, როგორი იყო, ყველას კარგად მოეხსენება. ჩანს, კვლავ „მოჯადოებულ წრეზე“ ვტრიალებთ და იმედია, გამოსავალიც გამოჩნდება.

„თუ არჩილ კბილაშვილი ვანო მერაბიშვილს არ დაკითხავს, ცუდი სიგნალი იქნება“

რატომ აფუძნებს „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ახალ სახალხო მოძრაობას და მივა თუ არა 19 აპრილს ნაციონალების აქციაზე ნანა კაკაბაძე

ეროსუდან შელია
557-100-768

„რეჟიმი უნდა გასამართლდეს“ — ამ ლოზუნგით 14 აპრილს, სპორტის სასახლეში, არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ინიციატივით, სახალხო მოძრაობა დაფუძნდება, რომელშიც ძველი ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლი, მათ შორის პოლიტპატიმრები მიიღებენ მონაწილეობას. რა კავშირი აქვს უფლებადამცველების მიერ ორგანიზებულ ყრილობას 19 აპრილის აქციასთან და ვანო მერაბიშვილის გაფრთხილების მიუხედავად, აპირებს თუ არა ნაციონალური მოძრაობის მიერ რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ შეკრებაზე მისვლას, „ვერსიის“ კითხვებს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე პასუხობს.

— ზოგადად, 14 აპრილი სრულიად საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დღეა. მოგეხსენებათ, სწორედ 1978 წლის 14 აპრილს, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართველებმა ღირსების შენარჩუნება მოვახერხეთ და რეჟიმს კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის შეცვლის უფლება არ მივეცით. ეს მართლაც, უდიდესი გამარჯვება იყო, რომელიც ქართველმა ხალხმა იმპერიის პირობებში მოიპოვა.

— რა სიმბოლური კავშირი აქვს თქვენ მიერ სპორტის სასახლეში დაგეგმილ ყრილობას 1978 წლის 14 აპრილთან?

— აქციის იდეის ავტორებმა საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ სწორედ 14 აპრილი, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებით, ქართველებისთვის ღირსების აღდგენის დღედ მეორედ უნდა იქცეს. მართალია, რეჟიმის დამარცხების დღედ პირველი ოქტომბერი უნდა ჩავთვალოთ, როცა ქართველმა ხალხმა ნაციონალური მოძრაობის მმართველობას უარი უთხრა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ გამარჯვებამ ქართველების ყოფაზე ბოლომდე ასახვა ვერ ჰპოვა, განსაკუთრებით, სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ამ მიმართულებით საზოგადოებაში უკმარისობის განცდა ნამდვილად არსებობს. სპორტის სასახლეში, ყრილობაზე დაფუძნდება სახალხო მოძრაობა „სამართლიანობა უნდა აღდგეს“. მასში ყველა ის ადამიანი გაერთიანდება, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის შეფასებაზე უნდა იზრუნოს.

— იმ ფონზე, როცა ხელისუფლებას მოთხოვნებს უყენებთ, თავად მმართველ გუნდს აქვს თქვენი მისამართით კითხვები, თუნდაც თქვენ ფინანსებთან დაკავშირებით...

— ზოგადად, კრიტიკა ხელისუფლებას არასოდეს უქმნის კომფორტულ პირობებს. მისთვის არც მოთხოვნებია სასიამოვნო მოსასმენი, მაგრამ ამ შემთხვევაში, მმართველი გუნდისთვის კომფორტის შექმნაზე ნაკლებად ვფიქრობ. ჩვენთვის მხოლოდ საზოგადოების აზრია მთავარი. როცა გვეკითხებიან, ვისი იდეაა 14 აპრილს აქციის გამართვა, ვპასუხობთ, რომ ეს ხალხმა მოითხოვა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ეხმარება. შესაბამისად, ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია, საკუთარი მოქალაქეების მოთხოვნა შეასრულოს — ხელისუფლების გამოფხიზლებას ველოდებით.

— ამასობაში, ვანო მერაბიშვილი „მხედრიონელს“ გიწოდებთ და 19 აპრილს, პროვოკაციის დაგეგმვაშიც გდებთ ბრალს. ამის გამო მის დაკითხვასაც ითხოვთ. გენერალური პროკურორისგან პასუხი მიიღეთ?

> **პირი, რომელიც ბაჩო ახალაიასა და სხვა დამნაშავეებთან ერთად, ციხეში უნდა იჯდეს და სასჯელს იხდიდეს, ტელევიზიით გამოსვლასა და საზოგადოების დამოძღვრას ბედავს. სამართლიანია, როცა ვანო მერაბიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს სასტიკად ნაწამები ადამიანები მის გამომწვევ განცხადებებს ისმენენ? მისი თქმით, ნანა კაკაბაძის მიერ შედგენილ პოლიტპატიმრების სიაში მოხვედრა მსჯავრდებულებს ასი ათასი ლარი უჯდებოდათ; იმასაც ამტკიცებს, რომ კონკრეტულად იცის იმ პიროვნებების შესახებ, ვინც ფული გადამიხადა. ეს უკვე ნიშნავს, რომ თუ მერაბიშვილს დანაშაულის შესახებ ფაქტები გააჩნია და ხელს აფარებს, თავადაც სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას.**

სწორედ ამიტომ, გენერალურ პროკურორ არჩილ კბილაშვილს მივმართავ, ამ მიმართულებით გამოძიება დაიწყოს და ვანო მერაბიშვილიც დაკითხოს. ვითხოვ, შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა წარმოადგინოს ფაქტები, კონკრეტულად, რომელი პატიმრისგან ავიღე ფული და თუ ამას ვერ დაამტკიცებს, პასუხისგებაში უნდა მიეცეს ან მინიმუმ, ბოდიში საჯაროდ მოიხადოს. ერთხელ და სამუდამოდ, ეს თემა უნდა დაიხუროს.

— ნამდვილად აპირებთ 19 აპრილის აქციაზე მისვლას?

— ვანო მერაბიშვილი თურმე წინასწარმეტყველიც გახდა და იმასაც ხედავს, რომ პოლიტპატიმრებთან ერთად, აქციაზე მისვლას ვგეგმავ. დაინტერესებულ პირებს საჯაროდ ვუპასუხებ, 19 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის აქციაზე ნანა კაკაბაძე პოლტიპატიმრებთან ერთად მისვლას არ აპირებს! ეს მხოლოდ ვანო მერაბიშვილის მიერ შემოგდებული მორიგი პროვოკაცია იყო, როცა პატიმრებს ეუბნება, იცით რა, ნანა კაკაბაძე თუ მოვა, ჩვენ მას ჩავქოლავთო, ეს ნიშნავს, რომ მათ იწვევს. მან ისიც იცის, რა განწყობა აქვთ ნანა კაკაბაძის მიმართ ყოფილ პოლიტპატიმრებს და მაშინ, როცა 9 ათასი პატიმარი გათავისუფლებულია, ხოლო 200-მდე პოლიტპატიმარი გარეთაა, მათ იწვევს, რათა ჩაქოლვის სცენას როგორმე მიაღწიოს. უნდა, ადამიანები მიიყვანოს იმ ზომამდე, თქვან — თუ სამართლიანობა არ აღდგება, ახლა მაინც გავუსწორდებით ნაციონალურ მოძრაობასო. ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია, თუმცა „ნაციონალებს“ არ გაუვათ ის გეგმა, რაც ჩაფიქრებული აქვთ.

> **მოდი, ლოგიკურად ვიმსჯელოთ — ვინ მივა 19 აპრილის აქციაზე? მხოლოდ ყოფილი პროკურორები, გამომძიებლები და ისინი, ვინც ადამიანებს უკანონოდ აწამებდა, ამიტომ ვამბობ, რომ შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა იფიქროს, მოდი, მივალ აქციაზე და ნაციონალებს პირისპირ გავუსწორდები, მაგრამ ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ მსგავსი ქმედება მხოლოდ ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს. საზოგადოებისგან ანგარიშსწორებას ისინი მხოლოდ თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ, ამიტომ სჯობს, ჩვენი პროტესტი საქმიან ჭრილში გადავიტანოთ და ხელისუფლებას მოვთხოვოთ ის, რაც მისი გასაკეთებელია.**

ნაციონალებს 19 აპრილი უნდა ვაჩუქოთ და აქციის ჩატარების საშუალება მივცეთ. ამასობაში, დიახ, ველოდები, არჩილ კბილაშვილი ვანო მერაბიშვილს დაკითხვაზე აუცილებლად დაიბარებს. თუ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, ეს ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ ცუდი სიგნალი იქნება.

— ასე თუ მოხდა, თქვენი სამოქმედო გეგმა როგორი იქნება?

— ნაციონალური მოძრაობა, უმცირესობის სახით, ჯერ კიდევ აქტიურობს. ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ უმრავლესობის ქმედებებსაც კი ჩრდილავს. ზოგადად, სიკეთე ყოველთვის პასიურია, ბოროტება — აქტიური, მაგრამ გამაღიზიანებელია, როცა ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც ბოროტების მანქანა შექმნა, დღეს ისევ ჭკუის დამრიგებლებად და კანონმდებლადაც გვევლინება. მეტიც, ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგები, დამნაშავე პროკურორები თუ მოსამართლეები მაღალ თანამდებობებს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ. ვფიქრობ, ჩვენი მოთხოვნაც — სამართლიანობა აღდგეს და რეჟიმი გასამართლდეს — აბსოლუტურად სამართლიანი და კანონიერია. შესაბამისად, ყრილობაზე ყველა იმ ადამიანს ველოდებით, რომელიც ფიქრობს, რომ ნაცმოძრაობის უკანონო მმართველობის მსხვერპლი გახდა. ყრილობაზე სამოქალაქო კომისიასაც შევქმნით, სადაც ყველა დაზარალებული ჯგუფიდან თითო წევრი გაერთიანდება, რომელიც შემდეგ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს საპარლამენტო კომისიის შექმნას ერთადერთი მიზნით მოსთხოვს — ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობა პოლიტიკურად, მორალურად და იურიდიულად შეფასდეს. ამის შემდეგ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები, ამას უკვე ყრილობა გადაწყვეტს.

ვერსიანიუსი

ბაჩო ახალაია „მატროსოვზე“ დააბრუნეს

ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძისა და მათთან ერთად ბრალდებული 6 პირის სასამართლო პროცესის არსებითი განხილვისას, 3 აპრილს, 5 პირი მოწმის სტატუსით დაკითხეს.

დაკითხულთა შორის იყო საქმეში დაზარალებულად ცნობილი პაატაშვილი, რომელმაც სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ბრალდებულმა ზურაბ შამათავამ და თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამშრომლებმა, რის შემდეგაც სამსახურიდან დაითხოვეს და მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. მისი თქმით, იმ დღეს ოჯახის წევრებთანაც ვერ გამოჩნდა და მეგობართან გაათია ღამე.

ასევე დაიკითხა პაატაშვილის მეგობარი გიორგი შოშიაშვილი, რომელთანაც პაატაშვილმა სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ღამე გაათია. მისი თქმით, პაატაშვილი მასთან ნაცემი და შოკირებული მივიდა.

სასამართლო პროცესზე ასევე მოუსმინეს სამხედრო პოლიციის ყოფილ გამომძიებელს, ზურაბ გოგიჩაიშვილსა და სამხედრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ კახა ესებუას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამხედროებს აყვირებდნენ „გაუმარჯოს მეოთხე ბრიგადას“ და ეს ხმები მათ ესმოდათ.

მოწმეების ჩვენებებმა დაცვის მხარის პროტესტი გამოიწვია. კითხვები ესებუასა და გოგიჩაიშვილს თავად ბრალდებულმა ბაჩო ახალაიამ და სხვა ბრალდებულებმაც დაუსვეს. ესებუა დაცვის მხარემ ტყუილში დაადანაშაულა, რომ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ასახული მოვლენების თარიღი განსხვავდება სასამართლოში დასახელებული თარიღისგან. ამ მოტივით კი დაცვის მხარის ადვოკატებმა ესებუას ჩვენების საქმიდან ჩამოშორება მოითხოვეს. აღნიშნულ ორ მოწმეს, ასევე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროს გამომძიებელს, მოწმე შალვა ალანიას, რომელიც ამბობს, რომ 2011 წლის სექტემბერში სამხედროებს არასათანადოდ ეპყრობოდნენ, დაცვამ დაუსვა კითხვები, თუ რატომ არ ამხილეს დანაშაულში და რატომ საუბრობენ ახლა ამაზე.

პროცესმა ხმაურით ჩაიარა. მოწმეებისთვის დასმული კითხვები არაერთხელ გახდა დაპირისპირებული მხარეების პროტესტის მიზეზი და დაცვის მხარემ პროკურატურა მოწმეების მიმართ ზეწოლაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. კერძოდ, ახალაიასა და სხვა ბრალდებულების ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მოწმეებს სასამართლოში პოლიცია მიაცილებს, რაც მათზე ზეწოლის ნიშანია. აქედან გამომდინარე ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ საქმეს დაერთოს ვიდეომასალა, რომელიც სასამართლოს სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. შუამდგომლობას შეეწინააღმდეგა პროკურორი. ბრალდების მხარემ განმარტა, რომ პოლიციელების თანხლებით მოწმეების პროცესებზე მისვლა უსაფრთხოებიდან გამომდინარე ხდება. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე, წამების ორგანიზებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაზე ახალაიას, ზურაბ შამათავას, გიგი კალანდაძისა და სხვა ბრალდებულების სასამართლო პროცესი 10 აპრილს განახლდება.

4 აპრილს, ბაჩო ახალაია ე.წ. მატროსოვის ციხეში დააბრუნეს. სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, №9 დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა. ფაქტთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა: **„რემონტს ველოდებოდით. მგონი, განახეთ, რა მდგომარეობაში იყო იქაურობა და არც უსაფრთხოება იყო დაცული. ერთ-ერთი შენობა როდის ჩამოინგრეოდა, არც ვიცოდით, რადგან მიწისძვრისგან იყო დაბზარული“.**

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ნაძალადევში არჩევნებს მე მოვიგებ!“

ვინ იყვნენ მისი მეგობრები ზვიად გამსახურდიას გარემოცვიდან, რა ბიზნესებს ფლობდა საქართველოში და რას ჰპირდება ამომრჩეველს სოსო მანჯავიძე

ნაძალადევის რაიონში ნამდვილი პოლიტიკური რინგია გამართული — კახა კუკავა, გიორგი გუგავა, თამარ კორძაია, მირზა დავითაია და სოსო მანჯავიძე ის ცნობადი კანდიდატები არიან, ვინც პარლამენტში ამ რაიონის წარსადგენად იბრძოლებს. „ვერსიის“ რესპოდენტი საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი სოსო მანჯავიძეა, რომლის აპოლიტიკური ცხოვრებიდან, გარდა იმისა, რომ მისი ძმა ზურაბ მანჯავიძე პოპულარული მომღერალია, ხალხმა სხვა არაფერი იცის. როგორ დაუახლოვდა ზვიად გამსახურდიას გარემოცვას, რა ბიზნესებს ფლობდა 2006 წლამდე და რა კანონპროექტებით აპირებს პოლიტიკური ცხოვრების სტილის შეცვლას საქართველოში — ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო მანჯავიძე „ვერსიის“ კითხვებს პასუხობს.

— გიგა მანჯავიძის, ცნობილი მევენახის, აგრობიოლოგის ოჯახში დავიბადე. დედაჩემი იზა ჩიკვაიძეა და მე მეორე შვილი გახლავართ მრავალშვილიან ოჯახში — სულ 6 ძმა და 1 და ვართ. მიყვარდა რელიგიის ისტორია, ისტორიის ფილოსოფია და პროფესიადაც ისტორიკოსობა ავირჩიე.

— მაგრამ პროფესიით არასოდეს გიმუშავიათ, ხომ ასეა?

— არა, ამის საშუალება არ მომეცა, რა დროს პროფესიით მუშაობა იყო, როცა 90-იან წლებში საქმე ბიოლოგიურ გადარჩენაზე მიდგა, მით უმეტეს, ჩვენ დიდი ოჯახი გვქონდა. საქართველოში ერთბაშად მოხდა ეკონომიკის 95%-იანი ვარდნა და ნგრევის ეს შეუქცევადი პროცესი ჩვენს ოჯახზეც აისახა.

— აქედან იწყება თქვენი პირველი სამოქალაქო აქტიურობა?

— ეროვნული მოძრაობა, 9 აპრილის აქციები — ბოლომდე აქტიურად ვიყავი პროცესებში ჩართული, ვიდრე სამოქალაქო ომი არ დაიწყო. მიმაჩნდა, რომ მასში მონაწილეობა არ შეიძლებოდა, რადგან ორივე მხარეს ქართველები იდგნენ და ისინი ამ ომში უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებმა ჩაითრიეს. ამ დროს უკვე 26 წლის ვიყავი და ყველაფერი კარგად მქონდა გაანალიზებული, თანაც ძალიან ახლოს ვიყავი პრეზიდენტის გარემოცვასთან, ზვიად გამსახურდიას შვილთან კონსტანტინე გამსახურდიასთან — ერთი სამეგობრო გვყავდა. ჩემს თვალწინ მწიფდებოდა სამაჩაბლოს კონფლიქტი, ვრცელდებოდა ჭორები, იქმნებოდა მითები, ხდებოდა მოწინააღმდეგის დემონიზაცია და შედეგად, ეს სისხლისმღვრელი დაპირისპირება მივიღეთ!

— ამ დროს თქვენ რას საქმიანობდით?

— მაშინ უკვე ჩემი ოჯახი მყავდა და ისტორიული ნაშრომების წერის დრო არ იყო. მქონდა სხვადასხვა კომერციული სტრუქტურები, რომელსაც ვხელმძღვანელობდი... ბიზნესის კეთება არასოდეს გამჭირვებია ანუ ჩემი შემოსავლის წყარო გარკვეული ბიზნეს-ოპერაციები იყო. ამ დროს მქონდა სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოები, მაგალითად, ანანურში ქვიშახრეშის მომპოვებელი და გადამამუშავებელი რამდენიმე საწარმო. კავშირები მქონდა უცხოეთშიც — რუსეთსა და უკრაინაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვცხოვრობდი კიდეც, თურქეთთანაც მაკავშირებდა რაღაც ბიზნესურთიერთობები.

— და რამდენ ხანს შეინარჩუნეთ ეს თქვენი ბიზნესები?

— ჯერ ერთი, ბიზნესის, თან დიდი ბიზნესის წარმოება აქ ისეთ კომპრომისებსა და თავისუფლების ხარისხის ისეთ შეზღუდვას მოითხოვდა, ჩემთვის მიუღებელი იყო. მე ფულის შოვნა ადამიანის სხვა, უფრო მაღალი მოთხოვნილებების რეალიზების საშუალებად მიმაჩნია და არა თვითმიზნად. ყოველ შემთხვევაში, ოჯახის შენახვას, ახლობლების დახმარებასა და, წარმოიდგინეთ, მოგზაურობასაც კი ვახერხებდი — მოვიარე საქართველოში ძველი ტაძრები, პამირის მთიანეთი, საინტერესო ადგილები რუსეთში, კიევის პეჩორის ლავრა, თურქეთი, შუა აზია. ათონის მთაზე, მონასტერში, 10 დღე ვიცხოვრე და ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი პერიოდია. იქ ადამიანი ყველაზე ახლოსაა უფალთან...

— გვიამბეთ, როგორ შექმენით ოჯახი, ვინ არის თქვენი მეუღლე, შვილები?

— ჩემი მეუღლე პროფესიით ფსიქოლოგი თამარ ჩხაიძეა. უნივერსიტეტში ჩემთან ერთად ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და გაცნობიდან 1 წელიწადში დავოჯახდით. სამი შვილი მყავს: 26 წლის თეა, 18 წლის ნინო და 7 წლის ანდრია. უკვე შვილიშვილიც შემეძინა, ნუცა. რაც უფრო ასაკშია ადამიანი, მით ემოციური ხდება, გულიც მეტად მხურვალე აქვს, ამიტომ შვილიშვილი უფრო დიდი ემოციაა. თითქოს ახლა ჩემს გულს უფრო დიდი უნარი აქვს, მეტი სიყვარული დაიტიოს. სხვათა შორის, ანდრიას უკვე გამოკვეთილად დიპლომატური ხასიათი აქვს, არ უყვარს ძალადობა, ტყუილი, ხშირად საინტერესო ფორმულირებებს აყალიბებს. ბავშვობიდან გვაკვირვებს. ახლახან, რომელიღაც პოლიტიკოსს უყურა ტელევიზიით და აზრი გამიზიარა: საერთოდ, ადამიანი თავს რომ იქებს, ორი რამის გამოა არასწორი: ჯერ ერთი, თავს არ უნდა იქებდე, მეორე, სხვებს არ მოსწონთ, ამას რომ აკეთებ და აბა, ვიღასთვის იქებ თავსო. ეს თქვა, მიტრიალდა და წავიდა... ბავშვმა ჩამომიყალიბა, თავის ქება ზნეობრივადაც არასწორია და თან არარაციონალურიცო. რა უნდა მეთქვა, სიამაყით აღვივსე!

— ოჯახი პოლიტიზებულია — რას ფიქრობენ თქვენს ჩართულობაზე პოლიტიკაში?

— ცოლიც, დედაჩემიც, ჩემი ძმებიც ჩართულები არიან ჩემს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნერვიულობენ, განსაკუთრებით, ბოლო 5 წელია. ყველამ იცის, რომ ჩვენ არა მარტო ვყბედობდით და მერე ამ ყბედობაში გავარჯიშებულ უნარს ვყიდდით, არამედ რეალურად ვცდილობდით, ეს კანიბალები მოგვეცილებინა. ზოგიერთი ბრძოლის იმიტაციით რომ იყო გართული, ჩვენ რეჟიმს მართლა ვებრძოდით და ამ ბრძოლის შედეგებიც ყველამ დაინახა. ე.წ. ციხის კადრების ტიპის ოპერაცია არაერთი დაგვიგეგმავს წინააღმდეგობის მოძრაობის პირობებში, რასაც სააკაშვილის რეჟიმის დესტაბილიზაცია უნდა გამოეწვია. მხოლოდ ამ ბოლომ გაჭრა, დანარჩენები ჩაიშალა, რადგან ტოტალური მოსმენები მიდიოდა და ყველას ყველაფრისა ეშინოდა. როცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მიტინგები გვქონდა, ჩემი ძმები რომ არ ყოფილიყვნენ, დამიჭერდნენ. მერე უზენაეს სასამართლოსთან გამართულ აქციაზე ჩემს პატარა ძმასაც იჭერდნენ. იქ პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გავუმართეთ სპეცრაზმს და ხელიდან გამოვგლიჯეთ ჩემი უმცროსი ძმა.

— რაკი ძმებზე ჩამოვარდა საუბარი, ზურაბ მანჯავიძეს ყველა იცნობს. აქციებზე ჯგუფურად თუ დადიხართ, ე.ი. მაინც მოგიხერხებიათ სხვა დედმამიშვილების პოლიტიკურ ბატალიებში ჩათრევაც. დანარჩენები რას საქმიანობენ?

— თავის წრეში ყველა პოპულარულია, მაგრამ ზურა მართლა ყველამ იცის. დიმიტრიც პოპულარული თეოლოგია, გოჩას კარგად იცნობენ დიზაინერებისა და მშენებლების ცენტრში. პოლიტიკური განწყობა ყველას ისედაც ერთი გვაქვს, საბედნიეროდ, „მიშისტები“ არ შემოგვრევიან. მე და ზურას ერთადაც დაგვესხნენ მანქანაში თავს. ეს ისტორია ყველამ იცის — 2009 წლის აქციების დროს ე.წ. ზონდერბრიგადები მოგვიგზავნეს. სამი ძმა ერთად ვიყავით და პირდაპირი მნიშვნელობით, ვიბრძოლეთ, მერე აქეთ გავეკიდეთ იმ „ზონდერბრიგადებს“... ისეთი გამწარებულები ვიყავით, ლამის ტყვედ ავიყვანეთ. გვერდზე მიტინგი მიმდინარეობდა და ეს „ზონდერები“ ხალხისთვის ტყვედაყვანილი რომ მიგვეგვარა, ისეთი შოკი იქნებოდა, შესაძლოა, ისტორიის ჩარხი სხვაგვარად დატრიალებულიყო.

— ვიდრე მაშინდელი ოპოზიციის აქციებში ჩაერთვებოდით, ბიზნესები გქონიათ — მათ რა ბედი ეწია და საერთოდ, როგორ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?

— არ შეიძლება, საქართველოში ოპოზიციონერი იყო და თან ბიზნესიც გქონდეს!

— თუკი ძმები დუმბაძეები ახერხებდნენ ამას, თან ისე, რომ ახლანდელი პარლამენტარი მურმან დუმბაძე ბათუმის მრისხანე ოპოზიციონერადაც მიიჩნეოდა?

— ბათუმს რაც შეეხება, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ უპრეცედენტო რამ ხდება ახლა საქართველოში. ძალიან კარგი პროექტი ჩავიფიქრეთ, რომელსაც ბათუში ვაკეთებთ — ყველა ბათუმელი უნდა გამოიკითხოს და მათი აზრი ვიცოდეთ იმის თაობაზე, სურთ თუ არა ახალი მეჩეთის აშენება. გამოკითხვაში უკვე 1 500-მდე აქტივისტია ჩართული და ვერავინ გაბედავს, მისი შედეგების რეალობაში ეჭვი შეიტანოს.

— ხელისუფლებამ ახალი მეჩეთი მაინც რომ ააშენოს?

— ვერაფერსაც ვერ ააშენებენ! ხალხი, ვინც ხელს აწერს დოკუმენტს, რომ სურს არა ახალი მეჩეთის მშენებლობა, არამედ ძველის გაფართოება ბათუმში, გარეთ გამოვა და ვერავინ ვერაფერს გაბედავს! იგივეს გავაკეთებთ თბილისის თავზე მშენებარე ე.წ. ჩინელების ქალაქთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება ჩემს ბიზნესებს — ჩვენს მიმართ ძველ ხელისუფლებას სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდა: ზურა ყველა კონცერტზე დაბლოკეს, არსად უშვებდნენ, უფროსი ძმა საერთოდ უსამსახუროდ დარჩა, ჩემი ბიზნესპარტნიორები დაიჭირეს და 2006 წლიდან ეს ბიზნესები აღარ მაქვს.

— რა იყო თქვენი პასუხი მაშინდელი ხელისუფლების მიმართ?

— საპროტესტო აქციების მომზადება-ორგანიზებაში ჩავერთე. ჯერ „რიგითი მომიტინგე“ ვიყავი, ყველა საპროტესტო აქციაზე მივდიოდი, 2007 წლიდან ძალიან გავაქტიურდი, 2008 წლიდან კი საჯაროდაც გამოვჩნდი, მაშინ პროექტი „საკანი“ გადიოდა ეკრანებზე, რომელშიც ვმონაწილეობდი, თუმცა ეს საჯაროობა სულაც არ მხიბლავდა. „საკნის“ მერე სახალხო კრების მოწვევის ინიციატორი გავხდი. კრებაში 25 ნოემბრამდე დავრჩი — მერე ნინო ბურჯანაძისადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ჩემი და კრების ხედვები აღარ დაემთხვა ერთმანეთს და წამოვედი. ამის შემდეგ, დავით თარხან-მოურავთან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობის შენება დავიწყეთ. სწორედ ამ პერიოდიდან დავიწყეთ ერთობლივად იმაზე ფიქრი, როგორ შეიძლებოდა არსებული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანა. ამ ნააზრევის შედეგი იყო წინააღმდეგობის მოძრაობის დაფუძნება, მოძრაობისა და მედიაკავშირ „ობიექტივის“ შეთანხმებული მუშაობა. შევთანხმდით იმაზეც, რომ რეჟიმი, რომელმაც თავის ფუნდამენტად ციხე აირჩია, სწორედ ციხიდან უნდა დაგვენგრია და გადავწყვიტეთ, სუსტ წერტილში დაგვერტყა! ამ დროს უკვე არაერთი შემოთვლა გვქონდა ხელისუფლების მხრიდან, წაეთრიეთ აქედან, თორემ დაგხოცავთო. უბრალოდ, საქმე ჭკვიანურად გაკეთდა — ჯერ მედიაუზრუნველყოფა მოხდა, მერე მისი პოპულარიზება ქვეყნის შიგნითა და გარეთ და, ამასობაში, მოვძლიერდით კიდეც. შემდეგ გავაკეთეთ პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელიც მართალია, სულ ორი თვისაა, მაგრამ უკვე 5 000 წევრი გვყავს. პირველი, რასაც გავაკეთებთ, როცა ხელისუფლებში მოვალთ, მივიღებთ კანონს პარტიების შესახებ! როცა პარლამენტში შევალ, პირველ რიგში, სწორედ ამ საკითხს დავაყენებ.

— როცა შეხვალთ და არა, თუ?

— რა თქმა უნდა! არ შეიძლება, პარტიად ითვლებოდეს პოლიტიკური სუბიექტი, რომელშიც სულ 2 კაცია... ყველა ისეთი წარმონაქმნი უნდა გაუქმდეს, რომელიც პროცესის დამახინჯების ან ვიღაცის ინტერესებისთვისაა შექმნილი! ამით იმ დამანგრეველ სისტემას ვემუქრები, რაც ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში დამკვიდრდა. ვფიქრობ, ახლა ქართველებს პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლის შესაძლებლობები გაგვეხსნა და ჩვენზეა დამოკიდებული, გამოვიყენებთ თუ არა ამას. გვყავს პარლამენტი, რომელიც სინამდვილეში, არავის წარმოადგენს — მასში ნაციონალური მოძრაობის 40%-ია და ასევე სასაცილოა იმ 23 დეპუტატის გასვლა რესპუბლიკური პარტიიდან და სხვებიდანაც. მოკლედ, მიშას სიძულვილის გამო, ხალხმა თვალი დახუჭა ყველა დანარჩენზე და ასევე, არჩევისას სტიმული იყო ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიც. ესაა მთელი 2012 წლის პარლამენტის პრობლემა.

— ადრე ორიგინალური იდეა გქონდათ — სამივე არჩევნების ვადამდე ჩატარებას ითხოვდით.

— სწორედ ამიტომაც მინდა პარლამენტში შესვლა, რომ ეს პროცესი დავაჩქარო. აბა, ნამდვილად არ ვაპირებ ამ არანორმალური საარჩევნო პოლიტიკური სისტემის ნაწილად ქცევას.

— რა გაკავშირებთ ნაძალადევთან და რაკი ამ უბნის მაჟორიტარად გადაწყვიტეთ პარლამენტში შესვლა, რას ჰპირდებით თქვენს ამომრჩეველს?

— ჯერ ერთი, თბილისელი ვარ და ნაძალადევში უამრავი მეგობარი მყავს. გარდა ამისა, ნაძალადევში ტარდება ახლა არჩევნები და დრო არ ითმენს — ვერ დაველოდები, 4 წელი რას იზამს ეს პარლამენტი. რაც შეეხება დაპირებებს: ჩემთვის მიუღებელია ისეთი ტიპის პოლიტიკურ-კარიკატურული პრაქტიკა, როგორიცაა — მაჟორიტარი კანდიდატი ნაძალადეველების პრობლემებს გაეცნო... მაქსიმალურად ვეცდები, საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს და სამართლიანობა რეალურად აღდგეს — ნაციონალური ხელისუფლების ხელმძღვანელობა უნდა დაპატიმრდეს, სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს ის დამანგრეველი პროცესები, რაც საქართველოში მიმდინარეობს — უნდა აღიკვეთოს თურქეთის ექსპანსია აჭარაში, შეწყდეს საუბარი თურქი მესხების ჩამოსახლების შესახებ, გასაჯაროვდეს პროცესი და აუცილებელი ზომები მივიღოთ ჩინელების ჩამოსახლებისა და თბილისის თავზე ე.წ. ჩინური ქალაქის აშენების წინააღმდეგ!

— პარლამენტში თუ შეხვალთ, ერთადერთი იქნებით, ვინც ამ თემებს აჟღერებს და რისი იმედი გაქვთ, ვინ გიმაგრებთ ზურგს?

— ხალხის ნება! ჯერ ერთი, დარწმუნებული ვარ, იქ ის ადამიანები შემომიერთდებიან, ვინც ჩემნაირად ფიქრობს. როგორც კი პარლამენტში შევალ, მაშინვე მექნება საკანონმდებლო ცვლილებათა მთელი პაკეტი: ვადამდელი არჩევნები, პარტიების შესახებ კანონი, ასევე კანონი რანგირების შესახებ, რომლის მიხედვით, საქართველოში საჯარო სამსახურებში მოხელეებს მათი კვალიფიკაციისა და ნამსახურობის მიხედვით, სხვადასხვა რანგი მიენიჭებათ. ეს საკმაოდ რთული კანონია, მაგრამ თუ მას არ მივიღებთ, მაშინ დღევანდელი ნეპოტიზმი 99%-იანი გახდება. ასევე, მოვითხოვთ მოსახლეობის სასწრაფოდ აღრიცხვასა და ამომრჩევლის ელექტრონული სისტემის დანერგვას. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საქართველოში საპლებისციტო და სარეფერენდუმო კანონებიც!

— გეგმები ბევრი გქონიათ, მაგრამ კონკურენტიც ბევრი გყავთ — ვინ მიგაჩნიათ თქვენს ძირითადი კონკურენტად?

— ნაძალადევში არჩევნებს მე მოვიგებ! ბიძინა ივანიშვილის როლი ისეთივე დიდი აღარაა, როგორც წინა არჩევნებზე იყო, თუმცა საერთოდ არ მინდა კონკურენტებზე საუბარი. მჯერა, ხალხი კარგად გადახედავს და გააანალიზებს, ვინ რას აკეთებდა რეალურად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ტალღა იწყება საქართველოში, რომელმაც სათავეში ეროვნული ხელისუფლება უნდა მოიყვანოს და გარწმუნებთ, ვადამდელი არჩევნების პირობებში, მეორედ ხალხი პარლამენტის იგივე შემადგენლობას აღარ აირჩევს!

ივნისში ექვს საარჩევნო ოლქში საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდება?

ივნისში, შესაძლოა, ექვს საარჩევნო ოლქში საკრებულოს შუალედური არჩევნები ჩატარდეს. კერძოდ — წალკაში, ონში, მესტიაში, ჩოხატაურში, ხობში, თბილისში, სადაც საკრებულოები სამმა და სამზე მეტმა დეპუტატმა დატოვა. ინფორმაცია, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა იმერლიშვილმა გაავრცელა, რომელიც კოლეგებს პირველი მოსმენით „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტს აცნობს. საკრებულოების შუალედური არჩევნები ზემოაღნიშნულ საარჩევნო ოლქებში კი იმ შემთხვევაში გაიმართება, თუკი პარლამენტი წარდგენილ ინიციატივას მხარს დაუჭერს: **„დღეის მდგომარეობით, ექვს საკრებულოში სამი და სამზე მეტი დეპუტატია გამოკლებული. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია სოფლებისთვის, როცა მათ საკრებულოში ადგილობრივი მაჟორიტარი არ ჰყავთ. ამასთან, ასეთ საკრებულოებში გადაწყვეტილებების მიღება ჭირს“.**

წარდგენილი პროექტით, საკრებულოებში გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი მთლიანად იცვლება. ცვლილებები საკრებულოს გამოკლებული მაჟორიტარის ადგილმონაცვლის საკითხს ეხება.

პროექტით, საკრებულოს მაჟორიტარული შუალედური არჩევნების გამართვის ვადა და სიხშირე იზრდება. საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც მათი რაოდენობა ნაცვლად ხუთისა, სამს მიაღწევს, შუალედური არჩევნები ჩატარდება. შუალედური არჩევნები კი გაიმართება უახლოეს თებერვალში, ივნისში ან ოქტომბერში, თუკი შესაბამისი თვის ბოლომდე 70 დღეზე მეტია დარჩენილი. ხოლო თუ დარჩენილია 70 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ზემოაღნიშნულთაგან შესაბამის მომდევნო თვეში ჩატარდება. შესაბამისად, წამოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის გახორციელების შემთხვევაში, საკრებულოს შემადგენლობის შევსება სამჯერ მოხდება. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საკრებულოს შუალედური არჩევნები არ ტარდება, ორი წლიდან ერთ წლამდე მცირდება ანუ შუალედური არჩევნები არ ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუკი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ერთ წელზე ნაკლებია დარჩენილი.

საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს.

აღნიშნულ საკითხს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილიც გამოეხმაურა და პარლამენტს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვის პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის ჩართვისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების პროცესში, საარჩევნო ადმინისტრაცია ჩართული არ ყოფილა: **„არც უმრავლესობაში და არც უმცირესობაში არ გასჩენია არავის კითხვა და აზრი, როდესაც ამ ცვლილებებს ვამზადებთ და დღის წესრიგში შეგვაქვს, იქნებ დაინტერესებული მხარეებისთვის, თუნდაც არასამთავრობოებისთვის და საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გვეკითხა, ტექნიკურად რაიმე პრობლემა ხომ არ წარმოიშობა. ვფიქრობ, ეს საკითხისადმი ზედაპირული მიდგომაა. ცვლილებების შესახებ ჩვენ მედიისგან ვიგებთ“.**

ცესკო-ს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს არ არის პირველი ფაქტი, როდესაც ცვლილებების დროს საარჩევნო ადმინისტრაციას არ რთავენ პროცესში.

ხარატიშვილი მიიჩნევს, რომ საკრებულოს შუალედური არჩევნების ჩატრების წესში ცვლილებების შესახებ ინიციატივა ნაჩქარევია: **„ამ ინიციატივის მიხედვით, საკრებულოების შუალედური არჩევნები შეიძლება გაიმართოს თებერვალში, ივნისსა და ოქტომბერში. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, პარლამენტის შუალედური არჩევნები იმართება აპრილსა და ოქტომბერში, ანუ წლის პირველ ნახევარში, შესაძლოა, გვქონდეს სამი შუალედური არჩევნები. დღევანდელი კანონმდებლობით, საარჩევნო ციკლი არანაკლებ ორთვენახევრის პერიოდს მოიცავს, ხოლო ორთვიანმა შუალედებმა შეიძლება გამოიწვიოს შუალედური საარჩევნო ციკლების გადაფარვა, რაც კოდექსით არ არის გათვალისწინებული“.**

„ვერსიანიუსი“

26 მაისს შენობის სახურავზე აღმოჩენილი სულიკო ასათიანის ოჯახი გვამის ექსგუმაციისთვის მზად არის

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, პირადად ნახა 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირის ერთ-ერთი შენობის სახურავზე აღმოჩენილი სულიკო ასათიანის „გაუბედურებული სხეული“: **„რამდენიმე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილმა განცხადება გააკეთა 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით. თქვა, რომ სულიკო ასათიანი და ნიკა კვინტრაძე სახურავზე აღმოაჩინეს და რომ ეს იყო უბედური შემთხვევა. მინდა სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის გასაგონად განვაცხადო — მე პირადად, გახლდით ბატონი სულიკოს დაკრძალვაზე და ჩემი თვალით ვნახე მისი გაუბედურებული სხეული, რომელსაც აშკარად შეენიშნებოდა წამების ნიშნები, მას თვალი ჰქონდა ჩაგდებული, ყელი და ხორხი გამოგდებული, მთლიანად სხეული, როგორც ოჯახის წევრები მეუბნებიან, იყო ე.წ. ზილიონკით დამალული, რომ წამების კვალი გამქრალიყო“,** — განაცხადა ლორთქიფანიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და მთავარ პროკურატურას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების დაჩქარებისკენ მოუწოდა. მითუმეტეს, მისი განმარტებით, გარდაცვლილის ოჯახზე ზეწოლა ხორციელდება.

დეპუტატის თქმით, ოჯახი სიმართლის დასადგენად გვამის ექსგუმაციისთვისაც მზადაა.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტი რუსეთის სამხედრო წვრთნების გამო შეშფოთებულია

ქართული მხარე შეშფოთებულია რუსეთის ფედერაციის მიერ მოულოდნელი, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე წამოწყებული ბოლო სამხედრო წვრთნების გამო, — ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედებების შემდეგ, რომელიც საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციით დასრულდა, აღნიშნული წვრთნების დროს რუსეთის ფედერაციამ ყველაზე, მასშტაბური მანევრები განახორციელა შავ ზღვაზე: **„მაშინ, როდესაც საქართველო ერთგულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წლის 23 ნოემბერს გაკეთებული განცხადებისა ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით და ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, რუსეთის ფედერაცია არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და უარს აცხადებს იკისროს საქართველოზე თავდაუსხმელობის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, ზოგადად, ასეთი გაუფრთხილებელი ქმედებების სტრატეგიული შედეგი იქნება ის, რომ უფრო მეტი საფრთხის წინაშე დადგება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოება.**

შეიარაღებაზე კონტროლი და განიარაღების რეჟიმები, სხვადასხვა სახის CSBM-სთან (ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები) ერთად, წარმოადგენს ევროპული უსაფრთხოების ქვაკუთხედს. რუსეთის ფედერაციის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკა უგულებელყოფს ამ მექანიზმებს. მსგავსი ქმედებები უარყოფით გავლენას ახდენს ურთიერთნდობის განმტკიცების პროცესზე, რაც, შედეგად, გამოწვევის წინაშე აყენებს რეგიონულ უსაფრთხოებას“.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში ჩვილთა სიკვდილიანობის სავალალო სტატისტიკა

რატომ იხოცებიან 5 წლამდე ასაკის ბავშვები და რატომ ემუქრება ჩვენი ქვეყნის 77 ათასი პატარას სიცოცხლეს საფრთხე

ქრისტინე მალანია

უკვე მეცამეტე წელია, საქართველო „მილენიუმის განვითარების ფონდის“ ხელმომწერი ქვეყანა გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ქვეყანაში სიღარიბის გამომწვევი მიზეზების გამოვლენასა და აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობას იღებს. ამის მიუხედავად, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით, საქართველო 113-ე ადგილზეა, 194 ქვეყნიდან (სიაში მაღალი ადგილი — ნაკლებსიკვდილიანობას ნიშნავს). ჩვენთან, ყოველ 1000 მშობიარეზე, 21-33 ჩვილი იღუპება. გაერო-ს ბავშვთა ფონდის უკანასკნელი კვლევების მიხედვით, საქართველოში დღემდე 77 000 ბავშვი სიღარიბის ზღვარსმიღმა ცხოვრობს. „ვერსია“ შეეცადა, პრობლემის არსს ბოლომდე ჩასწვდომოდა, კონკრეტული პასუხები მიეღო კითხვებზე, რატომ იღუპებიან საქართველოში ბავშვები და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების ფაქტებზე?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2000 წელს მოაწერა ხელი „გაერო-ს ათასწლეულის დეკლარაციას“, რომელიც 2015 წლამდე სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა თუ დაძლევის ფართომასშტაბიან გეგმას წარმოადგენს. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება, „გაერო-ს ათასწლეულის განვითარების“ დეკლარირებულ მიზნებს შორის, პირველი პუნქტია. მათივე მონაცემებით, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ევროპის 44 ქვეყანას შორის, დეკლარაციის ხელმომწერი საქართველო 42-ე ადგილზეა, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 1995 წლიდან ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის კლების ტენდენცია აღინიშნება და კვლევების მიხედვით, ის თითქმის განახევრებულია: თუ 2000 წელს ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე სიკვდილიანობის 21 შემთხვევა იყო, 2011 წელს ეს რიცხვი 11-მდე დაეცა, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ჯერ კიდევ მაღალია და ჩვენი მასშტაბის ქვეყნისთვის — სავალალოც.

თუ ერთი წლის ტრაგიკულად გარდაცვლილი გოგიტა აბაშიძის მაგალითზე ვიმსჯელებთ, აღმოვაჩენთ, რომ მის ირგვლივ დაინტერესებული ადამიანების მთელი არმია იდგა: მშობლები, ნათესავები, მეზობლები, სოციალური დაცვის სამსახური, ჯანდაცვის სისტემა, რაიონის გამგეობა, სოფლის ექიმი... ყველას საკუთარი დაინტერესება უნდა ჰქონოდა ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი და ყველას მისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. უგულობამ, უპასუხისმგებლობამ, უცოდინრობამ, დაუდევრობამ, უსახსრობამ გამოიწვია ის, რომ 1 წლის ჩვილმა სიცოცხლე შიმშილობის გამო, შოკურ მდგომარეობაში დაასრულა.

„გაერო-ს ბავშვთა ფონდის“ ჯანდაცვის სპეციალისტის, თამარ უგულავას თქმით, ქვეყანაში ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამომწვევ მიზეზებზე ცალსახა დიაგნოზის დასმა შეუძლებელია, რადგან ეს საკითხი რთულ და კომპლექსურ პრობლემებს მოიცავს. სოციალური მდგომარეობა, მოზარდის სქესობრივი განათლება, ჩასახვის პერიოდში მშობლის ჯანმრთელობა, მუცლად ყოფნის დროს მშობლისა და ნაყოფის მდგომარეობის კონტროლი, უსაფრთხო მშობიარობა და პედიატრის მუდმივი მეთვალყურეობა 5 წლამდე... პრობლემებს ყველა ეტაპზე ვაწყდებით.

თამარ უგულავას თქმით, აუცილებელია, მოზარდი სკოლის ასაკიდან, სქესობრივად მომწიფების პერიოდიდანვე ფლობდეს სექსუალური ცხოვრების შესახებ სპეციფიკურ ინფორმაციას, ეს პრაქტიკა კი საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს. ქალმა ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ აიცილოს თავიდან დაუგეგმავი ფეხმძიმობა, დაგეგმილი ფეხმძიმობის შემთხვევაში კი, უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ აუცილებელი პროცედურების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზმის მზაობას. შემდეგ იწყება ინფორმირება იმის შესახებ, ფეხმძიმობის რომელ ეტაპზე, რა აუცილებელი პროცედურის ჩატარებაა საჭირო. სოციალური პროგრამების მიხედვით, კონტროლი ფეხმძიმეზე უნდა ხორციელდებოდეს ჩასახვიდან 12 კვირის თავზე და მანამ, სანამ ბავშვი 5 წელს არ მიაღწევს. 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად თამარ უგულავა მონიტორინგის პროცესში ექიმების ცვლილებასაც ასახელებს ანუ მშობიარობის სტადიამდე მისული დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ვერ აღწევს იმ ექიმამდე, რომელმაც ქალი უნდა ამშობიაროს, გართულებული მშობიარობის შემთხვევაში კი, პასუხისმგებლობა მთლიანად გადადის ექიმსა და სამშობიარო სახლზე. არადა პრობლემა, შესაძლოა, დაფეხმძიმების პირველივე კვირიდან იღებდეს სათავეს.

„იუნისეფის“ წარმომადგენლის განცხადებით, 5 წლის ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის ტენდენცია მხოლოდ საქართველოსი კი არა, ზოგადად, მთელი მსოფლიოს პრობლემაცაა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობის 2/3 1 წლამდე ასაკში იღუპება, რასაც „2/3-ის კანონსაც“ უწოდებენ. 1 წლამდე გარდაცვლილთა სრული რაოდენობის 2/3 პირველ თვეში იღუპება, მათ შორის 2/3 პირველ კვირაში, ხოლო 2/3 პირველ 24 საათში.

„5 წლამდე ასაკის ბავშვისთვის, ყველაზე კრიტიკული პირველი წელია, განსაკუთრებით კი პირველი კვირა. ამ დროს ბავშვი სამშობიარო სახლში იმყოფება და აქედან გამომდინარე, აქცენტი სამშობიარო სახლზე გადადის, მაგრამ იქ ხომ პატარა მუცლადყოფნის პერიოდიდან ხვდება? დედას, ფეხმძიმობის განმავლობაში სჭირდება მეთვალყურეობა, სამშობიაროშიც სათანადო პირობები უნდა დახვდეს და იქიდან გამოწერის შემდეგ, ბავშვი პედიატრის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იზრდებოდეს... ბავშვის მოვლა ხანგრძლივი პროცესია და 5 წლის ასაკამდე გაჩენილი ყველა პრობლემა საშიშია მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. ამიტომ ფატალური შედეგის შემთხვევაში, რთულია ხელაღებით ვინმეს დადანაშაულება“, — აცხადებს „გაერო-ს ბავშვთა ფონდის“ ჯანდაცვის სპეციალისტი.

კითხვა კი, მაინც სად უნდა ვეძებოთ 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების გამომწვევი ძირითადი მიზეზები, კვლავ უპასუხოდ რჩება. საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ პრეზიდენტის, ქეთევან ჩხატარაშვილის აზრით, ჩვილის გარდაცვალებაში ერთი კონკრეტული ადამიანის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან ბრალეულობის ძიებისას, კვალს კომპლექსურ გულგრილობამდე და სამოქალაქო პასუხისმგებლობამდე მივყავართ: **„სოციალურად დაუცველ ოჯახში 5 წლამდე ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, არც კონკრეტული ოჯახისა და არც სოციალური მუშაკის დადანაშაულება არ იქნება სამართლიანი. დამნაშავის ძებნა ამ სიტუაციაში ყველაზე უმადური საქმეა“.**

რამდენადაც კომპლექსური უნდა იყოს პრობლემა, ფაქტია, სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები გააჩნია საკუთარი მოქალაქეების წინაშე. მეორე საკითხია, განვითარებად ქვეყანაში, დიდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე მდგარი ქვეყნის ხელისუფალი, რამდენად ახერხებს ყველა ახალშობილისთვის სათანადო გარემოს შექმნას. ჩვენს რეალობაში, ეს რომ არ ხერხდება „იუნისეფის“ გაერო-ს ბავშვთა ფონდის 2012 წლის კვლევის შედეგებიც ადასტურებს — საქართველოში 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მათი სიცოცხლე საფრთხეშია.

„ამის შესახებ ემოციის გარეშე ვერ ვსაუბრობ... მაშინ ჩემთვის მთელი სამყარო გადატრიალდა“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

მსახიობი ნანა შონია წლების განმავლობაში იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ნაციონალური ხელისუფლების მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას ყოველთვის ხმამაღლა აფიქსირებდა. ამის გამო ხშირად ბლოკავდნენ ტელევიზიები, არ იწვევდნენ ამა თუ იმ გადაღებაზე... არჩევნების შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან ერთად, მსახიობის განწყობაც შეიცვალა და შემოქმედებაშიც სასიამოვნო სიახლეები აქვს — თუმანიშვილის თეატრის მსახიობობის პარალელურად, „მეცხრე არხზე“ მიჰყავს გადაცემა. „ვერსია“ ნანა შონიას ესაუბრა.

რა უხიდავი წრე შეკრა მიხეილ თუმანიშვილის თეატრში მისვლით, როდის გაუჩნდა პირველი პროტესტი ნაციონალების მიმართ და რატომ სჯერა ბიძინა ივანიშვილის ნანა შონიას

— ქალბატონო ნანა, ბევრისთვის დღემდე რუსთაველის თეატრთან ასოცირდებით. ამ თეატრიდან რატომ წამოხვედით?

— უმიზეზოდ არ წამოვსულვარ, მაგრამ ამაზე საუბარი არ მინდა... მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ბევრი მართლაც ისევ რუსთაველის თეატრში მომიაზრებს და ეს მიხარია კიდეც, რადგან ძალიან მიყვარს იქაურობა, მაგრამ საწყენიცაა — გამოდის, თუმანიშვილის თეატრში ჩემი როლები ბევრს არ უნახავს.

— თუმანიშვილის თეატრში მისვლამდე, დიდხანს თავისუფალი მსახიობი იყავით. ეს თქვენი არჩევანი იყო თუ...

— როცა ხარ თავისუფალი მსახიობი, ნებისმიერ თეატრში შეგიძლია თამაში, რაც ძალიან საინტერესოა. თუმანიშვილის თეატრში ყოფნა კი ჩემთვის დიდი პატივია — აქ სხვა სამსახიობო კლასია... თითქოს ყველასა და ყველაფერს ბატონი მიშას ხელი ეტყობა, იმ მსახიობებსაც კი, ვინც თეატრში მას არ მოსწრებია, ამ თეატრის წიაღში ყოფნა მოქმედებს მათი თამაშის სტილზე. ბევრმა მსახიობმა რეჟისორობაც დაიწყო, მაგალითად ნინო ბურდულმა, რუსიკო ბოლქვაძემ, გოგა პიპინაშვილმა... ეს თეატრი იმ დონისაა, როგორიც ეკადრება თავად თუმანიშვილს — მეტრს ქართულ რეჟისურასა და პედაგოგიკაში.

— დღეს აქვს ქართულ თეატრს პედაგოგიკის პრობლემა?

— სამწუხაროდ, პედაგოგიკაში თითქმის ვერ განვითარდით, ცოტაა მაღალი დონის პედაგოგი. ვინცაა, ისინი მიშა თუმანიშვილის მოწაფეები იყვნენ — რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, დათო დოიაშვილი, ლევან წულაძე.

— თეატრალურში სწავლისას გქონდათ თუმანიშვილთან შეხება?

— რომ ვაბარებდი, ბატონი მიშა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო და სწორედ, მისი დაწერილი ხუთიანით მოვეწყვე სამსახიობოზე. ინსტიტუტში სწავლის პერიოდშიც ვგრძნობდი ჩემს მიმართ მის კეთილგანწყობას — ხშირად მაგულიანებდა... ბედნიერი ვარ, მასთან ურთიერთობის შესაძლებლობა რომ მქონდა. ვფიქრობ, თუმანიშვილის თეატრში ჩემი მოსვლით, სიმბოლურად, ის უხილავი წრეც შეიკრა, რაც ბატონ მიშასთან მაკავშირებდა.

— კინოშიც ისევე საინტერესოა მუშაობა, როგორც თეატრში?

— ყველა როლს არ შევასრულებ... პირველ რიგში, რეჟისორი უნდა მომწონდეს, არც გაუთავებელი სერიალები მიყვარს. ერთ სერიალში ვარ მხოლოდ გადაღებული (დათო ჯანელიძის „მტვრის გემო“) და ძალიან უნდა მომწონდეს რეჟისორი, მასალა, სერიალში გადაღებას რომ დავთანხმდე.

— გადაცემა მაინცდამაინც „მეცხრე არხზე“ რატომ გააკეთეთ?

— სადაც შემომთავაზეს, იქ მივედი, თუმცა... სხვა არხზე არც წავიდოდი. თან საინტერესოა, როცა ახალი არხი იბადება და შესაძლებლობა გეძლევა, იდგე მის საწყისებთან. ჩემს გადაცემას ჰქვია „რაც სათქმელი დარჩა“. უამრავ საინტერესო ადამიანს ვხვდები, მთელი არსებით გადავეშვი ამ საქმეში და ხანდახან, საკუთარ თავს იმაში ვიჭერ, რომ ღამითაც კი გადაცემაზე ვფიქრობ. ძალიან ჩავერთე სატელევიზიო ორომტრიალში.

— კულტურის სფეროში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებით კმაყოფილი ხართ?

— მომწონს კულტურის ახალი მინისტრი და მის მიერ განხორციელებულ ცვლილებებსაც მივესალმები. მის ერთ-ერთ წარმატებულ ნაბიჯად, კინოცენტრის ხელმძღვანელად ნანა ჯანელიძის დანიშვნა მიმაჩნია, რომელიც ნიჭიერი რეჟისორია, ორგანიზატორული უნარიც აქვს და მჯერა, ხელს შეუწყობს ქართული კინოს განვითარებას. რაც შეეხება თეატრში განხორციელებულ ცვლილებებს, კონკრეტულ შემთხვევებზე არ ვისაუბრებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მთავარია, თეატრში იდგმებოდეს მაღალი დონის სპექტაკლები, სადაც დაკავებულები იქნებიან როგორც გამოცდილი მსახიობები, ისე ახალი თაობა. თეატრს გასტროლების საშუალებაც უნდა ჰქონდეს.

— გასტროლები ახსენეთ, კრემლში „ერისიონის“ კონცერტს როგორ აფასებთ?

— „ერისიონის“ შემდეგ, მოსკოვში რუსთაველის თეატრის დასს ჰქონდა გასტროლი. ახლა ანსამბლი „რუსთავი“ ემზადება წასასვლელად და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. დანაშაული ეს კი არა, ისაა, რა ფორმითაც აშუქებდა ამას ქართული მასმედია. მეშინოდა, ჯემალ ჭკუასელს, ამ ასაკოვან კაცს, რომლისთვისაც ეს ანსამბლი ყველაფერია, გული არ გასკდომოდა ამდენი სიბინძურის მოსმენისას. აგვისტოს ომიდან ორი თვის შემდეგ, რუსეთთან თანამშრომლობის თხოვნით გაგზავნილი, კულტურის ყოფილი მინისტრის წერილი არ არის გასაკიცხი?! ესენი ჯემალ ჭკუასელს ეძახიან მოღალატეს, კაცს, რომლის ძალისხმევითაც ამდენი ხანია „ერისიონი“ არსებობს?

— კულტურა ხელს შეუწყობს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას?

— რუსეთი რომ ოკუპანტია, მსოფლიომ აღიარა, მაგრამ სხვა ბერკეტი აღარ დაგვრჩა. გვინდა თუ არა, მეზობელია და დაზავებას ყველა რესურსი უნდა შევალიოთ, სწორედ კულტურაა ჩვენი „კოზირი“. რუსეთი მარტო კრემლი და პუტინი კი არა, ხალხიცაა, ვისაც ძალიან უყვარს ქართული ფოლკლორი, თეატრი, მხატვრობა... თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროტესტი არ მაქვს დაკარგული ტერიტორიებისა და ომში ჩახოცილი ბიჭების გამო. ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი რომ უნდა დაგვიბრუნონ, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ამას ძალითა და იარაღით რომ ვერ მოვახერხებთ, აგვისტოს ომმაც დაგვანახა.

— ბოლო წლებში ჩართული იყავით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. რა გახდა თქვენი პოლიტიკურად გააქტიურების მიზეზი?

— ბევრი მიიჩნევს, რომ მსახიობმა სათქმელი სცენიდან უნდა თქვას, მაგრამ ეს ყოველთვის საკმარისი არაა, ზოგჯერ საჭიროა, ხმამაღლა დააფიქსირო სიმართლე, ოღონდ გულწრფელად, უანგაროდ და არა რაღაცის გამო. ნაციონალების მიმართ პირველი უარყოფითი მუხტი სანდრო გვირგვლიანის მკვლელობა იყო... ემოციის გარეშე ამაზე დღესაც ვერ ვსაუბრობ, ეს იყო შოკი და მაშინ ჩემთვის მთელი სამყარო გადატრიალდა. სანდრო სააკაშვილის სასტიკი სისტემის მსხვერპლი გახდა და როგორ შეიძლებოდა, ნორმალური ადამიანი ამ სისტემის წინააღმდეგ არ ამხედრებულიყო?

— ახალი ხელისუფლება სწორი მიმართულებით მიდის?

— ხალხმა მოიყვანა ახალი ხელისუფლება და ამიტომ ხალხზე ფიქრი მართებს. შეცდომები და ხარვეზები იქნება, მაგრამ, საერთო ჯამში, სწორი მიმართულებაა აღებული. ხალხი მალე იგრძნობს შვებას.

— ნაციონალების რევანშს გამორიცხავთ?

— ამაზე მხოლოდ მეცინება. ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ და მათი არავის ეშინია. ვინ მივა მათ მიერ დაანონსებულ 19 აპრილის აქციაზე? ალბათ, მხოლოდ ფანატიკოსები... თითო-ოროლა ფანატიკოსი ხომ ყველას ჰყავს, ყველაზე სასტიკ დიქტატორსაც კი. ეს რა არის იცით?! გაჭირვებული ხავსს ეკიდებოდაო. იმის მაგივრად, გონს მოეგონ, ხალხს აღიზიანებენ. არც ეს კოჰაბიტაცია მესმის. არ არის ეს ჰუმანური აქტი — ხელოვნური პროცესია და არა ორგანული.

— რიგითი მოქალაქე ნანა შონია რას ელოდება ახალი ხელისუფლებისგან და რას მოიმოქმედებთ იმედგაცრუების შემთხვევაში?

— იმედგაცრუებაზე ფიქრიც არ მინდა. ბიძინა ივანიშვილს არავინ აიძულებდა პოლიტიკაში მოსვლას, მან კარგად იცოდა რა ტვირთსაც შეეჭიდა, მაგრამ საქართველოს სიყვარულით გადადგა ეს ნაბიჯი და ქართველი ხალხის იმხელა მხარდაჭერა და სიყვარული მოიპოვა, ამას არაფერში გაცვლის.

— სააკაშვილზეც ამას ამბობდნენ, თავის დროზე...

— მართალია, მეც ვფიქრობდი, რომ ხალხის სიყვარულს ეს კაცი არაფერში გაცვლიდა, მაგრამ შევცდი. ყველაზე დიდ სიმდიდრეზე თქვა უარი და დაკარგა შესაძლებლობა, ისტორიაში დაემკვიდრებინა საუკეთესო პრეზიდენტის სახელი. ივანიშვილის იმიტომ მჯერა, რომ პოლიტიკაში მოვიდა სუფთა ხელებითა და უამრავი კეთილი საქმით — გაარემონტა თეატრები, ააშენა ეკლესიები, მსახიობებს ხელფასი დაგვირიგა... მისი გარემოცვაც მომწონს, განსაკუთრებით — მინისტრთა კაბინეტი. ბევრს პირადად ვიცნობ და ვიცი, შესანიშნავი პიროვნებები არიან. ამიტომაც მშვიდად გადავერთე შემოქმედებით საქმიანობაზე. ჯერჯერობით, შენიშვნებიც არ მაქვს. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

ვერსიანიუსი

22-24 აპრილს, პრაღაში „თბილისის დღეები“ გაიმართება

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ინფორმაციით, პრაღაში „კულტურის დღეები“ ოფიციალურად 22 აპრილს, „ქართული ხმების“ კონცერტით გაიხსნება, ხოლო პრაღის მერია ძველი თბილისის რეაბილიტაციის ამსახველ ფოტოგამოფენას უმასპინძლებს.

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე ორ კონცერტს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ჩასაბერ ინსტრუმენტთა ანსამბლი GEORGIAN BRASS გამართავს, თითების თეატრი ორ სპექტაკლს წარმოადგენს თეატრ „მინორში“, პრაღის მუნიციპალურ მუზეუმში კი გაიმართება თბილისის მუნიციპალური მუზეუმების თემატური გამოფენა.

2012 წლის ნოემბერში, თბილისში პრაღის კულტურის დღეები გაიმართა, რომელზეც პრაღის ნაციონალური საბალეტო დასის ორი წარმოდგენა გაიმართა, მოეწყო გამოფენა სახელწოდებით „პანორამული პრაღა“, იყო ცნობილი ახალგაზრდა ჩეხი პიანისტის ივო კაჰანიკის კონცერტი და ქუჩის თეატრ V.O.S.A.-ს წარმოდგენები.

პრაღაში „თბილისის დღეების“ ჩატარება შარშან, აღნიშნული ღონისძიებების მიმდინარეობისას, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეთანხმდა.

„ინტერპრესნიუსი“

ნაზი მიქელაძე,
აკადემიური დოქტორი

თურქულ რელიგიურ სამოსელში გახვეული იდეოლოგია

ამ უკანასკნელ ხანს, პიკს მიაღწია მუსლიმანური აღმსარებლობის ცენტრის აშენების საკითხმა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე. საუბარია წარსულში ჩვენი დაუძინებელი მტრის – აზიზიეს სახელობის მეჩეთის მშენებლობაზე, რომელიც პრობლემად იქცა.



ბათუმში, მეჩეთის მშენებლობის საკითხზე ბევრი ითქვა და დაიწერა. იყო აჭარის საზოგადოების გამოსვლები, დემონსტრაციები წინა ხელისუფლების დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენლები. მათ მკაცრად დაგმეს ბათუმში მეორე მეჩეთის აშენება. მით უმეტეს, ქალაქის შემოსასვლელში, საუკეთესო ადგილას, ძველთაგანვე არსებობს უზარმაზარი მაჰმადიანური მინარეთი, რომელიც სრულიად საკმარისია აქ მცხოვრები ქართველი მუსულმანებისთვის, თუმცა ამ ბოლო დროს, ბათუმში ჩამოსახლებულმა თურქებმა მინარეთის ირგვლივ ააშენეს კაფე-ბარები და ახლა მიზეზად სახელდება მეჩეთის ტევადობის არასაკმარისობა, რაც სწორი არ არის. საერთოდ, ბათუმში ცოტანი არიან ქართველი მუსლიმანები. პარასკეობით, როცა იწყება მათი ჯგუფური ლოცვა, აქ თავს იყრიან აჭარის რეგიონებიდან ჩამოსული მლოცველები მაშინ, როცა მათ სოფლებსა და დაბებში აქვთ ახლადაშენებული მეჩეთები. ბათუმში არსებული მინარეთი კი სრულიად საკმარისია აქ მცხოვრები ქართველი მუსლიმებისთვის და ახალი მეჩეთის აშენების საჭიროება არ არსებობს. როგორც ჩანს, ამას ითხოვენ ქალაქში ახლახან ჩამოსახლებული თურქები, რომელთა რაოდენობა, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წყალობით, დღითიდღე იზრდება.

თურქეთის ბატონობის პერიოდის დასასრულს (1878 წ.), სულ 28 მეჩეთი არსებობდა. ამჟამად მათი რიცხვი 200-ს აღწევს. რას მივაწეროთ ეს, ტოლერანტობას? ეს ხომ ცალსახად გამოხატული მტრობაა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა?! ისინი ხომ არც კი მალავენ, რა ინტერესები ამოძრავებთ, რა გეგმები აქვთ? მთიან რეგიონებში, ყველგან, უმეტეს შემთხვევაში, მათი სახსრებით აშენებულ მეჩეთებსა და მუსლიმურ სასწავლებლებში უფასოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, შეჰყავთ ჩვენი ახალგაზრდები და სულს უწამლავენ. სრულიად უსინდისოდ, ურცხვად ასწავლიან, რომ თითქოს აჭარა ძველად მუსლიმანურ ქვეყანას წარმოადგენდა, არასდროს ყოფილა ქრისტიანული და საქართველოს მიწის ნაწილი. რომ რუსეთის ჩარევით მოხდა მისი შეერთება საქართველოსთან და თურქეთის მომავალი თაობის წმიდათაწმინდა მოვალეობა უნდა იყოს, დაუბრუნონ აჭარა თურქებს. ეს უწერიათ მათ ისტორიის სახელმძღვანელოებში.

ამიტომ საჭიროა მეტი სიფხიზლე, სახელმწიფოებრივი აზროვნება და მოქნილი პოლიტიკის გატარება. დღეს უკვე საუბარია იმაზე, რომ აჭარაში 33000 თურქია დასახლებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, სულ მალე, აჭარა თურქების ხელში აღმოჩნდება. ამას ემატება სამცხე-ჯავახეთში ჩინელების მიერ ახალი ქალაქის აშენებისა და მათი საქართველოში მასობრივი დასახლების გეგმაც, რაც ფეხქვეშ თელავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

ბათუმში კიდევ ერთი მეჩეთის აშენება „მიღწევა“ კი არ არის, როგორც ეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, არამედ ჩვენი საგარეო პოლიტიკის დიდი კრახი და უსამართლობა. არც ნაცვალგების წესი წაგვადგება არაფერში. იშხნისა და ოშკის რესტავრაცია ბათუმში მეჩეთის აგების სანაცვლოდ, არანაირ სარგებელს არ მოუტანს ჩვენს ქვეყანას. რა, სომხებმა თუ მოახერხეს მათი ძეგლების იუნესკოს ნუსხაში შეტანა, ჩვენ რა დაგვემართა? ახლა მაინც რატომ არ ვზრუნავთ ამაზე? თუ წინა ხელისუფლებას ეს არ აინტერესებდა, ახლა რა გვიშლის ხელს? განა, ჩვენი უძველესი კულტურული ძეგლები ნაკლებად მნიშვნელოვანია სომხურზე? ამას ჰქვია სწორედ უპრინციპობა და უპასუხისმგებლობა.

აბა, ერთი, ქართული სკოლის გახსნა მოვითხოვოთ თურქეთში, თუ მოგცემენ ამის უფლებას? არადა, როგორ სჭირდება იქ მცხოვრებ მილიონობით ქართველს ქართული ენის ცოდნა?! საქართველოს რომელმა ხელისუფალმა დასვა ეს საკითხი? ანდა რესტავრირირებულ იმ ორ მონასტერს (ყველას აღდგენაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია!) განა მრევლი ეყოლება?! მსურველი რომც იყოს, ისე იცავენ თურქები თავიანთ რელიგიურ-ეროვნულ ინტერესებს, იქ ქართველს არავინ შეუშვებს.

კიდევ ერთ სამწუხარო ფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. შარშან შევხვდი ორ ახალგაზრდას, რომელიც სწავლობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში არსებულ თურქული აღმსარებლობის სასწავლებელში. გავესაუბრე, დავარიგე, ვუთხარი, რაში გჭირდებათ მაჰმადიანური რელიგია, ის ხომ ჩვენთვის უცხოა, თუკი რაიმე ფასეული და საამაყოა შექმნილი ქართულ სინამდვილეში, ქრისტიანულ წიაღშია აღმოცენებული, ნამდვილი, ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანულია, არ გირჩევნიათ, თქვენს მშობლიურ ენაზე, ქრისტიანულად ილოცოთ-მეთქი? კინაღამ ხელი აღმართეს ჩემზე, ისე გაღიზიანდნენ, შენ ვინ გეკითხება, ჭკუას რომ გვასწავლი, ვინ ხარო. ჩვენ ხოჯობას ვსწავლობთ, ჩვენებს მუსლიმანობა უნდა ვასწავლოთო... მიმაჩნია, რომ ისინი საქართველოსთვის ჯერჯერობით დაკარგული შვილები არიან ისევე, როგორც თურქეთში მოსახლე ქართველები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აჭარაში მცხოვრებ მუსლიმან ქართველებს, ძველთაგან მოკიდებული, არასდროს ჰქონიათ დაკარგული სამშობლოს გრძნობა. ალბათ იმიტომ, რომ მათ სულში ღრმად იყო გამჯდარი მშობელი ქვეყნის უკიდეგანო სიყვარული. ეს ბავშვები კი ისე არიან მოწამლული ჩვენივე ქვეყანაში თურქების მიერ გახსნილ სასწავლებლებში, რომ ვფიქრობ, საქართველოს მოძულეებად ჩამოყალიბდებიან მომავალში, რასაც ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება. არცაა გასაკვირი, ისინი ხომ ახლო მომავალში თურქული იდეოლოგიის გამავრცელებლებად მოგვევლინებიან?!

არადა, თურქები ისე მკაცრად იცავენ სახელმწიფოსა და რელიგიის ინტერესებს, რომ მზად არიან, თავიანთი ქვეყნისათვის სამარცხვინო აქტიც კი ჩაიდინონ – ქრისტიანულ ანაფორაში ჩაცმული მღვდლები თავიანთ საზღვარზე არ გაატარონ, ეს მაშინ, როცა ნატოს წევრ ქვეყნად იწოდება! ჩვენ კი რა გვემართება!.. თვალსა და ხელს შუა, ჩვენს თვალწინ იღუპება ჩვენი ახალგაზრდობა და ვერაფერს ვშველით?! სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აჭარის მთიან რეგიონში, შუახევში, უფასო უნივერსიტეტს დაუდო საძირკველი ჩვენმა სათაყვანებელმა კათალიკოსმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ, მაგრამ მარტო ერთი კაცის ესოდენ დიდი გარჯაც კი ვერ უშველის უფსკრულის პირას მდგარ საქართველოს...

აქ სხვაგვარი ქმედებაა საჭირო. ყველაზე მეტად ახლა გვჭირდება ხელისუფლების შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი და მიზანმიმართული პოლიტიკა, თორემ ვაი, რომ მერე, გვიან იქნება თითზე კბენანი!... ამიტომ მოგიწოდებთ: ფხიზლად იყავით, ქართველებო!

ვერსიანიუსი

ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში დახურული ტიპის ქართული მონასტრები დაარსდება?

ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში, შესაძლოა, დახურული ტიპის ორი ქართული მონასტერი დაარსდეს. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის, თეოდორე ჭუაძის განმარტებით, ამის შესახებ საუბარი იყო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავითოღლუსთან შეხვედრაზე: **„საუბარი იყო იმაზე, რომ გაკეთდეს ორი მონასტერი — ერთი ტაო-კლარჯეთის, მეორე ლაზეთის მხარეში. ორივე იქნება ჩაკეტილი მონასტერი, შიგნით ილოცებენ და არ იქნება საფრთხის შემქმნელი, რადგან მოსახლეობაში მართლმადიდებლობას არ იქადაგებენ. მონასტრები მოემსახურება პილიგრიმებს საქართველოდან ან სხვა ქვეყნებიდან“.**

ქორეპისკოპოსისვე თქმით, სამონასტრო კომპლექსებისთვის ჯერ ტაძრები არ შერჩეულა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ მიმართულებით საუბარს გააგრძელებენ.

მიტროპოლიტმა ასევე განმარტა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ბათუმში გაკეთებული განცხადება, რომ ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ტაძრებთან დაკავშირებით, თურქეთის არც ერთ მოქალაქეს არ მიუმართავს: **„მინისტრი საუბრობს, რომ თურქეთი ასეთ შემთხვევაში, საკუთარი მოქალაქის ყველა რელიგიურ სურვილს დააკმაყოფილებს. სამწუხაროდ, თურქეთში არც ერთი ქართული სათვისტომო, როგორც ქრისტიანული სათვისტომო, დარეგისტრირებული არ არის. მხოლოდ დარეგისტრირების შემდეგ უნდა მიმართონ თურქეთის ხელისუფლებას, რომ მიეცეთ ლოცვის საშუალება. იქ, სამწუხაროდ, მართლმადიდებელი ქართველები არ ცხოვრობენ და ვერავინ მიმართავს, მაგრამ შესაძლებელია, გაკეთდეს მონასტერი“.**

„ინტერპრესნიუსი“

ჩინური ინვესტიცია ქართულ სტუმართმოყვარეობას გამოცდას უწყობს

გამოცემა Eurasianet აქვეყნებს მოლი კორსოს სტატიას სახელწოდებით — „ჩინური ინვესტიცია ქართულ სტუმართმოყვარეობას გამოცდას უწყობს“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ბევრი ქართველისთვის რთულ მდგომარეობას ქმნის თბილისის გარეუბანში ჩინური უძრავი ქონებისა და ტურიზმის 150-მილიონდოლარიანი პროექტის განხორციელება. პროექტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დიდი ხნის სურვილის განხორციელებაა, თუმცა შეშფოთებას იწვევს უცხოურ ზეგავლენასთან მიმართებაში.

საბჭოეთისდროინდელი საცხოვრებელი ნაგებობების ნგრევის ფონზე, პროექტი, რომელსაც ჩინური კერძო კომპანია „ჰუალინგ ჯგუფი“ ხელმძღვანელობს, თბილისში, ვაზისუბნის რაიონში, 420 ჰექტარ მიწაზე გეგმავს სხვადასხვა სახის მშენებლობებს.

პირველ ეტაპზე, რომლის დროსაც 150 მილიონი დოლარი იქნება ინვესტირებული, ოთხ ჰექტარზე აშენდება დასახლება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი 2015 წელს უმასპინძლებს და რომელშიც მონაწილეობას ევროპის 48 ქვეყნის სპორტსმენი მიიღებს. პროექტი ასევე ითვალისწინებს, საცალო და საცხოვრებელი ფართის მშენებლობას, რომლის ასაგებად საჭირო თანხის რაოდენობა უცნობია.

როგორც „ევრაზიანეტის“ სტატიაშია ნათქვამი, შარშან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ შეაქო კიდეც „ჰუალინგ ჯგუფი“ ესოდენ საჭირო ინვესტიციების მოზიდვისა და თბილისის მჭიდროდ დასახლებული ნაწილის ხელმოკლე მოსახლეობის დასაქმებისთვის. პირველ ეტაპზე, პროექტში განხორციელებული ინვესტიციის დონე ხუთჯერ აღემატება 2012 წელს საქართველოში განხორციელებულ ჩინურ ინვესტიციებს.

ამავდროულად, ხმები, რომ პროექტში 127 ათასი ჩინელი იმიგრანტი დასაქმდება და თბილისში იცხოვრებს, — წერს მოლი კორსო, — ადგილობრივების შეშფოთებას იწვევს, რადგან უცხოელები მათ საკუთარ მიწაზევე ართმევენ ისედაც რთულადსაშოვნელი სამუშაოს პოვნის შესაძლებლობას. „თუ ამდენი ჩინელი ჩამოვა, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩება“, — ციტირებს სტატიის ავტორი ქართველი პენსიონერის სიტყვებს.

როგორც მოლი კორსო წერს, გასულ წლებში თბილისმა უკვე იწვნია აფრიკელი და სამხრეთ აზიელი ისევე, როგორც ჩინელი მოვაჭრეებისა და არაბი ინვესტორების შემოჭრა, მაგრამ ქვეყანაში, რომელიც 4,49 მილიონი მოსახლეობისგან შედგება და უმუშევრობა 50%-ზე მეტს აღწევს, ამ ვიზიტორებს ზოგჯერ, უფრო ეკონომიკურ საფრთხედ მიიჩნევენ, ვიდრე — შესაძლებლობების წყაროდ. **„ხალხმა არ იცის, როგორ ითანამშრომლოს, როგორ იკოჰაბიტაციოს სხვა ხალხებთან. ჩინელების შემთხვევაში კი, ჩემი აზრით, ხალხში შექმნილია წარმოდგენა, რომ ეს უზარმაზარი და მჭიდროდდასახლებული ქვეყანაა და მათ როგორღაც გაფართოება სწადიათ“,** — აცხადებს „ევრაზიანეტთან“ საუბრისას ნანა ბერეკაშვილი, ეროვნული უმცირესობებისა და გენდერული საკითხების პროგრამის მენეჯერი.

სტატიის ავტორი აღნიშნავს — „ჰუალინგ ჯგუფის“ წარმომადგენლები უარყოფენ, რომ თბილისში ჩინელთა მასობრივ დასახლებას გეგმავენ. საცხოვრებელი სახლები, რომელთა მშენებლობა ოლიმპიური სოფლის შემდეგ დასრულდება, ღია ბაზარზე გაიყიდება და არ არის გათვლილი 127 ათას ადამიანზე.

როგორც კომპანიის პრესმდივანი თინა შიშინაშვილი აცხადებს, პროექტში დასაქმებული 659 ადამიანიდან 531 საქართველოს მოქალაქეა.

სტატიის მიხედვით, არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და არც თბილისის მერიაში არ გააკეთეს კომენტარი დაგეგმილ ინვესტიციებზე. პროექტის არქიტექტურული გეგმა კი კვლავ მერიის თანხმობას ელოდება.

საქართველოში „ჰუალინგ ჯგუფის“ ინტერესები უჩვეულო არ გახლავთ, — აღნიშნავს „ევრაზიანეტის“ ჟურნალისტი, — ჩინური კომპანიები წარსულშიც ახორციელებდნენ ფართომასშტაბიან ინვესტიციებს — დაწყებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით, დამთავრებული სარკინიგზო გვირაბით. 591,5 მილიონი დოლარის სავაჭრო ბრუნვით, 2012 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს რიგით მეოთხე ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი იყო, თუმცა ქართველთა დამოკიდებულება ჩინელებისა და, ზოგადად, ემიგრანტებისადმი, კვლავაც რთულია. 2010 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ 2,089 გამოკითხული ქართველიდან 57% მხარს უჭერს ჩინელებთან ერთობლივი ბიზნესის წარმოებას, 80% მათთან დაქორწინების წინააღმდეგია. მართალია, ქართული კულტურა სტუმართმოყვარეობასა და სტუმრისადმი პატივისცემას ითვალისწინებს, თუმცა როგორც ბერეკაშვილი აღნიშნავს, ქართველები შერჩევითი პრინციპით უდგებიან, რომელ ეთნიკურ ჯგუფს დახვდნენ გულუხვად.

„ქართველები სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან დასავლეთის ერებისადმი, ევროპელებისადმი, ამერიკელებისადმი, თუმცა იშვიათად — სხვა ერებისადმი“, — ციტირებს სტატიის ავტორი ნანა ბერეკაშვილის სიტყვებს.

„ჩინელი ბიზნესმენის, იუ ჰუასთვის საქართველო კვლავაც შესაძლებლობების ქვეყნად რჩება, თუმცა იგი აღნიშნავს, რომ მთავრობამ და მედიამ „სწორი ინფორმაცია“ უნდა მიაწოდოს ხალხს, რათა გაფანტოს მოარული ხმები, რომელმაც შესაძლოა, შეარყიოს ქართულ-ჩინური ბიზნესურთიერთობები“, — ნათქვამია „ევრაზიანეტის“ სტატიაში.

ამ ეტაპზე, შეხედულებები ამ საკითხზე არაერთგვაროვანია. გასული თვის ერთ დღეს, როდესაც ევროპელ ახალგაზრდათა ოლიმპიურ სოფელში მცირე ჯგუფი გაწმენდით სამუშაოებს ატარებდა, გვერდზე მდგომმა დამკვირვებლებმა ჩინური პროექტი გინებითა და წყევლით „შეამკეს“, თუმცა აღნიშნავს სტატიის ავტორი, — მზესუმზირას გამყიდველი ქართველი ქალბატონი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ვნახოთ, რა მოხდება. არ მგონია, ცუდი მოხდეს“.

„ინტერპრესნიუსი“

რეგიონი

ზუგდიდში დევნილები შიმშილობენ

ქეთი მიქაძე, გურიანიუსი

ზუგდიდში, ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის შენობაში აფხაზეთიდან დევნილები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ისინი ამბობენ, რომ არც შუქი აქვთ, არც წყალი, არც ინვენტარი და ბავშვებს მერხებზე სძინავთ.

უკვე რამდენი ხანია, დევნილები დახმარებას ითხოვენ როგორც მთავრობის, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზუგდიდის ოფისისგან, მაგრამ შედეგი არ არის.

სწორედ ამიტომ მათ, კოლეჯის ეზოში კარავი გაშალეს და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს. შიმშილობის შეწყვეტას კი, მანამ არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ირაკლი ქოჩუა ამბობს, რომ დევნილები, მათივე თხოვნით, რჩებიან პოლიტექნიკური კოლეჯის შენობაში ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებამდე: **„დევნილები, რომლებმაც შიმშილობა დაიწყეს, რამდენიმე თვის წინ შევიდნენ აღნიშნულ შენობაში. მათ მთავრობამ 29 მარტამდე მისცა კოლეჯის დატოვების ვადა, მაგრამ დევნილთა სამინისტრომ გასახლების ვადის გაზრდის თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩვენი სამინისტრო აცხადებს, რომ განსახლების შემთხვევაში, პრივილეგია მიენიჭება ამ დევნილებს, მანამდე კი, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს რესურსები მწირია, ყველანაირად ცდილობს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობოებთან თანამშრომლობით გარკვეული დახმარება გაუწიოს“.**



საბავშვო ბაღში შეჭანილი საეჭვო ხორცის ამბავი დისკუსიაში გადაიზარდა

მარინე ჩიხლაძე, გურიანიუსი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, 3 აპრილს, მრგვალი მაგიდის ფორმატში, საბავშვო ბაღებში არსებული კვების ჰიგიენური სტანდარტების შესახებ დისკუსია გაიმართა. ცენტრის წარმომადგენელმა გიგი მახარაძემ შეხვედრის მიზეზზე ისაუბრა: 2013 წლის მარტში, ადგილობრივი მედიით გავრცელებულმა ინფორმაციამ, უვარგისი ხორცით საბავშვო ბაღების მომარაგების შესახებ, საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. საბავშვო ბაღების მენეჯმენტს ახორციელებს მუნიციპალური ორგანიზაცია, სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, პროდუქტებით მომარაგება კი ტენდერის საფუძველზე ხდება. ინდმეწარმე ზურაბ მელიქიძემ №3 ბაღში ასპინძიდან შემოიტანა ხორცი, რასაც სკანდალი მოჰყვა. საბავშვო ბაღიდან, საკეპი მანქანის უქონლობის გამო, ხორცი გასატარებლად ქალაქში, ერთ-ერთ ყასაბთან გაიტანეს, სადაც გაირკვა, რომ ხორცი უვარგისი იყო, მუქი ფერითა და დამახასიათებელი სუნით გამოირჩეოდა.

ოზურგეთის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მაკა ჭყონიას თქმით, მას ინფორმაცია ბაღის მენეჯერმა მიაწოდა, თავად კი ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრსა და სურსათის უვნებლობის სააგენტოს გურიის სამსახურს მიმართა.

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბაღის სამზარეულოდან მიღებული ხორცის თვითნებური გამოტანა, ტრანსპორტირება და კერძო პირის მიერ დამუშავება, ასევე გამზადებული ფარშის შენახვა, წარმოადგენს საკვები პროდუქტების მომზადება-რეალიზაციის წესების უხეშ დარღვევას და სურსათის უვნებლობის საგენტოს თანამშრომლებმა პროდუქტის უვნებლობის დასადგენად, საბავშვო ბაღში არაგეგმური ინსპექტირება ჩაატარეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები უახლოეს დღეებში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას გურიის რეგიონში ლაბორატორიის გახსნის მოთხოვნით მიმართავენ, რათა მსგავსი პრობლემები მომავალში გამორიცხოს.

ინდმეწარმე მელიქიძემ მუქი შინდისფერი ხორცის ვიზუალური მხარე ახსნა იმ მოტივით, რომ ასპინძაში, საიდანაც ხორცი მოაქვთ, ძროხებს ჭარხლით კვებავენ.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის, ირინა საჯაიას თქმით, პირველ რიგში, უნდა დაველოდოთ სურსათის უვნებლობის სამსახურის პასუხს ხორცის ექსპერტიზის თაობაზე, რომელიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი და არ არის გამორიცხული, სოფლის მეურნეობის სურსათის უვნებლობის სამსახურის დასკვნის შემდეგ, საქმის მოკვლევის მიზნით, არასამთავრობოებმა ოზურგეთის რაიონულ პროკურატურას განცხადებით მიმართონ.

ჰოროსკოპი
5 აპრილი

ვერძი — დღეს დიდია ალბათობა, საქმიან ან იურიდიულ გაურკვევლობაში მოხვდეთ. დასვეთ რაც შეიძლება მეტი კითხვა, რათა ვითარებაში უკეთ გაერკვეთ და არსებულ მცირე უსიამოვნებასაც ადვილად მოაგვარებთ. გახსოვდეთ — დაუზუსტებელმა ინფორმაციამ, შესაძლოა, დათვური სამსახური გაგიწიოთ.

კურო — დღეს ბუნებრიობა ნამდვილად არ გაწყენდათ, მით უმეტეს, რომ გარშემომყოფებისგან დასამალი არაფერი გაქვთ. უკარება, ცივი ადამიანის ამიჯის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენს, რადგან ისეთი ადამიანების გარემოცვაში ხართ, ვისთანაც თამაში საჭირო არ არის.

ტყუპები — ტუუპებს დღეს სურვილი აქვთ, ცხოვრება რადიკალურად შეცვალონ, მაგრამ ამით მხოლოდ საბოლოოდ გაასუუჭებენ სიტუაციას. სჯობს, ემოციები მოთოკოთ და დღე ჩვეულ რეჟიმში გაატაროთ.

კირჩხიბი — დღეს, შესაძლოა, დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ სტრესთან საბრძოლველად, რაც იმედგაცრუებითაა გამოწვეული. ნუ ეცდებით, ხელის ერთი მოსმით პრობლემების მოგვარებას, შესაფერის დროს დელოდეთ, ეველაფერი ძველებურად დატოვეთ და სიტუაცია თავისთავად დაუბრუნდება ჩვეულ კალაპოტს.

ლომი — ლომებს დღეს ცნობისმოყვარეობა შეეპერობს, უამრავ ინფორმაციას მიიღებთ, თუმცა მიმართულების მიცემას შაინცდამაინც ნუ იჩქარებთ. გახსოვდეთ, რომ გარკვეული ფაქტების გამყდავნება, ნეგატიურად აისახება ზოგიერთ ადამიანთან თქვენს ურთიერთობაზე.

ქალწული — დღეს მაქსიმალურად ფრთხილი უნდა იოთ, მით უმეტეს, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ფინანსებს ეხება. თუ გაქვთ საშუალება, სჯობს, ასეთი საქმეები საერთოდ სხვა დროისთვის გადადოთ.

სასწორი — როგორც ჩანს, დადგა დრო, დიდი ხნის პრობლემა მოაგვაროთ. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ მდგომარეობიდან მარტივად ვერ გამოხვალთ. ურიგო არ იქნება, თუ ახლობელ ადამიანებს მიმართავთ რჩევისთვის და მათ აზრსაც გაითვალისწინებთ, გახსოვდეთ, რომ არსებულ ვითარებაში გამოსავლის დამოუკიდებლად პოვნა გაგიჭირდებათ.

ღრიანკალი — დღეს თქვენი თავისუფლება, მეტ-ნაკლებად, შეიზღუდება. მოგიწევთ ისეთი საქმის კეთება, რაც დიდად არ გსიამოვნებთ, მაგრამ ვერაფერს შეცვლით — ხშირად, ვალდებულება და სურვილი ერთმანეთს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

მშვილდოსანი — დღეს თქვენი ჯერია სხვის ნერვებზე თამაშის. ისარგებლებთ თუ არა ამ შესაძლებლობით, ეს მხოლოდ თქვენი გადასწყვეტია, მით უმეტეს, რომ არც ისინი დაგრჩებიან ვალში და პასუხს აუცილებლად დაგიბრუნებენ.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლებს, შესაძლოა, მიაჩნდეთ, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიეენეს, თუმცა დღეს შანსი გაქვთ, მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო შტრიხი შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში.

მერწყული — ჯაობი, რომელშიც აქამდე იყავით ჩაფლული, უკვე სიმპათიურ ნაკადულად გეჩვენებათ, რადგან პრობლემებსა და უსიამოვნებებს დასასრული არ უჩანს. ეცადეთ, ემოციები გააკონტროლოთ და დეპრესიაში არ ჩავარდეთ. მოთმინება ნამდვილად გმართებთ.

თევზები — დღეს თქვენს მიმართ ყველა ისეთი დამთმობი იქნება, ეჭვი გაგიჩნდებათ, ეს ცუდის მანიშნებელი ხომ არ არის, მაგრამ ტუუალად ნერვიულობთ, სჯობს, მომენტით ისარგებლოთ, ვიდრე არ გადაუფიქრებიათ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰოროსკოპი
6 აპრილი

ვერძი — რაც უფრო მეტს იმუშავებთ, მით ნაკლები დრო დაგრჩებათ გარშემომყოფთა ნერვების მოსაშლელად. გულმოდგინედ მიუდექით საქმეს და საღამოს დამსახურებული დასვენებისთვის მოეშზადეთ.

კურო — დღეს განსაკუთრებით მზრუნველი და მოსიყვარულე იქნებით. ორი ვარიანტი გაქვთ: ან გამოუტეედეთ საყვარელ ადამიანს გრძნობებში და ბედნიერად განაგრძოთ ურთიერთობა, ან ჩუმად გაეცალოთ და იტანჯოთ მარტოობაში.

ტყუპები — დღეს ისეთი ენერგიული ხართ, ნებისმიერს დაასაქმებთ, ვინც თქვენს თვალწინ გაიელვებს. თავადაც დაიღლებით და არც სხვებს მისცემთ განტვირთვის საშუალებას.

კირჩხიბი — შეეცადეთ, დღეს ისეთ ადამიანებთან გქონდეთ ურთიერთობა, ვინც სიამოვნებას განაჭებთ. კოლეგებთან საუბარში, შესაძლოა, ორიგინალური იდეები ჩამოაყალიბოთ, რაც მომავალში წარმატებით განხორციელდება.

ლომი — დღეს გაცნობიელ ადამიანს დიდი ხნის მეგობარივით მოექეცით, რადგან გამორიცხული არ არის, ეს პიროვნება მომავალში მართლაც უახლოესი მეგობარი გახდეს.

ქალწული — ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. თქვენმა დაუფიქრებელმა საუბარმა, შესაძლოა, მათთან ურთიერთობა გაგიფუჭოთ. ამიტომ ნუ გარისკავთ და დაფიქრდით, რას ამბობთ.

სასწორი — დღე განსაკუთრებული ორიგინალობით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ თუ მისი გალამაზება გსურთ, ეცადეთ, ეველა მოვლენა პოზიტიურად შეაფასოთ. ასეთი დამოკიდებულება, გარშემომყოფთა ურთიერთობასაც გაგიმარტივებთ.

ღრიანკალი — დღეს შეგიძლიათ, მშვიდად გაპეკეთ ცხოვრების დინებას. აკონტროლეთ მოვლენები, მაგრამ ნუ ჩაერევით. სჯობს, ეველაფერს თვალი შორიდან ადევნოთ და თან მნიშვნელოვან საქმესაც არ მოცდეთ.

მშვილდოსანი — დღეს უფრო მეტი დაისვენეთ. შეადგინეთ საქმის სამოქმედო გეგმა და უკეთეს დროს დაელოდეთ მისი რეალიზებისთვის. გაითვალისწინეთ, თანამშრომლებთან სამომავლო ურთიერთობისთვისთვის, ჩამოყალიბებული პოზიცია გჭირდებათ.

თხის რქა — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს მარტო არ დარჩეთ. ნებისმიერი უმნიშვნელო საკითხი კოლეგებთან განიხილეთ, საღამოს კი მეგობრებთან ერთად იმხიარულეთ და სასიამოვნო ემოციებით დაამუხტეთ.

მერწყული — იცოდეთ, რომ ოჯახის წევრები გასაჭირში არ მიგატოვებენ. თქვენც, შეძლებისდაგვარად, მეტი დრო გაატარეთ ოჯახურ გარემოში, რაც სიმშვიდესა და ჰარმონიას მოგანიჭებთ.

თევზები — ბედნიერების სამიებლად ცხრა მთის იქით ნუ გაემართებით და ნურც გარშემომყოფებს აჩვენებთ თავს ისე, თითქოს ეველაზე უბედური ხართ. თავი ხელში აიყვანეთ და დაფიქრდით, როგორ უნდა მოაგვაროთ არსებული პრობლემები.



თუთიყუშები ენის კურსებზე ეაეზავნენ

ნისლიან ალბიონზე, ქალაქ ბირმინჰემის ეგზოტიკური ფრინველებისა და ცხოველების ცენტრში ცოტა ხნის წინ დაბინავებულ ფრინველს აიძულებენ, კარგი მანერების კურსები გაიაროს. თუთიყუშთან მეცადინეობის ჩატარება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც ცენტრის თანამშრომლებმა მოისმინეს, მოლაპარაკე ფრინველი როგორ ეუზრდელებოდა გარშემომყოფებს და იგინებოდა. თუთიყუში, სახელად მისტერ ტი პატრონს ჩამოართვეს და ზოოლოგიურ თავშესაფარში მოათავსეს, სადაც საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა მიეღო მონაწილეობა, თუმცა მისტერ ტის ამ პროგრამაში ჩართვა შეუძლებელი გახდა, რადგან ვულგარული სიტყვებისა და გამოთქმების ნაცვლად, ჯერ კარგი მანერები და ლაპარაკი უნდა აითვისოს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ᲐᲚᲕᲘᲚᲘ

8	1	9	7	4	3	2	6	5
7	6	5	2	1	9	8	4	3
2	4	3	6	5	8	1	9	7
3	2	1	8	9	7	6	5	4
6	9	4	5	3	2	7	1	8
5	8	7	4	6	1	3	2	9
4	5	2	3	8	6	9	7	1
9	7	8	1	2	5	4	3	6
1	3	6	9	7	4	5	8	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	7	2	9	4	3	1	6	8
3	4	6	2	1	8	5	7	9
1	9	8	7	6	5	4	3	2
9	8	1	6	5	7	3	2	4
7	2	5	4	3	1	9	8	6
6	3	4	8	2	9	7	1	5
8	1	7	5	9	6	2	4	3
4	5	3	1	8	2	6	9	7
2	6	9	3	7	4	8	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	6	9	8	5	4	3	2	1
3	1	4	7	6	2	8	9	5
2	8	5	1	9	3	7	6	4
5	2	8	4	3	6	1	7	9
9	7	1	2	8	5	6	4	3
4	3	6	9	7	1	5	8	2
1	9	3	6	2	8	4	5	7
8	5	7	3	4	9	2	1	6
6	4	2	5	1	7	9	3	8

ᲔᲮᲡᲐᲕᲔᲠᲘ

9	3	2	1	8	7	6	5	4
1	4	8	5	2	6	7	3	9
7	6	5	4	3	9	2	1	8
8	2	4	9	6	3	1	7	5
6	1	3	7	5	4	9	8	2
5	9	7	2	1	8	4	6	3
4	8	9	6	7	5	3	2	1
3	7	1	8	9	2	5	4	6
2	5	6	3	4	1	8	9	7

ჰოროსკოპი
7 აპრილი

ვერძი — თუ საქმეში ბოლომდე ვერ გარკვეულხართ, რჩევა ჰკითხეთ კომპეტენტურ პირებს. კითხვის დასმა სირცხვილი არ არის, აი, შეცდომის დაშვება კი ნამდვილად არ გეპატიებათ.

კურო — ვარსკვლავები კუროებს ურჩევენ, იმიჯი შეიცვალონ. ეს უფრო მეტ მომხიბვლელობას შეგძენთ და გარშემომყოფთა ყურადღებასაც დაიმსახურებთ.

ტყუპები — ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი ისე შეგიპყრობთ, რომ შესაძლოა, ბევრ უსიამოვნებას გადაეყაროთ, პმიტომ იკმარეთ ის, რაც დღეს რეალურად გაქვთ.

კირჩხიბი — ნუ ეცდებით გარშემომყოფების მოხიბვლას, დროთა განმავლობაში უკეთ გაგიცნობენ და თავად შეექმნებათ თქვენზე წარმოდგენა. მანამდე კი სჯობს, რეპუტაციას გაუფრთხილდეთ.

ლომი — დღე პოზიტიური იქნება და ეს თქვენს ხასიათზეც აისახება. ოჯახურ გარემოში სასიამოვნოდ გატარებული დრო კი, კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ, რომ ცხოვრება მშვენიერია.

ქალწული — დღეს ნაკლებად დატვირთული გრაფიკი გექნებათ, რაც არსებული პრობლემების მოგვარების საშუალებას მოგცემთ. ეს შანსი აუცილებლად გამოიყენეთ, რადგან ხვალ, შესაძლოა, გვიან იყოს.

სასწორი — დღეს ძალების მოზღვავებას იგრძნობთ, რაც საშუალებას მოგცემთ, გეგმები განახორციელოთ, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, მეტი ყურადღება გამოიჩინოთ ფინანსებთან დაკავშირებით, რადგან მალე ხარჯის გაკონტროლებას გეღარ შეძლებთ.

ღრიანკალი — პრობლემებმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ კარიერაში, არსებულ სიტუაციაში მოგიწევთ არჩევანის გაკეთება — ოჯახი ან ჯანმრთელობა, თუმცა გულს ნუ გაიტეხთ, მომავალში ყველა დანაკარგს სწრაფად აანაზღაურებთ და დაწინაურება გელოდთ სამსახურშიც.

მშვილდოსანი — დღეს ყურადღებით მოეკიდეთ სამსახურს. პატარა შეცდომამაც კი, შესაძლოა, მთელი დღის ნაწვალები წყალში ჩაგიყაროთ, ამიტომ კონსულტაცია გამოცდილ და კომპეტენტურ კოლეგებთან გაიარეთ.

თხის რქა — თუ გგონიათ, ამოწურეთ საკუთარი შესაძლებლობები, ძალიან ცდებით. თქვენში ძალიან დიდი პოტენციალია, რის შესახებაც წარმოდგენაც არ გაქვთ, ამიტომ აჯობებს, რესურსი ბოლომდე გამოიყენოთ, ეს ძალიან დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში.

მერწყული — დღეს ვარსკვლავები დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ იმ მერწყულებს, ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს, თუმცა დღე არანაკლებ პოზიტიურია სხვებისთვისაც. სამსახურში დაწინაურება გელით ან ხელფასს მოგიმატებენ.

თევზები — შედარებით მშვიდი ატმოსფერო სამსახურში, შესაძლოა, მოულოდნელი და არცთუ სასიამოვნო ინფორმაციით დაირღვეს. დიდია ალბათობა, რომ მივლინებაში სხვა ქალაქში გაგგზავნონ, რაც ნამდვილად არ მოგეწონებათ.

მილიონი დოლარი შვიდ წუთში იშოვა

პოპულარული ბრიტანელი მსახიობი, ბოლო „აგენტი 007“, დენიელ კრეიგი სულ რაღაც შვიდ წუთში მილიონი დოლარის მფლობელი გახდა. ეს თანხა მას Range Rover-ის ჯიპის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობისთვის გადაუხადეს. მსახიობმა სწორედ შვიდი წუთი დაჰყო ნიუ იორკის საავტომობილო სალონში. როგორც „ნიუ-იორკ პოსტი“ წერს, ავტოსალონში შეკრებილ სტუმრებს სარეკლამო რგოლი უჩვენეს კრეიგის მონაწილეობით, რომელშიც იგი ახალი 2014 Range Rover Sport-ის საჭესთან ზის და მანჰეტენის ქუჩებში დასეირნობს. ჩვენების დასრულებისთანავე, კრეიგი თავად გამოცხადდა საგამოფენო დარბაზში ნარინჯისფერი ჯიპით, რომლის ღირებულებაც 70 ათასი დოლარია.

ავტობუსის მილიონდოლარიანი ეაჩერება

აშშ-ში, არლინგტონის ოლქის ხელისუფლებამ, ვაშინგტონის გარეუბანში მოდერნიზებული გაჩერების მოსაწყობად მილიონი დოლარი დახარჯა. ორი წლის წინ, ოლქის მენეჯერმა ბარბარა დონელანმა გადაწყვიტა, გადატვირთულ ავტოსტრადაზე გაჩერება — „კოლამბია პაიკი“ აეშენებინათ, მშენებლობა კომპანია „მეტროს“ ჩააბარეს, რომელმაც შეკვეთა 18 თვეში დაასრულა. შედეგად, გაჩნდა მინის ნაგებობა, რომელიც ელექტრონული ტაბლოებითაა აღჭურვილი, თუმცა არლინგტონელებმა არ მოიწონეს ქალაქის ხელისუფლების ეს ინოვაცია, ხოლო მშენებლობის ღირებულების გარკვევის შემდეგ, მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

საცვალი გაუპატიურებისგან დაიცავს

ინდოელმა სტუდენტებმა ქალის სპეციალური ქვედა საცვალი შექმნეს, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს გაუპატიურებისგან დაიცავს. როგორც ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა წერს, საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების „ქმნილება“, რომელსაც SHE (Society Harnessing Equipment) უწოდეს, მანდილოსნებს თავდამსხმელის გაუვნებელყოფასა და პოლიციის გამოძახებაში დაეხმარება. იდეის ერთ-ერთი ავტორის განცხადებით, ინოვაციური საცვალი აღჭურვილია GPS თუ GSM-მოწყობილობითა და ელექტროშოკით, რომელსაც 3 800 კილოვატის გატარება შეუძლია. ასე რომ, თავდამსხმელი მომენტალურად ხდება ელექტროშოკის „მსხვერპლი“, პარალელურად კი, განგაშის სიგნალი პოლიციაში იგზავნება. გამჭრიახმა სტუდენტებმა, რომელთა შორის სუსტი სქესის ორი წარმომადგენელია, გამოგონებისთვის ტექნოლოგიურ კონკურსზე პირველი ადგილი აიღეს, მათი პროდუქცია კი, მალე გამოჩნდება ინდოეთის მაღაზიათა დახლებზე.

ინდიელებმა ახალგაზრდა ფერმერი შეჭამეს

19 წლის ბრაზილიელი ახალგაზრდის მშობლებმა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, მისი ნეშტი ინდიელთა ტომის — კულინას საცხოვრებელ ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. როგორც დადგინდა, მამაკაცი კანიბალიზმის რიტუალის დროს შეჭამეს. ადგილობრივი ჩინოვნიკის თქმით, ინდიელები და ახალგაზრდა ფერმერი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ, ტომის წევრებმა ფერმერი თავისთან დაპატიჟეს, მას შემდეგ კი, ბიჭი აღარავის უნახავს. მშობლებმა შვილის თავი ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს, ინდიელებმა კი „სიამაყით“ აცნობეს, რომ ის რიტუალის დროს შეჭამეს. გამოძიებას ის ართულებს, რომ ბრაზილიური კანონების მიხედვით, არც არმიასა და არც პოლიციას, არ აქვს უფლება, ინდიელთა ტომების რეზერვაციებში შევიდეს, თუმცა ხუთი ეჭვმიტანილის დაკავება და დაკითხვა მაინც შეძლეს. კულინა, ეგრეთ წოდებულ, იზოლირებულ ტომებს მიეკუთვნება და სტატისტიკური მონაცემებით, ბრაზილიაში 460 ათასი ინდიელი ცხოვრობს.

სუდოკუ

ადვილი

8							1	
		9			3	2		4
		5	2					
		8		9			2	6
2			5		1			3
7	9			2		5		
					5	7		
1		3	9			6		
	6							1

სტანდარტი

		6	1		4			
8			6			9		
4					5			
5	1	2					8	
		8		3		6		
	9					7	4	2
			5					1
		5			9			8
			3		6	5		

რთული

		7		9		8		
		9	5	4	8		2	
								4
6					7		4	
7				5				2
	8		6					7
4								
	5		8	2	9	4		
		2		1		3		

ექსპერტი

		8		7		3	1	
3	5		1			2		9
		2						
	1					8		
4			7		6			3
		6					9	
						7		
7		1			2		4	8
	8	4		3		5		

დოლჩე და გაბანა 340 მილიონით დაჯარიმეს

ცნობილი დიზაინერები დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა დამნაშავედ სცნეს გადასახადების დამალვაში. მილანის სააპელაციო სასამართლომ იტალიელ მოდელიერებს განაჩენი გამოუტანა და ჯარიმის სახით, 343 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. ცნობილი ბრენდი Dolce & Gabbana რამდენიმე წელია, იტალიის საგადასახადო და სასამართლო ორგანოების ყურადღების ცენტრშია. ჯერ კიდევ 2004 წელს, ისინი გადასახადების გადაუხდელობისთვის დაადანაშაულეს, თუმცა 2011 წელს სასამართლომ გაამართლა. ახლა კი, სასამართლომ გადაწყვეტილება გააუქმა. „ტვიტერის“ საკუთარ ბლოგზე სტეფანო გაბანამ ასეთი კომენტარი გააკეთა: „უსიამოვნოა, როცა დამნაშავედ მიგიჩნევენ, მაგრამ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც არ აქვს. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, სამოსის შექმნაა. დანარჩენებს კი შეუძლიათ, აკეთონ და ილაპარაკონ ის, რაც სურთ“.

კოშმარები აუცილებელია კაცობრიობის გადარჩენისთვის

ღამის კოშმარები სასარგებლო და აუცილებელიც კია კაცობრიობის გადარჩენისთვის, — განაცხადეს ფინელმა ფსიქოლოგებმა. სიზმრები სიმაღლიდან გადმოვარდნაზე, საშინელი ცხოველის გამოდევნებაზე, კბილების დაცვენაზე... კაცობრიობის მემკვიდრეობაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, იძულებულია, წინააღმდეგობა გაუწიოს გამოწვევებს. ადამიანის მოდგმის შექმნის შემდეგ წარმოიშვა განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მექანიზმი, როცა ძილის დროს ადამიანის ტვინი ყველაზე საშიშ სიტუაციებს სცდიდა და მას ვითარების მოულოდნელი შემობრუნებისთვის ამზადებდა. ამასთან, ამ „ვარჯიშს“ სიზმრის სახე ჰქონდა, რაც აძლიერებდა მის ემოციურ დონეს. ღამის კოშმარი ცნობიერებაში აყალიბებს აუცილებელ ნერვულ კავშირს, რაც ადამიანს, რეალობაში საფრთხის თავიდან აცილების საშუალებას აძლევს.

იაფფასიანი შამპუნი უფრო ეფექტურია?

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ იაფფასიანი შამპუნი უფრო ეფექტურია. მეცნიერებმა 20 ბრენდის მიერ წარმოებული შამპუნი შეისწავლეს, თმის მოვლის ძვირადღირებულ და იაფიან საშუალებებს შორის ეფექტურობის ხარისხის დადგენის მიზნით. ნანოტექნოლოგიების სპეციალისტებმა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მიკროსკოპი გამოიყენეს და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შამპუნებს შორის სხვაობა თითქმის ვერ აღმოაჩინეს.

ფოთლეული კაცობრიობის ახალი ტენდენცია

ცოტა ხნის წინ, პარიზის ახალგაზრდა შეფ-მზარეულების ჯგუფმა საკმაოდ უჩვეულო კერძი მოიგონა, რომლის განსაკუთრებულობა ის გახლავთ, რომ შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ყვავილის ფურცლები. იდეა მზარეულებს გაზაფხულის დადგომამდე გაუჩნდათ, ინგრედიენტები კი პარიზში თვითმფრინავებითა და გემებით, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოიტანეს. ამ უჩვეულო კერძის გასინჯვის ბედნიერება პირველს ვის ერგება, ჯერ უცნობია ისევე, როგორც რეცეპტი. კერძის შემქმნელები მხოლოდ იმას ამჟღავნებენ, რომ მათ ნახელავში არც ერთი შხამიანი მცენარე არ არის და ის უსაფრთხოა აბსოლუტურად ყველასთვის.

"ჭკვიანი აბი" ექიმს ჩაანაცვლებს

სულ რაღაც 77 დოლარად თვეში, შესაძლოა, პაციენტის ცხოვრების შეცვლა, საიდუმლო კი ტექნოლოგიურად ახალი „ჭკვიანი“ აბებია, რომელიც კარნახობს ავადმყოფს, როგორ და როდის მიიღოს წამალი. უახლოეს მომავალში, აბები თავისუფალ გაყიდვაში დიდ ბრიტანეთში გამოჩნდება. აბი მიკროსკოპულ ჩიპს წარმოადგენს, რომელიც პრეპარატის მიღების პროგრამის ყველა დეტალს იწერს მიმღები პლასტირის მეშვეობით, რომელიც პაციენტის ხელზე ან მხარზეა დამაგრებული. აბი აკონტორლებს წამლის მიღების დროსა და დოზას, ამოწმებს პულსაციასა და სხეულის ტემპერატურას.



წამწამების გადანერგვა პოპულარული ხდება

ამერიკელი პლასტიკური ქირურგები აღნიშნავენ, რომ წამწამების გადანერგვის ოპერაცია ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება. ამ ახალი კოსმეტიკური მომსახურების არსი შემდეგში მდგომარეობს: კეფაზე პატარა ადგილს ჭრიან თმის ფოლიკულების ამოსაღებად, რომელთაც მაშინვე ქუთუთოში გადანერგავენ. ეს გადანერგილი თმა საკმაოდ წარმატებით ცვლის გრძელ და ფაფუკ წამწამებს, თუმცა, მათი რეგულარული შეჭრაა საჭირო, რადგან ის ფუნქციას ინარჩუნებს და ზრდას განაგრძობს, როგორც ჩვეულებრივი თმა. წამწამების გადანერგვის ოპერაცია, დაახლოებით, 6 ათასი დოლარი ჯდება და, როგორც წესი, მას ადგილობრივი გაუტკივარებით აკეთებენ.



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს (ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.